


ლიკანის კომპლექსის
მუზეოგრაფია



≡ ლიკანის კომპლექსის მუზეოგრაფია

ირმა დოლიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ეკა კაჭარავა, ისტორიის დოქტორი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სამუზეუმი მიმართულება

ლიკანის კომპლექსის მუზეოგრაფიის კონცეფცია მომზადებულია 2016 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმი მიმართულების სამსახურის მიერ და გამოქვეყნებულია სამეცნიერო კრებულში „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“.*

ლიკანის სასახლის რესტავრაციისა და სამუზეუმი ადაპტაციის ვალდებულებით, 2016 წელს, ლიკანის კომპლექსი, 25 წლის ვადით გადაეცა საპარტნიორო ფონდს. განსახორციელებელი პროექტის უმთავრესი მიზანია, ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო და მოთხოვნადი ისტორიულ-კულტურული კომპლექსის შექმნა.

2017 წელს ლიკანის კომპლექსის ტერიტორიასა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

პროექტი სორციელდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს აქტიური მონაწილეობით. კომპლექსის პროექტირებისა და მუზეოგრაფიის მოსამზადებლად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით, შესაბამისი გამოცდილების მქონე სამი არქიტექტურული კომპანია შეირჩა:

- > „ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი“ (საქართველოს „ICOMOS-ის“ კავშირი), რომელსაც დაევეალა ლიკანის სასახლისა და ორანჟერეის სარეაბილიტაციო პროექტების მომზადება;
 - > ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, რომელსაც დაევეალა გენერალური გეგმის, პარკის, ვიზიტორთა ცენტრისა და დამხმარე ნაგებობების პროექტის მომზადება;
 - > შპს „არქიტექტორები.ჯი“, რომელსაც დაევეალა სასტუმრო-საკონფერენციო ბლოკის პროექტირება და სასახლის მუზეოგრაფია.
- კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული ისტორიული შენობების სარეაბილიტაციო-საადაპტაციო პროექტირება მიმდინარე-

ობს სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით. მოძიებული, შესწავლილ-დამუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალა. პროექტის ფარგლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმი მიმართულების თანამშრომლები (ი. დოლიძე, ე. კაჭარავა) იმყოფებოდნენ სამუშაო მივლინებით სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო საისტორიო არქივში, სადაც მოძიეს ლიკანთან და ბორჯომთან დაკავშირებული მასალები. მათ მიერ შერჩეული და ციფრულ ფორმატში გადაყვანილი მასალები გადაეცა პროექტის მონაწილე არქიტექტურულ კომპანიებს, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივსა და საქართველოს ეროვნულ არქივს.

პროექტირების პროცესი 2018 წელს დასრულდა. ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში პროექტის ტექნიკურ-ფინანსური ექსპერტიზის დასრულებისთანავე დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები,

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები.

* ირმა დოლიძე, ეკა კაჭარავა, ლიკანის სამუზეუმი კომპლექსი (სასახლე და მრავალფუნქციური კომპლექსი), „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ტ. III, 2016 წ., გვ. 274-291



ღ შინაარსი

- ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი
- ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი (სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი)
- ლიკანის სასახლე – საექსპოზიციო თემატიკა
- ლიკანის სასახლეში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები
- რეკომენდაციები
- ლიკანის სასახლის სახვითი ხელოვნების კოლექცია
- ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონება – გამოყენებითი ხელოვნების კოლექცია



ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი

ბორჯომის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ქვეყანაში სამუზეუმო ქალაქის შექმნის უპრეცედენტო შესაძლებლობაა.¹ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სამუზეუმო ქალაქის კონცეფცია, XIX–XX საუკუნეების მიჯნის ბორჯომის, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლსაზრისით მნიშვნელოვან ხუთ შენობაში შემდეგი სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცეების განთავსებას გულისხმობს:

- > რომანოვების ყოფილი კანცელარიის შენობა – ბორჯომის მზარის ისტორიის მუზეუმი;
- > ახალი ვაჟაფროსის სახლი ე. წ. რემერტის სახელობის ისტორიულ პარკში – საბუნებისმეტყველო ან საიმპერატორო კოლექციის მუზეუმი;
- > ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი – სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი;
- > ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანა – მინერალური წყლის „ბორჯომი“ ისტორიის მუზეუმი;
- > მოლდენჰაუერის პიდროლექტროსადგური – ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმი.

1. დღეს აქ მხოლოდ ერთი – ბორჯომის მზარეთმცოდნეობის მუზეუმი (რომანოვების ყოფილი კანცელარიის შენობა, არქ. ვლ. შვეიკერი, 1890 წ.) ფუნქციონირებს.

ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი (სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი)

ლიკანის სასახლე და პარკი

დღეისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს პარკის ნაწილსა და ამ ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებულ არქიტექტურულ ნაგებობებს (ლიკანის სასახლე, 2 შადრევანი, ვერტოდრომი); მოიცავს 22 500 კვ.მ. ფართობს. 2017 წლის 21 ივლისს ლიკანის კომპლექსის ტერიტორიასა და მასზე განთავსებულ ნაგებობებს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარკის ტერიტორიის დანარჩენ – უძრავი ძეგლის სტატუსის არ მქონე ნაწილში (საპარტნიორო ფონდის კუთვნილი ტერიტორიები), განთავსებული ლიკანის სასახლის კომპლექსის დამზარე ნაგებობების, შესაბამისი ფუნ-

ქციური დატვირთვა და სასახლე-მუზეუმის მრავალფუნქციური კომპლექსის ერთიან ქსოვილში ჩართვა, კერძოდ:

- > სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ტერიტორიაზე: ყოფილი რეზიდენციის შენობა, ყოფილი სამზარეულო (დღეს საკონფერენციო და სასტუმრო ნაგებობა);
- > საპარტნიორო ფონდის კუთვნილი ტერიტორიაზე: წყარო, ოთხი კოტიჯი, ორანჟერეა, ბელვედერი (ე.წ. შაერის ტაძარი).

ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი უნდა მოიცავდეს: სასახლეს, საკონფერენციო და სასტუმრო ნაგებობას (ყოფილი სამზარეულო),

ორანჟერეას, 3 კოტიჯს (XIX–XX სს.), ყოფილი რეზიდენციას, ბელვედერს, აუზს, 2 შადრევანს, მინისქვეშა სამაცივრე ნაგებობას.

ფუნქციური და საექსპოზიციო განაწილება:

ნიკოლოზ რომანოვის სასახლე და პარკი, როგორც სამუზეუმო კომპლექსი – დამთავალიერებელს შესთავაზებს (კელევისა და საარქივო მასალის საფუძველზე) რესტავირებულ-რეაბილიტირებულ სასახლის კომპლექსსა და პარკს, მასში განთავსებული და რესტავირებული, ფუნქციურად დატვირთული ნაგებობებით, კონსერვირებულ-რესტავირებული მცირე არქიტექტურული ფორმებითა და ქანდაკებებით.

ლიკანის სასახლე

სასახლის აგებისა და პარკის გაშენების ინიციატორია ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი.

რესტავრირებულ-რეაბილიტირებული ლიკანის სასახლის საექსპოზიციო სივრცეში უნდა შექმნას დამთავლიერებლისათვის საიმპერატორო საგვარეულოს ყველაზე დიდი ინტელექტუალის, მეცნიერის, გამოცემლის, კოლექციონერისა და ლიბერალის, პროგრესულად მოაზროვნისა და ესთეტიკური პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თანამედროვე ეპოქის რეკონსტრუქციით, მაქსიმალურად საინტერესოდ მიწოდება.

ლიკანის პარკი და განვითარების შესაძლებლობები

პარკი ბუნებრივი რესურსითა და მასში არსებული ქანდაკებებით, თავისთავად წარმოადგენს ღირსშესანიშნავსა. სასურველია, პარკის, როგორც საბაღე ხელოვნების ნიმუშის მაქსიმალური წარმოჩენა და განვითარება.

პარკს ადრე ამშვენებდა მაღალი ნაძვები, მოკირწყლული ბილიკები, ყვავილების გაზონები, კლუმბები, ყვავილებითვე გარემორტყმული მდელოები, უხედავ გამწვანებული ფრანგული ვარდები. სასურველია ტყე-პარკის სპეციალისტების მიერ ჩაუტარდეს ტაქსაცია, გაშენდეს და მოეწყოს მცენარული საფარი - სხვადასხვა ყვავილების გაზონები და კლუმბები (რეკონსტრუქცია საარქივო ფოტოების გამოყენებით).

სასაზღვრე სვეტი - ლიკანის პარკის საზღვარი გრანიტის ნატეხზე აღმართული სვეტით იყო მონიშნული. სვეტს აგვირგვინებდა ენტომოლოგიის ემბლემა - ლითონის პეპელა გამლილი ფრთებით. სვეტის ორი ესკიზი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, სასურველია ამ ესკიზების საშუალებით მისი აღდგენა.

პავიანების ქანდაკებები - ლიკანის სასახლის მთავარი შესასვლელის პირდაპირ, პარკის ჩრდილოეთ კიბეს პავიანების ქანდაკებები ასრულებდა (საარქივო ფოტომასალა). ამ ორი ქანდაკებიდან ერთ-ერთი ძველგვეგვიპტურია. პავიანის ეგვიპტური ქანდაკება, ლიკანის სასახლის არქიტექტორმა, ლეონტიმ ბენუამ შეიძინა საფრანგეთში და იქვე დაამზადებინა ეგვიპტური პავიანის ქანდაკების ასლი.

სადღესიოდ, პავიანების ქანდაკებები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმში. ისინი შეტანილია „საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციები“-ს კატალოგში და დართული აქვს შემდეგი ანოტაცია: „პავიანი“, ეგვიპტე. ძვ. წ. XIII ს. ბაზალტი. H 127 სმ. 168/აღ 1186. პავიანი ასოცირებულია სიბრძნის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი თითთან, ამიტომ, იგი ხშირად წყლის საათით ხელში, გულის ანონვისას არის გამოსახული. პავიანი ასევე მზის ღვთაების ცხოველდაა მიჩნეული და ხშირია მისი გამოსახვა კედლის მხატვრობის ნიმუშებში მზისადმი ლოცვის პოზაში.“

დასამზადებელია პავიანების ქანდაკებების ასლები და განსათავსებელი ლიკანის სასახლის მთავარი შესასვლელის პირდაპირ, პარკის ჩრდილოეთ კიბეზე.

შადრევნები - სასახლის წინ, სხვადასხვა ადგილას არსებული ორი შადრევანი საქართველოს რეაბილიტაციისა და ამოქმედებას.

პარკის ხელოვნური ტბა - პარკში ადრე არსებობდა ხელოვნური ტბა, ცენტრში შადრევნით (საარქივო ფოტო). ამ ტბაში ისტორიული ცნობის თანახმად, რასაც ფოტოც ადასტურებს, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე დაკურავდნენ ქათქათა გედები, ციცრები, ველური იხვები, იაპონური ქათმები, ტბის ნაპირზე დასეირნობდნენ ნეროები. ხელოვნური შადრევნიანი ტბა ლიკანის პარკის გამორჩეულ, მყუდრო და მშვენიერ გარემოს ქმნიდა.

ტბის ბინადარი ფრინველები წყალზე ნაგებ, მცირე ზომის, კობტა მწვანე სახლებში იყვნენ დაბინავებული. ამავე პარკში, შესანიშნავად მოწყობილ საფრინველში (птичий двор) აშენებდნენ იშვიათი ჯიშის ფრინველებს, უიშვიათეს მტვრედებს, ჯიშთან ინდურსა და ქათამს (белые и полные хохлихины, ла-флеш, барназае, брама, легарно, бентамно, негрптяни).

სასურველია ხელოვნური ტბის რეაბილიტაცია და ტბის სანაპიროს კეთილმოწყობა. ეს ტბა პარკის ერთ-ერთ უმთავრეს დამამშვენებელ ატრიბუტად და საუკეთესო დასვენების ადგილად იქცევა. სასურველია ზემოაღნიშნული ფრინველების მოშენება (ლოპოტის მსგავსად).

აუზი - უნდა აღდგეს პარკის ტერიტორიაზე (ამ ტბის სიახლოვეს) არსებული აუზი, რომელიც მოპირკეთებულია ზურაბ წერეთლის მოზაიკით.*

ორანჟერეა - ორანჟერეის (ზამთრის ბაღის) აღდგენა - როგორც არქიტექტურული, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით.

პარკის ნაწილი იყო შესანიშნავი არქიტექტურის, მიწის გამჭვირვალე კედლებში მოქცეული, ზამთრის ბაღის მსგავსი, ტროპიკული მცენარეების ორანჟერეა. დაბურღი მცენარეთა შორის სკამები და მავადები იყო განთავსებული. ორანჟერეა გერმანული ნახელავია.

ორანჟერეის რესტავრაციისა და განვითარების შემდგომ (აქ გაშენდება ადგილობრივი და ტროპიკული მცენარეები) ნაგებობის გუმბათიან ნაწილში შესაძლებელია მოსასვენებელი ზონისა და ჩვენ ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტაციის საფუძველზე პარკის მცირე მუზეუმის მოწყობა. ასეთი ხასიათის რეაბილიტაციის შემდგომ ორანჟერეა პარკის უმნიშვნელოვანეს და დათვალიერებად ატრაქციად იქცევა.

* სადღესიოდ აუზი რეაბილიტირებულია

პარკისა და ორანჟერეის მოსაგელელად პროფესიონალ მებაღეს კარლ რამშს ადგილობრივთა მთელი შტატი ჰყავდა დაქირავებული. საქართველოს ეროვნულსა და სასაქტრატორების სახელმწიფო საისტორიო არქივებში დაცულია კარლ რამშის სამუშაო საქმიანობისა და საქმისწარმოების ამსახველი დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციის გამოყენებისა და ექსპონირების საშუალებით ორანჟერეაში შესაძლებელია მცირე საექსპოზიციო სივრცის მოწყობა. (შვენარეებისა და ხილ-ბოსტნეულის თესლს ინერდენ როგორც რუსეთიდან, ისე უცხოეთიდან).

პარკის ქვის ავეჯი და ქანდაკებები – პარკის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა თხილის ბუჩქნარში განთავსებული ქუთაისური ქვის, ორიგინალური ბალის ავეჯი და ნატიფი ქანდაკებები. არსებული ცნობით ერთ-ერთის ავტორია ლეოპოლდ ბილფელდი. საჭიროა ქვის ორიგინალი ავეჯის რესტავრაცია-კონსერვაცია, თუ შესაძლებელი იქნა, ორიგინალის მიხედვით ასლების დამზადება და პარკში განთავსება.

რკინის ხიდი და მისი ისტორია – მდ. მტკვარზე სასახლის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინის ხიდი აშენდა. ხიდან დაკავშირებით ისტორიულ მესსიერებას რამდენიმე ლეგენდა აქვს შემოახული.

ფანჯატურები – XIX-XX სს. მიუნის პარკებისათვის დამახასიათებელია ხის ორნამენტული, დეკორატიული საჩრდილოლები – ფანჯატურები (მიხილ რომანოვის სასახლის პარკის და ლიკანის პარკის საარქივო ფოტომასალა და გორსკის ფოტოები). სასურველია პარკის ტერიტორიაზე შესაბამისი ადგილების შერჩევა და ამ ტიპის ფანჯატურების განთავსება. ასევე, სასურველია პარკის ტერიტორიაზე სპეციალური დინამიკების განთავსება, რომელთა მეშვეობითაც ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში შესაძლებელი

იქნება კლასიკური მუსიკის მოსმენა (პირველ რიგში მ. ჩაიკოვსკის მუსიკა. პრეცედენტი – ნინანდლის პარკი).

სასურველია, თავლისა და საცხენოსნო მეურნეობის აღდგენა, რაც მიმზიდველი იქნება ტურისტებისათვის. ასევე, ველოსიპედის ბილიკებისა და თუ შესაძლებელი იქნა, ძველებური ველოსიპედების პარკის შექმნა.

უნდა შედგეს საგანგებო ტურისტული მარშრუტი და ამ მარშრუტის მიხედვით მოეწყოს მოკირწყლული ბილიკები, პარკის მთელ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ეპოქის შესაბამისი დიზაინის ბაღის სკამები, დამონტაჟდეს ლამპიონები და ნაგვის ურნები.

მაცივარი – აღდგეს და ფუნქციურად დაიტვირთოს. აქ შესაძლებელია განთავსდეს სადეგუსტაციო, სადაც მოხდება ქართული ღვინოების დაგემოვნება და გაყიდვა, ასევე მალაზია, სადაც გაიყიდება მზარისათვის დამახასიათებელი, ადგილობრივი წარმოების პროდუქცია: კომპანია IDS ბორჯომის წარმოებული მინერალური წყლები („ლიკანი“, „ბორჯომი“, „მთიარბი“, სასმელი წყალი „ბაკურანი“), თაფლი, გირჩის მურაბები, კალათები და სხვა ადგილობრივი წარმოების, ხარისხიანი, სასუვენარო ტიპის პროდუქცია.

მინერალური წყლის წყარო – სრული რეაბილიტაცია;

ბელევეფერი ე. წ. „ჰაერის ტაძარი“ («Храм Воздуха») – მოეწყოს მასთან მისასვლელი ბილიკი, ბალის სკამები და ლამპიონები;

„ჰეტრეს ციხე“ – მტკვრის მეორე ნაპირზე, კლდოვან ბორცვზე არსებული „ჰეტრეს ციხე“ საჭიროებს საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებსა და განათებას, მისასვლელი ბილიკის მოწყობას. ციხიდან იშლება ლიკანის სასახლისა და პარკის შესანიშნავი ხედი.

ორანჟერეის მიმდებარე ჭალაში, შესაძლებელია შეიქმნას **გასართობი ზონა**:

მოეწყოს **საცხენოსნო ცენტრი**, ასევე ძველებური ტიპის **საკონცერტო ამფითეატრი** და **საზაფხულო კინოთეატრი** (ამ პერიოდის არქიტექტურული ესკიზების გამოყენებით), **მინი გოლფის მოედანი**, შესაძლებელია ამ ტერიტორიის ძველებური საქანელებითა და კარუსელით აღჭურვა. პარკის ეს ნაწილი, რომელსაც ცალკე მისასვლელი აქვს, დაეთმობა შედარებით „მზაურიან“ ღონისძიებებს. ეს მხარე სრულიად იზოლირებულია და ვერ დაარღვევს ძირითადი პარკის მშვიდ და მყუდრო ატმოსფეროს.

პარკის ტერიტორიაზე არსებული XIX-XX საუკუნეების 3 კოტეჯი, რესტავრაციის შემდეგ, შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულებით: ორი ერთად მდგომი კოტეჯი (საეარაუდოდ **კამერდინერისა და მებაღის**). ერთ მათგანში მოეწყოს **წიგნობა და სუვენირების მაღაზია** (შესაძლოა ძველი დიზაინით ბათუმის წიგნის მაღაზიის მსგავსად) და **კაფე** (ლოტეატურული კაფეს მსგავსი ტიპის, ძველებურ სტილში); მეორეში – **ტრადიციული ზობლიოთეკა** (ბორჯომის ბიბლიოთეკა, რომელსაც შენობა არ გააჩნია), დაბოლოს, მესამე კოტეჯში შესაძლოა მოეწყოს ე. წ. **მონადირის სახლი** (სამონადირეო ტიპის რესტორანი, ნადირობასთან დაკავშირებული მასალების ექსპონირებით). ნადირობა სასახლის მეპატრონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გატაცება იყო.

ყოფილი რაზიდეანის შიროა ფუნქციურად დაიტვირთოს როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ადგილობრივთათვის (ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის) მნიშვნელოვანი, მრავალფუნქციური სივრცე – მედიათეკით, საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ სხვადასხვა

წრეებისთვის განკუთვნილი სივრცეებით, კონფერენციების, თრენინგებისა და ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობით;

1. საინფორმაციო ცენტრი – სადაც ვიზიტორს შესაძლებლობა ექნება დეტალურად გაეცნოს მხარის ისტორიული ღირსშესანიშნაობების შესახებ არსებულ ინფორმაციას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზოგადად, სამხრეთ საქართველოში ტურიზმის განვითარებას;
2. თანამედროვე საექსპოზიციო სივრცე დროებითი გამოფენებისათვის;
3. საკონფერენციო, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება ფილმის რეტროსპექტივა, სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონცერტების,

სალამობების, სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების გამართვა (სინქრონული თარგმანის გათვალისწინებით);

4. საგანმანათლებლო სივრცე – შემეცნებითი პროგრამები; რენვის ცენტრი, უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი, ხელოვნების სკოლა;
5. მედიათეკა ალჭურვილი თანამედროვე აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიებით;
6. თანამედროვე კაფეტერია;
7. ადმინისტრაცია.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ლიკანის სასახლის სამუზეუმო ადაპტაციისათვის გამოყენებული იქნება სადღეისოდ სხვადასხვა მუზეუმებში დაცული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ექსპონატების

დროებითი გადაცემის რეჟიმი); ასევე, გასათვალისწინებელია საექსპოზიციო საჭიროების შემთხვევაში, საიმპერატორო დინასტიასა და ლიკანთან დაკავშირებული ცალკეული ნივთების შექენის შესაძლებლობა.

ლიკანის სასახლეში დაცულია: მემორიალური ავეჯი, გამოყენებითი ხელოვნების (ფაიფურისა და ქაშანურის ლარნაკები), მცირე პლასტიკის ნიმუშები.

სასახლეში არსებული მოძრავი კულტურული ფასეულობების ნაწილს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი. მთლიანობაში აქ ავეჯის და გამოყენებითი ხელოვნების ოთხმოცდაათამდე ნიმუშია. ბუნებრივია, ისინი მომავალი ექსპოზიციის ნაწილად მოიაზრება. ზოგადად, ლიკანის სასახლის კოლექცია, მდგომარეობის შეფასებისა და შერჩევის შემდეგ, საჭიროებს განმედიტ, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

ლიკანის სასახლის საექსპოზიციო თემატიკა

სასახლის აგებისა და პარკის გაშენების ინიციატორია ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი. ნიკოლოზ მიხეილის ძის დაკვეთით აგებული სასახლე და გაშენებული პარკი კარგად ასახავს მის მოთხოვნებს, მრავალმხრივ ინტერესს, გემოვნებასა და ესთეტიკას. ყოველივე ეს ამოლიანებს და ათვალსაჩინოებს მის უაღრესად საინტერესო პორტრეტს.

რესტავრირებულ-რეაბილიტირებული ლიკანის სასახლის საექსპოზიციო სივრცეში უნდა შეძლოს საიმპერატორო საგვარეულოს ყველაზე დიდი ინტელექტუალის, მეცნიერის, გამომცემლის, კოლექციონერისა და ლიბერალის, პროგრესულად მოაზროვნისა და ესთეტიკის, პიროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მისი თანამედროვე ეპოქის რეკონსტრუქციის

ინფორმაციული და ვიზუალური ინტერპრეტირება და კონტექსტთან შესაბამისობაში ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების კოლექციების ექსპონირება.

ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი (14. 04. 1859 – 24. 01. 1919) – დიდი მთავარი, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვისა და ბადენის პერცოგის ქალიშვილის, ოლგა თევდორეს ასულის უფროსი ვაჟი, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბიძაშვილი.

გენერალ-ადიუტანტი, ინჟანტერიის გენერალი, ლეგიონბატალიონი, ისტორიკოსი, რუსეთის ენციკლოპედიური საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი, რუსეთის გეოგრაფიული, საინ-



ტორიო, ხელოვნებისა და სიძველეთა დაცვის საზოგადოებების თავმჯდომარე, ასევე, საზოგადოების „რუმინანციების მუზეუმის მფლობელები“ საპატიო თავმჯდომარე, რუსეთის მუზეუმის დირექტორი პეტერბურგში, სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისა და ფრანგული ინსტიტუტის საპატიო წევრი, ლიბერალი, საიდუმლო ფრანგული საზოგადოების „პიკსიო“ წევრი, მსხვილი მინათმფლობელი (მაშუალი გრუშვესკოვი შეადგენდა 75.066 დესეტონას, ბორჯომში 69. 513 დესეტონას).

სიცოცხლე დაასრულა 1919 წლის 24 იანვარს პეტროპავლოვსკის ციხესიმაგრეში. შეეწირა ბოლშევიკურ ტერორს – „რევოლუცია ისტორიკოსებს არ საჭიროებს“ – ვ. ი. ლენინი.

დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი – მისი პირობა და მემკვიდრეობა

1. ნიკოლოზ რომანოვი – თავისი დროის უდიდესი ინტელექტუალი, დასავლური ღირებულებების მსოფლიო მოქალაქე;

- > ბიოგრაფია (ბავშვობა (თბილისი, ბორჯომი), განათლება, ნიჭიერება, პიროვნული თვისებები, ინტერესები, პოლიტიკური განწყობა – ლიბერალი);
- > ოჯახი – მამა, დედა, და-ძმა – ურთიერთობის ხასიათი და საექსპოზიციო მასალა (საარქივო ფოტომასალა, დოკუმენტაცია მ.შ. კორეპონდენცია); ურთიერთობა რომანოვების საიმპერატორო ოჯახთან;
- > სამხედრო კარიერა – კარიერული საფეხურები, სამხედრო ნოდებები, მიღებული რუსული და ევროპული ჯილდოები (საექსპოზიციოდ დაშვადდეს ორდენების ასლები);
- > ნიკოლოზი რომანოვი მეცნიერი – ლეპიდოპტეროლოგი და ისტორიკოსი;

სამეცნიერო კარიერა, ლენლი, სამეცნიერო ნოდებები (რუსეთის სამეცნიერო აკადემია, პარიზის აკადემია და სხვ. მრავალი); ნაშრომები (საექსპოზიციოდ სასურველია ორიგინალების თითო ეგზემპლარის მოძიება-შეძენა);

- > ნიკოლოზ რომანოვი კოლექციონერი და მისი საგამომცემლო საქმიანობა;
- > კოლექციონერი და ბიბლიოფილი (პუბლების, მინიატურების, სახვითი ხელოვნების ნიმუშების, წიგნების უნიკალური კოლექციების მფლობელი);

> მონაწილეობა სახვითი ხელოვნების გამოფენებში;

> საგამომცემლო საქმიანობა:

ნიკოლოზის თაოსნობითა და მონაწილეობით გამოცემული ალბომები, მისი ავტორობით დასტამბული რამდენიმე ათეული საბუნებისმეტყველო და საისტორიო ნაშრომი (სასურველია მოპოვება და შეძენა);

> ნადირობა (მისი წიგნი ნადირობის შესახებ და ფოტომასალა);

> ნიკოლოზ რომანოვი და ბორჯომი:

ნიკოლოზ რომანოვის ბორჯომისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სასახლეში სრულად უნდა იყოს ნარ-მოდგენილი ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის მიერ ბორჯომში განხორციელებული პროექტები: *სამშენებლო, ინდუსტრიული, კულტურულ-საგანმანათლებლო*.

ასევე, დამთვლიერების მეტად დაინტერესებისა და ნიკოლოზის პორტრეტის მეტად გაცოცხლების მიზნით, სხვადასხვა ხერხით გამოყენებულ იქნას მისი ბიოგრაფიიდან საინტერესო, პიკანტური, რომანტიკული ეპიზოდები;

დები; მისი მრავალმხრივი პიროვნების დახასიათება თანამედროვეთა მიერ.

> ნიკოლოზ რომანოვის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული

> რევოლუცია – ნიკოლოზის ტრაგიკული ბედი (ფოტომასალა, მოსაფიქრებელი ეფექტური, შთაბეჭდილი ვიზუალიზაციის ხერხებით);

> ნაპოლეონ ბონაპარტი – ნაპოლეონის ოთახი «Наполеонская».

ნაპოლეონ ბონაპარტი და მისი მოღვაწეობა ნიკოლოზ რომანოვის ინტერესისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა. ამ სივრცის რეკონსტრუქციისათვის საკმაოდ მდიდარი მასალა მოგვეპოვება.

სასახლეში დღემდეა დაცული XIX საუკუნით დათარიღებული ფრანგული ბიურო და მრგვალი მაგიდა ამპირის სტილში, ცნობილი როგორც ნაპოლეონისუფლი. ლიკანის სასახლის ქონების ერთ-ერთი აღწერის თანახმად, სასახლეში ნაპოლეონისა და ფოზეფინას საეპარქიებიც იყო.

ამ სივრცის რეკონსტრუქციისას შესაძლებელია, ხელოვნების მუზეუმში დაცული ლიკანის კოლექციის ექსპონატების გამოყენება, როგორც სახვითი ხელოვნების, ისე ქანდაკების ნიმუშების. კერძოდ, ნაპოლეონთან დაკავშირებული მდიდარი ფერწერა (ნაპოლეონისა და ფოზეფინას პორტრეტები, ბატალური სცენების, ნაპოლეონისა და მისი გენერლების ამსახველი ტილოები), ასევე ნაპოლეონის ეპოქის, მასთან დაახლოებული პირების, მათ შორის ოჯახის წევრების ბიუსტები.

ეს ქანდაკებები შესწავლის, ანოტირების, რესტავირების შემდგომ (საჭიროების შემთხვევაში), შეაგებებს და დაამშვენებს ლიკანის სასახლის სხვადასხვა სივრცეს.

დამთვალერებელს კი მათი ნახვის შესაძლებლობა მიეცემა, მაშინ როდესაც, სადღეისოდ ისინი მიუწვდომელია დასათვალერებლად და ფონდსაცავებშია დაცული. ჩატარებულია ამ მასალების ფოტოფიქსაცია.

ეს მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. „ნაპოლეონის ოთახის“ და ნიკოლოზ რომანოვის საკაბინეტო სივრცეებისთვის; ნაწილი გასათვალისწინებელია სასადილო ოთახის სივრცეში (კერძოდ, ორი – ამური ვიოლანჩელითა და ამური და ფსიქეა).

2. ტურისტების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლოა გაკეთდეს **სტაღონთან** დაკავშირებული მცირე აქცენტები (*მისი ხანმოკლე ვიზიტი ლიკანში, ლურსმნები – კიტელი, ქუდი*).

წარმოდგენილი საექსპოზიციო თემატიკა, ნიკოლოზ რომანოვის ქონების 1926 წლის აღწერაში მოცემული სასახლის სივრცეების, მათი ნიკოლოზის დროინდელი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, უნდა განანიღდეს სასახლის I და II სართულების საექსპოზიციოდ გათვალისწინებულ სივრცეებში.


ინტერიერის თავდაპირველი გარემოს რეკონსტრუქცია-რესტავრაციის შემდგომ სასახლის სივრცეში ექსპონირებული იქნება ნიკოლოზ რომანოვის მემორიალური ნივთები, ანტიკვარული ავეჯი, ლარნაკები, ნიკოლოზ რომანოვის ფერწერისა და გრაფიკის კოლექციის ნაწილი (*სადღეისოდ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში დაცული*), *ჭურჭელი (სადღეისოდ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმსა და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული)*, ბრინჯაოს ქანდაკებები, საათები და სხვ., თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ნიკოლოზ რომანოვის კუთვნილი ბიბლიოთეკის მულაჟები, ექსპონირებულ თემატიკასთან დაკავშირებული ფოტომასალა (*სასურველია ფოტოების ძველებური ჩარჩოების გამოყენებით მოჩარჩობა*), დასკანერებული მასალა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების

მუზეუმში დაცული ნიკოლოზ რომანოვის ფერწერული კოლექციიდან, ამ კოლექციის შესწავლის შემდგომ, პირველი სართულის საექსპოზიციო სივრცეში გამოსაფენად შეირჩევა ამ სივრცის შესაბამისი (*კედლების ხის პანელების გათვალისწინებით*) უძველესი და საუკეთესო ნიმუშები.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ქართულ, აღმოსავლურ, ევროპული და რუსული ხელოვნების ფონდებში დაცული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების კოლექციების კვლევა-იდენტიფიკაციისა და ფოტოფიქსაციის პროცესი.

ლიკანის სასახლის ქონება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული მნიშვნელოვნადაა შემცირებული. სასურველია ამ ქონების საქართველოში დარჩენილი ნაწილის, შესაძლებლობის ფარგლებში მოძიება-შესყიდვა და პირვანდელი ადგილსამყოფელისათვის დაბრუნება.



ლიკანის სასახლეში არსებული ავთენტური სივრცეები

ლიკანის სასახლის სამუზეუმი ადაპტაციის პროექტში აუცილებლად გასათვალისწინებელია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი და ცულო, 1926 წლის აღწერით ხასიათის დოკუმენტი, საიდანაც კარგად ჩანს თუ როგორ იყო დატვირთული ნიკოლოზ რომანოვის ძეგლი სასახლის თითოეული სივრცე ფუნქციური თვალსაზრისით. ეს დოკუმენტი კარგი საშუალებაა სასახლის მემკვიდრეობის სივრცით რეკონსტრუქციისა და სამუზეუმი ადაპტაციისათვის.

ჩვენ მიერ მომზადებულ საექსპოზიციო თემატიკაში ამ დოკუმენტში ასახული სასახლის ფუნქციური შინაარსი გათვალისწინებულია.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი და ცულო 1926 წლის აღწერაში დაფიქსირებულია სასახლის შემდეგი სივრცეები:

პარადული სადარბაზო, სასადლო, ბუფეტის ოთახი, საბილიარდო, კაბინეტი, საძინებელი, საბაზანო, მორიგე ოთახი, ნაპოლეონის ოთახი, საგუბერნატორო ოთახი, შემოსვლითი ოთახი, საადიუტანტო ოთახი, საბაზანო, სხვენის კიბე, ხვეული კიბე, საგარეო დარბაზო ოთახი, კოჭი, დასრული ტერასა, სამზარეულო, საცხობი, კიბე, სათავსო სამზარეულოს თავზე, სათავსო დაცვისთვის, საკუწნაო-საწყობი.

სართულის ინტერიერის საექსპოზიციო სივრცეები დაიგეგმება სასახლის უმთავრესი, ავთენტური ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით; სართულის სივრცეების იდენტიფიკაცია სართულს არ წარმოადგენს. სასახლე თავად გვეკარნახობს საექსპოზიციო თემატიკის გვემარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აქცენტები უნდა გაკეთდეს შემდეგ სივრცეებზე:

> პარადული სადარბაზო

მეტწილად შენარჩუნდება არსებული სახით;

> სასადლო

ცოცხალი, საზეიმო გარემოს რეკონსტრუქცია;

> საბილიარდო

ამ სივრცეს საექსპოზიციო თვალსაზრისით მხოლოდ მცირედი ჩარევა დაჭირდება. ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც საექსპოზიციო ექსპონატები პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი (ბილიარდის მაგიდა, კიების კარადა და მაგიდა, კიები, ბილიარდის ბურთები).

ამავე სივრცეში განთავსებული მალაქისფერი, ცხოველების გამოსახულებებით შემკული შორენეცებისგან შემდგარი ბუხარი, რაც თავისთავად გვეკარნახობს ნადირობის თემის გათვალისწინებას.

ნიკოლოზ რომანოვის უდიდესი გატაცება იყო ნადირობა. მისი ნადირობისადმი დამოკიდებულება კარგადაა ასახული მისავე 1917 წლისათვის გამოცემულ ილუსტრირებულ ნაშრომში «Наблюдения по охоте на диких птиц». სასურველია ამ გამოცემის მუზეუმისთვის შექმნა.

თემის ექსპონირებისათვის გამოყენებული იქნება ნადირობასთან დაკავშირებული საარქივო ფოტომასალა, ამონარიდები და ილუსტრაციები მისივე წიგნიდან, ასევე შესაძლებელია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ლიკანის კუთვნილი რამდენიმე ექსპონატის გამოყენება.

> კაბინეტი

კაბინეტს ეფექტურობას მატებს აქ არსებული აღმოსავლური ბუხარი და ჭერის დეკორი. რეკონსტრუქციისათვის სასახლეში დაცულია რამდენიმე ექსპონატი – აღმოსავლური სავარძელი, პუფი, შირმა...

სადღისოდ ეს სივრცე მეტად დაზიანებულია.

სარესტავრაციო სამუშაოების დასრულება ახალ შესაძლებლობებს გვიკარნახებს.

ამ სივრცისათვის გათვალისწინებული საექსპოზიციო თემატიკა საკმაოდ მდიდარია და დიდ შესაძლებლობებს იძლევა:

ნიკოლოზ რომანოვი მეცნიერი – სამეცნიერო კარიერა, ლენალი, სამეცნიერო წოდებები (რუსეთის სამეცნიერო აკადემია, პარიზის აკადემია და სხვ. მრავალი);

1.1 ნიკოლოზ რომანოვი – ბიბლიოფილი – მოაზრებს მის, როგორც კოლექციონერის წარმოჩენას. ასევე, ლიკანის სასახლის მდიდარი ბიბლიოთეკის ჩვენებას; პარიზიდან დაბრუნებული ბიბლიოთეკის ძირითადი ნაწილი ინახება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ექთაყიშვილის ფონდში. აქვე, შესაძლებელია ამ ბიბლიოთეკის საქართველოდან გატანისა და უკან დაბრუნების ისტორიის გადმოცემა. ამ თემაზე ექსპონირებული იქნება ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია – საარქივო მასალა. კვლევის საფუძველზე მოსამზადებელია ამ ბიბლიოთეკის აღწერა.

სასურველია, ამ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ინვენტარიზაცია, სრული, ერთიანი სიის შედგენა, რეაბილიტაციისა და სამუზეუმი ადაპტაციის შემდგომ საექსპოზიციო სივრცისთვის მულაჟების დამზადება.

1.2 ნიკოლოზ რომანოვი – ისტორიკოსი ამ სივრცეში საინფორმაციო-საილუსტრაციო მასალის გარდა, სასურველია ნიკოლოზის საისტორიო გამოცემების მოძიება-შესყიდვა და ექსპონირება. მის ნაშრომებს სამეცნიერო ღირებულება დღემდე არ დაუკარგავთ და მნიშვნელოვან საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენენ.

ამავე, სივრცეში შესაძლოა გაკეთდეს სტალინთან დაკავშირებული მცირე აქცენ-

ტები (გადმოცემის თანახმად, მის მიერ დამაგრებული ლურსმნები, რომელთაც ის კიტელისა და ქუდის დასაკიდებლად იყენებდა ლიკანში ხანმოკლე ვიზიტის დროს).

> საძინებელი – ამ სივრცის რეკონსტრუქციისათვის მოგვეპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპონატი (სანოლი, ტუმბო, კარაფები). რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ამოცანას და შესაბამისი აქუსუარების დამატებით, შესაძლებელს ხდის საძინებლის ანტიურაგის შექმნას;

> სააბაზანო – სასურველია რეკონსტრუქცია ანალოგების გათვალისწინებით. ლიკანის სასახლის საარქივო აღწერებიდან შესაძლებელია იმ ნივთების იდენტიფიკაცია, რაც იყო სასახლეში და სააბაზანოში გამოიყენებოდა;

> ნაპოლეონის ოთახი – დიდი იყო ნიკოლოზის ინტერესი ნაპოლეონისადმი. ამასთანავე, სასახლეში დაცულია რამდენიმე ექსპონატი, რომელთა წარმომავლობაც ნაპოლეონს უკავშირდება (მათ შორის XIX საუკუნით დათარიღებული ფრანგული ბიურო და მრგვალი მაგიდა ამპირის სტილში), შესაძლებელია, ხელოვნების მუზეუმში დაცული ლიკანის სასახლის კუთვნილი კოლექციის ექსპონატების გამოყენება. კერძოდ, 1812 წლის სამამულო ომის თემატიკასთან დაკავშირებული ფერწერა (მატალური სცენების, ნაპოლეონისა და მისი გენერლების ამსახველი ტილოები) და ქსნდაკებები.

ჩამონათვალში იხსენიება, ასევე, „საგუ-ბერნატორო ოთახი“ და „საადიუტანტო“, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია თუ რა სახის ინტერიერები მოიაზრება, საჭიროა შემდგომი დაზუსტება.

აღწერის ჩამონათვალში არსებული დან-არჩენი სივრცეები საექსპოზიციო თვალსაზრისით უმნიშვნელოა და, ამდენად, აღარ განვიხილავთ.

რაც შეეხება II სართულის მუზეოგრაფულ გადაწყვეტას, ის დიდადა დამოკიდებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტზე. კერძოდ, თუ რა მოცულობისა და შესაძლებლობების სივრცეებს მივიღებთ ამ პროექტის განხორციელების შემდგომ. ამდენად, საექსპოზიციო თემატიკის სივრცეების მიხედვით განაწილებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოვადგენთ II სართულის სივრცეებში როგორც შინაარსის, ისე ვიზუალური თვალსაზრით პროორიტეტულ საექსპოზიციო თემატიკას.

II სართული – პირველი სივრცე
დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი – მისი ბიოგრაფია და მოღვაწეობა

II სართულის პირველი და უმთავრესი სივრცე უნდა დაეთმოს ნიკოლოზ რომანოვს. დამთვალეიერებელს სრულად უნდა მიენოდოს მისი, როგორც სასახლისა და პარკის შემქმნელის შესახებ არსებული ინფორმაცია.

ნიკოლოზ რომანოვი – თავისი დროის უდიდესი ინტელექტუალი, დასავლური ღირებულებების მსოფლიო მოქალაქე

- > ბიოგრაფია
- > ოჯახი
- > სამხედრო კარიერა
- > ნიკოლოზ რომანოვი მეცნიერი – ლეპიდობატეროლოგი და ისტორიკოსი;
- > ნიკოლოზ რომანოვი კოლექციონერი და მისი საგამომცემლო საქმიანობა;
- > ნიკოლოზის მონაწილეობა სახვითი

ხელოვნების გამოყენებში;
პეტერბურგში გამართული არაერთი გამოფენის ორგანიზატორი და მონაწილე, როგორც კოლექციონერი.

> ნადირობა (მისი წიგნი ნადირობის შესახებ და ფოტომასალა); პოზი

> ნიკოლოზ რომანოვი და ბორჯომი:
ნიკოლოზ რომანოვის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული
– რევოლუცია – ნიკოლოზის ტრაგიკული ბედი (ფოტომასალა, მოსაფიქრებელია ეფექტური, შთაბეჭდავი ვიზუალზაციის ხერხები);
ასეთია ძირითადი საექსპოზიციო თემატიკის ჩამონათვალი.

II სართულის პირველ სივრცეში წარმოდგენილი თემატიკა მნიშვნელობიდან და საექსპოზიციო მასალიდან გამოზდინარე, ასევე სივრცეების მოცულობის დაზუსტების შემდგომ, გაიმსლება დანარჩენ დარბაზებში.

II სართულის სივრცეებში საექსპოზიციოდ ძირითადი თემატიკის წარმოსადგენად, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია შემდეგი:

თემის – ნიკოლოზ რომანოვი მეცნიერი – ლეპიდობატეროლოგი და ისტორიკოსი,
ლეპიდეპტოროლოგიის ნაწილის ექსპონირებისას მხედველობაშია მისაღები ამჯერად, მოგვიანებით გადაკეთებულ, დასურულ სივრცეში არსებული „პუპლებიანი კარნიზი“. ამ თემატიკის ექსპონირებისას საჭიროა ამ კარნიზზე აქცენტი და მისი ეფექტური გამოყენება. სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტის დასრულების შემდგომ, ამ სივრცისათვის ავთენტიკური იერსახის დაბრუნების შემთხვევაში, ეს კარნიზი ღია ტერასის სივრცეში მოექცევა. ასეთი გადაწყვეტის

შემთხვევაში, საექსპოზიციო სივრცეების სიმცირის პირობებში მოსაფიქრებელია ამ თემატიკის ღია სივრცეში ექსპონირების საუკეთესო გადაწყვეტა, კერძოდ, ატმოსფერული დაზიანებისაგან დაცვა.

დახურულ სივრცეში ამ თემის გაგრძელება, სადაც ექსპონირებული იქნება ნიკოლოზ რომანოვის სამეცნიერო მოღვაწეობა ლეპიდოგრაფიის მიმართულებით. სასურველია, მის მიერ აღმოჩენილი პეპლების ფიშების ან სხვადასხვა ვიზუალური თვალსაზრისით ლამაზი პეპლების გამოყენებით საექსპოზიციოდ პერბაროუმების კოლექციის შექმნა-დამზადება;

ნიკოლოზ რომანოვის თაოსნობით გამოცემული ლეპიდოგრაფიის მრავალტომეული, სადაც ერთი თავი ბორჯომსაც მოიცავს, სრულადაა დაცული აბრეშუმის მუზეუმში, რამდენიმე ტომი ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას მუზეუმშიცაა. სასურველია ექსპონირების მიზნით ამ ტომეულის მოპოვება-შექენა ან ელექტრონული ვერსიის გამოყენება.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ში დაცულია, ნ. რომანოვის მეგობარ კარლ რამმის დაზნადებული პეპლებიანი შირმა, სასურველია ამ თემატიკისათვის გათვალისწინებულ სივრცეში მისი ექსპონირება; ამავე სივრცეში უნდა გამოიფინოს მისი სამეცნიერო ნაშრომები (*ფოტოარქივი, საარქივო დოკუმენტაცია, ამ თემატიკასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკა*);

თემა გრძელდება ასევე კოშკში – პეპლების საჭერი (*რეკონსტრუქცია ეროვნულის მუზეუმის თანამშრომლის ვალერი პეტროვის კონსულტაციით*).

სასახლე განსაკუთრებით მშვენიერი იყო ღამით, სიბნელეში ჩაფლული და ელექტრონული განათებული, რაც იმ დროისათვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. სასახლის თავზე მონყოილი კოშკი ოთხი ელექტრონული ფარნით ნათდებოდა. ლიკანის სასახლის კომპლექსი 327 ელექტრონათურით იყო გაჩირადდენებული.

თემა – ნიკოლოზ რომანოვი კოლექციონერი და მისი საგამომცემლო საქმიანობა

ექსპონირებული იქნება ლიკანის სასახლის კოლექციიდან ამჟამად ხელოვნების მუზეუმის დასავლეთევეროპული და რუსული

ხელოვნების ფონდებში დაცული ნიმუშების (*ამ ეტაპზე იდენტიფიცირებულია 136 ეროვნული*) ნაწილი. შესაძლოა ამ კოლექციის საინტერესო ისტორიის გადმოცემაც (საქართველოს ეროვნული გალერეა, მენშვილური მთავრობის მიერ გატანა, ექვთიმე თაყაიშვილი, კოლექციის პარიზიდან დაბრუნება), ასევე დამთავრებული საინფორმაციო, სადღესასწაულო დაკარგული ნიკოლოზ რომანოვის სპილოს ძვალზე მსოფლიოს ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული გრაფიკების კოლექციაზე ინფორმაციის მიწოდება.

ამავე სივრცეში უნდა იყოს წარმოდგენილი ნიკოლოზის, როგორც ორგანიზატორისა და კოლექციონერის მონაწილეობა პეტერბურგში სხვადასხვა დროს მონყოილ სახვითი ხელოვნების გამოფენებში; ასევე, ამ გამოფენებთან დაკავშირებული მისი საგამომცემლო საქმიანობა, სასურველია მისი თაოსნობით განხორციელებული უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცემების ექსპონირება.

საექსპოზიციო სივრცეში გასათვალისწინებელია ინფორმაცია სასახლის არქიტექტორების – ლ. ბენუასა და ლ. ბილფელდის შესახებ.

ლიკანის სასახლეში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები

ლიკანის სასახლეში დაცულია: მემორიალური ავეჯი, გამოყენებითი ხელოვნების (ფაიფურისა და ქაშანურის ლარნაკები), მცირე პლასტიკის ნიმუშები.

სასახლეში დაცულ, მოძრავი ფასეულობების ნაწილს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი (29 საინვენტარო ნომრით 52 ერთეულს). მთლიანობაში აქ ავეჯის და გამოყენებითი ხელოვნების

ოთხმოცდაათამდე ნიმუშია. ბუნებრივია ისინი მომავალი ექსპოზიციის ნაწილად მოაზრება. ლიკანის სასახლის კოლექცია, მდგომარეობის შეფასების შემდეგ, საჭიროებს განმედი, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

1 – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2005 წლის ინვენტაროზაციისა და 2013 წლის 21-23 აგვისტოს

ჩატარებული რეინვენტარიზაციის შედეგად მომზადებული პასპორტების ინფორმაცია;

1 – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2005 წლის პასპორტების ინფორმაცია;

2 – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაზუსტებული დამატებითი ინფორმაცია.

ლიკანის სასახლეში დატული მოძრაობი ძეგლის სტატუსის მქონე ნივთების სია - 2018 წ.

#	სახელწოდება	აღწერა (მასალა, ზომა)	ერთეული	საიდენტიფიკაციო კოდი (ძეგლთა რეესტრი)	საინვ. ნომერი	შექმნის დრო და ადგილი	შენიშვნა	ექსპონატის ფიზიკური მდგომარეობა და რეკომენდაციები
სასახლის შესასვლელი								
1	თუთიყუმის ფიგურა	ფაიფური, ლითონი, სიმაღლე - 30 სმ.	1	სხ-427	# 01472	XIX ს. ბოლო, გერმანია		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
2	ძაღლის ფიგურა „პუდელი“	ბრინჯაო, სიმაღლე 44,5 სმ. სადგამი 30 X21 სმ.	1	სხ-426	.01292	XIX ს. II ნახ. გერმანია		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
3	დეკორატიული წყვილი ლარნაკი	ფაიფური, სიმაღლე - 105 სმ.	2	სხ-428	#09622 #06292	XIX ს. ბოლო, ევროპა	#09622 და #06292 ძეგლთა რეესტრში შეტანილია „დეკორატიული წყვილი ლარნაკი“ ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-428	
3.1	დეკორატიული ლარნაკი				.09622			რესტავრირებულია - ამოვსებული თაბაშირით და დაფერილი.
3.2	დეკორატიული ლარნაკი				.06292			კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
4	კონსოლი	შავი სადგამი ყვავილებით, ხე, ფაიფური სიმაღლე - 99 სმ.	1	სხ-436	.03351	XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
მეორე სართულზე ასასვლელი კიბის ბაჰანი								
5	დეკორატიული ლარნაკი	ქაშანური, სიმაღლე - 110 სმ. დიამეტრი - 30 სმ.	1	სხ-429	.06382	XX ს. დასაწყისი, ჩინეთი		რესტავრირებულია - თაბაშირით ამოვსებული და დაფერილი
6	დეკორატიული ლარნაკი	ფაიფური, სიმაღლე - 105 სმ.	1	სხ-430	.06472	XIX ს. ბოლო, იაპონია		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
სასადილო ოთახი								
7	კონსოლი (წყვილი)	ხე , ორფეროვანი, სიმაღლე 100 სმ.	2	სხ-440	#02012 #01922	XIX ს. II ნახევარი, რუსეთი	#02012 და #01922 ძეგლთა რეესტრში შეტანილია „კონსოლი (წყვილი)“ ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-440	საჭიროებს მცირე სარესტავრაციო სამუშაოებს
7.1	კონსოლი				.02012			არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. აკლის მე-4 ფეხი. ფეხის დეკორი ვერტიკალზე გამოფეხულია
7.2	კონსოლი				.01922			არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ზედაპირზე მცირე მოცულობის სიბრტყე დაზიანებულია. აკლის მე-4 ფეხი. ფეხის დეკორი ნესტისგან გამოფეხულია

ბილიარდის ოთახი							
8	ბილიარდის მაგიდა	ხე, მარმარილო, მუედი, 380x190 სმ. სიმაღლე - 92 სმ.	1	სხ-433	.01742	XX ს. დასაწყისი, რუსეთი	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
9	ბუხარი	მწვანე ფერის, შორენკეცებით (ბუს ფიგურით თავზე და ფსადზე იმ ცხოველების გამოსახულებით, რომლებიც ბორჯომში იმ პერიოდში ბინადრობდნენ)	1	სხ-463	.03313	XX ს. დასაწყისი	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
10	ბილიარდის ბურთების მაგიდა (16 ცალი ბურთით) და კიების კარადა	ხე	2	სხ-452		XX ს. II ნახ. რუსეთი	#02828 და #06551 ძეგლთა რეესტრში შეტანილია ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-452
10.1	ბილიარდის ბურთების მაგიდა (16 ცალი ბურთით)				.02828		დანართ #1-ში შეტანილია ბურთები და მაგიდა ცალცალკე ნომრით. ბურთები- #08043, ხოლო მაგიდა #02822
10.2	კიების კარადა				.06551		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
წითელი ოთახი							
11	1. სავარძელი (ირანის შაჰის), 2. შირმა (თევზი), 3. სკამი (რბილი დასაჯდომით)		3	სხ-446		XIX ს. ბოლო, ირანი	
11.1	სავარძელი (ირანის შაჰის)	კაკლის ხე, აბრეშუმში, სიმაღლე - 150 სმ.			.06153		სარესტავრაციო, საზურგის ქსოვილი დაზიანებული
11.2	შირმა (თევზი)	სამნაწილიანი, ხე სიმაღლე - 170 სმ.			.08778		განთავსებულია სახალისი სხვენში
11.3	სკამი (რბილი დასაჯდომით)	კაკლის ხე, ქსოვილი, სიმაღლე - 50 სმ.			.05471		ქსოვილი არ არის ავთენტური, გამოსაცვლელია
12	მაგიდა	შავი ხის, ოთხკუთხა ფორმის სწორ, ვიწრო ფეხებზე, ხე, 78X37X51 სმ. სიმაღლე - 70 სმ.	1	სხ-443	.02361	XX ს. დასაწყისი, ჩინეთი	ფეხები გასამაგრებელია
13	ბიურო (სეკრეტერი) ნაპოლეონის	წითელი ხე, ტყავი, ბრინჯაო, 100X81 სმ.	1	სხ-434	.04802	XIX ს. საფრანგეთი	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
14	მაგიდა (პეტრე პირველის მაგიდა)	კაკლის ხე, 135X90 სმ.	1	სხ-441	.06333	XIX ს. I ნახ. რუსეთი	დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, მოცილებული აქვს 2 დეტალი - ხის და ბრინჯაოსფრად დაფერილი თაბაშირის. ლაკი გვიანდელია.

15	საათი ბუხრის (მარბარილოს სვეტებზე)	ბრინჯაო, მარმარილო, მინანქარი, სიმაღლე - 66 სმ.	1	სხ-439	.07593	XIX ს. საფრანგეთი	ამჟამად სამზარეულოშია	ვიზუალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შექანიზმი არ მუშაობს, ციფერბლატის მინა ამოვარდნილია.
16	აბურის ფიგურა (წყვილი)	ფაიფური, სიმაღლე - 45 სმ.	2	სხ-431		XIX ს. II ნახ. საფრანგეთი		
16.1	აბურის ფიგურა				.07773	XIX ს-ის II ნახ. საფრანგეთი	ახლა სამზარეულოშია	ძველი რესტავრირებული. კორპუსი მთლიანად დანებებულია.
16.2	აბურის ფიგურა				.07683	XIX ს-ის II ნახ. საფრანგეთი	ახლა სამზარეულოშია	საფუძველზე და კალათაზე აღენიშნება ბზარები
17	მცირე ზომის კუთხის კარადა „ბულის“ სტილში (წყვილი)	ზე, ბრინჯაო, ქსოვილი, სიმაღლე - 93 სმ.	2	სხ-437		XIX ს. II ნახ. საფრანგეთი		ორივე კარად რესტავრირებულია. საჭიროებს ხელახალ რესტავრაციას.
17.1	მცირე ზომის კუთხის კარადა „ბულის“ სტილში	კარადა მამლის გამოსახულებით			# 08943			სარესტავრაციო, ზედაპირი დაზიანებული აქვს, დეკორის ფრაგმენტი მოშვრალია
17.2	მცირე ზომის კუთხის კარადა „ბულის“ სტილში	კარადა ხობის გამოსახულებით			# 08853			სარესტავრაციო, ზედაპირი დაზიანებული აქვს
18	ბალში დასაფტამი დეკორატიული სკამები (7 სხვადასხვა, ერთ-ერთი ოთხკუთხედი)	ფაიფური, ქაშანური	7	სხ-432	## 00973, 00883, 08673, 09123, 09033, 00752, 00392	XIX ს. II ნახ. იაპონია (2 ერთეული), ჩინეთი (5 ერთეული)	#00973, 00883, 08673, 09123, 09033, 00752, 00932 ძველთა რეესტრში შეტანილია ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-432	
18.1	ბალში დასაფტამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 50 სმ.			# 00883	XIX ს. II ნახ. იაპონია	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
18.2	ბალში დასაფტამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 50 სმ.			# 00973	XIX ს. II ნახ. იაპონია	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
18.3	ბალში დასაფტამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 49 სმ.			# 08673	XIX ს. II ნახ. ჩინეთი	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი. ზედაპირზე შავი საღებავით დატანილია #1021	, სარესტავრაციოა. დაზიანებული აქვს ერთი სახელური. შიგნით, ძირთან აღენიშნება ვერტიკალური ბზარი
18.4	ბალში დასაფტამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 46 სმ.			# 09033	XIX ს. II ნახ. ჩინეთი	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი. ზედაპირზე შავი საღებავით დატანილია #1022	ადრე ძველი რესტავრირებული. ბზარები შენებებულია. დაზიანებულია და სარესტავრაციო.
18.5	ბალში დასაფტამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 50 სმ.			# 00392	XIX ს. II ნახ. ჩინეთი	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი. ზედაპირზე შავი საღებავით დატანილია #1014	რესტავრირებულია. ჩამოტყვილი აქვს ერთი სახელური. სარესტავრაციოა.

18.6	ბალში დასადგამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე -47,5 სმ.			# 00752	XIX ს. II ნახ. ჩინეთი	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი. ზედაპირზე შავი საღებავით დატანილია #1018	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე. რესტავრირებულია	
18.7	ბალში დასადგამი, დეკორატიული სკამი	სიმაღლე - 53 სმ.			# 09123	XIX ს. II ნახ. ჩინეთი	ამჟამად სამზარეულოშია გადატანილი. ზედაპირზე შავი საღებავით დატანილია #1020	სარესტავრაციოა. შიგნით ბზარები ძირიდან პირისკენ ვერტიკალურად.	
19	სავარძელი (მიმგრებული მოძრავო ოხკუთხა მაგიდითა და ფეხის დასადები პუფით)	ხე, ტყავი	1	სხ-448	# 03992	XX ს. რუსეთი		ტყავი დაზიანებულია, დამსკდარია. საჭიროებს რესტავრაციას	
აღმოსავლური ოთახი									
20	ბუხარი (აღმოსავლური კარვის ფორმის)	მარმარილო, სიმაღლე - 310 სმ.	1	სხ-464	# 07413	XX ს. I ნახ.		დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში	
21	1. საძინებელი გარნიტური (საწოლი და 2 კარადა) 2. ტუმბო მარმარილოს დაფით 3. სკამი		5	სხ-435		XIX ს. II ნახ. ბალტიისპირეთი	#02451, 0511, 04892, 05021, 05291 ძეგლთა რეესტრში შეტანილია ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-435		
21.1	კარადა	არყის ხე, 240X113 სმ.			# 02451			სარესტავრაციო, აკლია დეტალები	
21.2		2 ცალი			# 05111				
21.3	საწოლი	არყის ხე, 126X103X235 სმ.			# 04892		ამჟამად სათავსოშია განთავსებული	სარესტავრაციო, დაშლილია, აკლია დეტალები	
21.4	ტუმბო მარმარილოს დაფით	არყის ხე, მარმარილო, 85 X 46 X41 სმ.			# 05021		ამჟამად განთავსებულია საძინებელთან მდებარე სანკვანძში	დაზიანებულია, საჭიროებს რესტავრაციას	
21.5	სკამი	არყის ხე, ქსოვილი 47 X52 X 37 სმ.			# 05291		ამჟამად განთავსებულია საძინებელთან მდებარე სანკვანძში	სარესტავრაციო	
სანკვანძი საძინებელთან									
22	სკამი (4 ერთეული)	ხე, ტყავი, სიმაღლე 50 სმ.	4	სხ-444	## 05032, 04982, 05212, 05122	XX ს. აღმოსავლური, (ირანულის მიბაძვით)	#05032,04982, 05212, 05122 ძეგლთა რეესტრში შეტანილია ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-444	დაზიანებულია, საჭიროებს რესტავრაციას	
23	თაროედი (სწორკუთხა, სამი ლია თაროთი ასახდელი თავით)	ხე, მუდი, ლითონი. 115 X 56 X56 სმ.	1	სხ-447	# 05381	XX ს. რუსეთი		აქვს მცირე დაზიანებები, სარესტავრაციო	
24	სავარძელი	ხე, ტყავი, 115 X 58 X 67 სმ.	1	სხ-449	# 05302	XX ს. რუსეთი		სარესტავრაციო, ტყავი დაზიანებულია	

მიწოდების საკონტაქტო მონაცემები								
25	მაგიდა (2 ცალი - სამ ფეხზე, მრგვალი და ოთხ ფეხზე ოვალური), შავი მარმარილოს ინკრუსტირებული დაფით და მოხატულობით	ხე, მარმარილო	2	სხ-438		XX ს. დასაწყისი რუსეთი	## 04881, 04791 ძეგლთა რეესტრში შეტანილია ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით სხ-438	
25.1	მაგიდა	მაგიდა სამ ფეხზე, მრგვალი, შავი, მარმარილოს ინკრუსტირებული დაფით და მოხატულობით, სიმაღლე - 74 სმ.			# 04881			კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
25.2	მაგიდა	მაგიდა ტხ ფეხზე (ოვალური, შავი მარმარილოს ინკრუსტირებული დაფით და მოხატულობით), სიმაღლე - 75 სმ.			# 04791			კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
კვალიბიანი ოთახი								
26	მაგიდა დეკორატიული (ნაპოლეონის)	ბრინჯაო, გრანიტი, სიმაღლე - 77 სმ. დიამეტრი - 100 სმ.	1	სხ-445	# 02732	XIX ს. I ნახ. საფრანგეთი		ლითონის ნაწილები გასანმენდია
სახვენი								
27	სავარძელ იორმაგი დასაჯდომით და ერთი ზურგით, აღმოსავლური ფარდავით გადაკრული („გაბუტული შეყვარებული“)	ხე, გობელენი, 90 X 120 სმ.	1	სხ-442	# 02541	XIX ს. რუსეთი		სარესტავრაციო
28	ქანდაკება „ვენერა“ (ანტიკური ქანდაკების მცირე ზომის ასლი)	მარმარილო	1	სხ-451	#08328	XIX ს. იტალია	მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში	ძლიერ დაზიანებული, სარესტავრაციო
უბო								
29	სკამი ბალის (2 ცალი)	ქვა	2	სხ--450	# 06978	XX ს.	მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში	საკონსერვაციო
სულ ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ლიკანის სასახლეში დაცულ 51 ნივთს, რომელიც რეესტრში შეტანილია 29 საიდენტიფიკაციო ნომრით								

სასახლის ფასადი და მზო (შტრაჰი ძმგლები)							
1	აპოლონ ბელვედერის ქანდაკება	ანტიკური ქანდაკების ასლი, მარმარილო	1		# 00662		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში
2	აღმოსავლეთ ფასადზე ვენერას ქანდაკება ნიშაში ჩადგმული	მარმარილო	1		# 00482		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში
3	აღმოსავლეთ ფასადზე ვენერას ქანდაკება ნიშაში ჩადგმული	მარმარილო	1		# 00572		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში
4	შადრევნის შორიხლოს :ხის სვეტი ბრინჯაოს სკულპტურული კომპოზიციით ორი არნივი. რომლებმაც დაიჭირეს კურდღელი	ბრინჯაო	1		# 06798		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში
5	ბაყაყის ფიგურა შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადთან მონყობილ ნახევარწრიულ აუზში ((გვიანდელი ნიმუში, თავდაპირველის მსგავსი)	ლითონი, პოსტამენტი მარმარილო	1		# 06888		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში
6	შენობის სამხრეთით, პატარა მოედნიდან პარკის ქვედა ნაწილში მიმავალი ქვის კიბის ზედა შესასვლელი გაფორმებული მონაცრისფრო მარმარილოს ნაკვეთი ვაზის ტოტებზე მოხვეული სვეტზე მდგარი ლარნაკებით		2		# 08688		მითითებული საინვენტარო ნომერი მოცემულია მხოლოდ საქ. მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #625 განკარგულების დანართ #1-ში

ლიკანის სასახლეში დაცული კულტურული ფასეულობები - 2018 წ.

#	სახელწოდება	აღწერა	ერთეული	საინვ. ნომერი	შექმნის დრო და ადგილი	შენიშვნა	ფიზიკური მდგომარეობა/ რეკომენდაციები
სასახლის შესასვლელი							
1	ქალი რვასანთლიანი	ბროლი, თითბერი	1	# 00613	XX ს. რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
2	სარკე (ბუხრის თავზე)		1	# 01652	XX ს. რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
3	ტუმბო შავი	ხე, ლითონი	1	# 02901	XIX ს. II ნახ. რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე. რესტავრირებულია
4	ბრა სამსანთლიანი	ბრინჯაო	4	# 00253	XIX ს. რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
5	ბრა ორსანთლიანი	ბრინჯაო	10	# 00073	XIX ს. II ნახ. რუსეთი	დანართ #1-ში შეტანილია 10-ვე 2 სანთლიანი ბრა ერთი ნომრით-00073, სხვენში მდებარეს გარდა	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
6	ბუხარი	ქვის, სარკით	1	# 01063	XIX ს. ბოლო - XX ს. დასაწყისი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
სასადილო ოთახი							
7	ქალი 32 სანთლიანი	ბროლი	1	#01153	XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
8	ბრა კედლის 3 სანთლიანი	ბროლი	6	#01333	XIX ს. ბოლო XX ს. დასაწყისი, რუსეთი	დანართ #1-ში გატარებულია: #01333	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
9	მაგიდა სასადილო გასაშლელი	ოვალური, სასადილო, კაკლის ხე	1	#05651	XX ს.		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
10	როიალი „ესტონია“		1	#05561	XX ს. ესტონეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
11	ბუხარი	ხე, კერამიკის	1	#01513	XIX ს. ბოლო		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
ბილიარდის ოთახი							
12	ქალი ქსოვილის აბაჟურით (ბილიარდის თავზე დასაკიდებელი)	თითბერი	1	#06603	XX ს. დასაწყისი, რუსეთი	საინვ. ნომერი მოცემულია დანართ #1-ში	კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
13	მაგიდა ოვალური (2 ერთეული - სამ ფეხზე, ოთხ ფეხზე)	ხე	2	#05482 #07053	XX ს. რუსეთი		კარგი დაცულობის, დაზიანების გარეშე
14	ტახტი (რომანოვის)	ხე, რკინა, ქსოვილი	1	#00793	XIX ს. რუსეთი		საკონსერვაცია

15	ხალიჩა (აღმოსავლური)	შალი	1	#02152	XIX ს. ბოლო,	16.03.2018 - ვიზიტის დროს დაფიქსირებულია სივ. #.03272	საკონსერვაციო/სარესტავრაციო
16	მუთაქა (2 ერთეული) აღმოსავლურ სტილში	აბრეშუმი, გობელენი	2	#06911	XX ს.	საინვ. ნომერი მოცემულია დანართ #1-ში, ნივთი არც ძეგლი და არც ფასულობაა. რეკომენდირებულია მისი ფასეულობათა ნუსხაში გადატანა	საკონსერვაციო/სარესტავრაციო
ნითელი ოთახი							
17	ბუხარი	ხე, მალაქიტის იმიტაციით	1	#05973	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი		საკონსერვაციო
18	ნაკრები ბუხრისათვის (1 სადგამი და 4 სხვადასხვა ნივთი)	სპილენძი	5	#06063	XIX ს. ბოლო		საკონსერვაციო
19	პიანინო „შტუდგარტი“	ნითელი ხე, ბრინჯაო	1	#08493	XIX ს. გერმანია		საკონსერვაციო, აღენიშნება სოკო
20	ქალი 24 სანთლიანი	ბროლი, ბრინჯაო	1	#08403	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
21	ბრა კედლის, სამსანთლიანი (8 ერთეული)	ბრინჯაო	8	#08313	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
22	სანერი მაგიდა (სტალინის)	ხე, მაუდი	1	#08763		დანართ #1-ში მითითებულია სანერი მაგიდა ორი ტუმბოთი, დანართ #2-ში მხოლოდ მაგიდა. უნდა დარჩეს დანართ #2-ის შესაბამისად.	კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
23	სავარძელი მომრგვალებული ფორმის	კაკლის ხე	1	#05392	XX ს. ბალტიისპირეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
ღირფანი სამზარეულოს წინ							
24	კონსოლი ხის	ხე	1	#02181	XX ს. დასაწყისი		დაზიანებულია
აღმოსავლური ოთახი							
25	ქალი 12 სანთლიანი	ბროლი, ბრინჯაო	1	#09663	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
26	ბრა კედლის სამსანთლიანი (4 ცალი)	ბროლი, ბრინჯაო	4	#09753	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
რომანოვის საძინებელი							
27	ქალი	14 სანთლიანი	1	#07323	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე

სანქცანძი რომანოვიძის საკინეზოლოგია							
28	ფიგურა ი.ბ. სტალინის	ტონირებული თაბაშირი	1	#06821	XX ს. რუსეთი		დაზიანებულია, ჩამოტეხილი აქვს ფრაგმენტი
29	სავარძელი - საქანელა	ხე, ქილი	1	#06731	XX ს. რუსეთი		საკონსერვაციო/სარესტავრაციო
30	მაგიდა (მრგვალი, სამფეხზე)	ხე	1	#04971	XX ს. დასაწყისი, რუსეთი		საკონსერვაციო/სარესტავრაციო
31	ნარდი (2 ერთეული, ერთ-ერთი დასადგამი მაგიდით)	ხე, ქვა	2	#03261 #07991	XX ს. კავკასია	დანართ #2-ში, ნივთი არც ძეგლი და არც ფასულობაა. რეკომენდირებულია მისი ფასულობათა ნუსხაში გადატანა	დაზიანებულია
მეორე სართული დერაფანი							
32	ქალი 32 სანთლიანი	ბროლი, ბრინჯაო	1	#02462	XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		კარგ მდგომარეობაშია, დაზიანების გარეშე
კვალბიანი ოთახი							
33	ქ. დავლიანიძის გრაფიკული სურათი „ბაღში“	ქალაქი, შერეული ტექნიკა	1	#08981	2008 წ.		
სხვენი							
34	კომოდი (4 უკრიანი)	კაკლის ხის	1	#01832	XX ს. დასაწყისი, რუსეთი		საკონსერვაციო/სარესტავრაციო
35	ბრა (ორ ანთლიანი)	ბრინჯაო	1		XIX ს. ბოლო, XX ს. დასაწყისი, რუსეთი		დაზიანებულია
მეექვსე ბლოკი							
36	დავლიანიძის სურათი		6	## 05377 .05553 .02533 .02623 .02713 .05193			

ლიკანის სასახლეში დაცულია კულტურული ფასეულობის 75 ერთეული 42 საინვ. ნომრით. გამოწაკლისია ორსანთლიანი ბრა, რომელიც სადღესიოდ სხვენიში მოთავსებული და არ აქვს საინვ. ნომერი.

რეკომენდაციები

ლიკანის სასახლის სამუზეუმო ადაპტაციასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

1. საექსპოზიციო სივრცეების დაგეგმვების პროცესში გასათვალისწინებელია

ბორჯომის მზარემთვოდნობის მუზეუმის არქივში დაცული, 1926 წლის ლიკანის სასახლის აღწერილობითი ხასიათის დოკუმენტი, სადაც მოცემულია სასახლის სივრცეების ნიკოლოზ რომანოვის დროინდელი ფუნქციური დატვირთვა;

2. ლიკანის სასახლის ქონება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან სხვადასხვა გარემოებების (ლიკანის ქონების მეთი ნილის, განსაკუთრებით ფაიფურის, ვერცხლეულის, ძვირფასი ხალიჩებისა და თეთრეულის საქართველოდან გატანა საფრანგეთში და

ქართელ ემიგრანტთა მიერ გაყიდვა, ადგილობრივად დაკარგვა) გამო მნიშვნელოვნად შემცირდა. ქონების ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. რუსული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ფონდებში, მცირე ნაწილი გატანილია ექსპოზიციებში.

კვლევის საფუძველზე ამ ქონების სრულად იდენტიფიცირება და საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად ლიკანის სასახლის სამუზეუმო სივრცეში გადატანა (ექსპონატების დროებითი გადაცემის რეჟიმი). ასევე, საიმპერატორო დინასტიასა და ლიკანთან დაკავშირებული ცალკეული ნივთების შექმნა ან ასლების დამზადება. მაგ., სიენტიცის ქვისგან დამზადებული პავიანების ქანდაკებები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში; ეკუთვნოდა ლიკანის სასახლის პარკს, დამზადდეს ასლები და განთავსდეს სასახლის პარადული შესასვლელის წინ. მათი ადგილი არაერთ საარქივო ფოტოზეა დაფიქსირებული.

ასევე, აღმოსავლური კოლექციის ექსპოზიციებში განთავსებული ლიკანის სასახლის კუთვნილი ორი უძვირფასესი იაპონური ლარნაჟი. ეს ლარნაჟებიც საარქივო ფოტოებზე ფიქსირდება და მათი ლიკანისადმი კუთვნილება ეჭვს არ იწვევს. სასურველია მათი ლიკანის სასახლის საექსპოზიციო სივრცეში დაბრუნება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში ლიკანის სასახლის გამოყენებითი და სახეითი ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელოვანი რაოდენობაა დაცული. მათი ლიკანის სამუზეუმო სივრცეში დაბრუნება უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს მასალა მოგვცემს გარემოს რეკონსტრუქციის მეტ საშუალებას და მათი შინაარსიდან გამოძინ-

არე, ახალი მუზეუმის მნიშვნელობას გააათმაგებს. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ნაპოლეონის ოთახი“, ნიკოლოზ რომანოვის კაბინეტი, სასადილო ოთახი.

სასურველია, მიკვლევის შემთხვევაში ლიკანის სასახლის კუთვნილი ნივთების კერძო პირებისაგან შესყიდვაც. ამასთანავე, საექსპოზიციო სივრცის მეტად გაციობლები-სათვის შესაძლებელია საიმპერატორო ქარხნების ნარმოების ისეთი ექსპონატების შესყიდვაც, რომლებიც სასახლეს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ეპოქას ასახავს და ესთეტიკური და სამუზეუმო ფასიულობა აქვს (წინანდლის სასახლის გამოყვლივება).

ნიკოლოზ რომანოვის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი საექსპოზიციო სივრცეებისთვის, საჭიროდ მიგვაჩნია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის, გამოცემების (საისტორიო, საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო, ნადირობასთან დაკავშირებული) შექმნა და ექსპონირება;

3. ძველი ფოტოების ასლების დამზადება და მორარჩობა;

4. ექსპონირების მიზნით, ბორჯომში ნიკოლოზის მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და დიზაინთან შესაბამისობაში საექსპოზიციოდ მომზადება;

5. ჯერ შესასწავლი გვაქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული ექ. თაყაიშვილის მიერ საქართველოდან გატანილი და უკან დაბრუნებული ნიკოლოზ რომანოვის ბიბლიოთეკა. ვფიქრობთ, ბევრ სიახლეს წაგანცდებით;

6. ნიკოლოზის ლეპიდოგრაფიული მოღვაწეობის ექსპონირებისათვის სასურველია პეპლების პერმაროუმების დამზადება,

განსაკუთრებით მის მიერ აღმოჩენილი პეპლის ჯიშების, რომელთა სახელწოდებებშიც მის პატივსაცემად "Romanov" ფიგურირებს.

7. სასურველია, ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სამუზეუმო ფილმისათვის სცენარის მომზადება და ფილმის გადაღება. საექსპოზიციო სივრცეების სიმცირის გამო, დამთავლიერებლისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდების კარგი საშუალებაა;

8. ნიკოლოზ რომანოვის მიერ ბორჯომში განხორციელებული პროექტების ვიზუალიზაციის ეფექტური ხერხების გამოყენება და ერთიან ფორმატში მოქცევა;

9. სარესტავრაციო ექსპონატების შერჩევა, ერთიანი სიის შედგენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;


10. ლიკანის სახეითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების სრული იდენტიფიკაცია, შესწავლა, ფოტოფიქსაცია (ლიკანის სასახლე, ხელოვნების მუზეუმი), სხვადასხვა სახის ბექდური პროდუქციის მომზადება;

11. ხელოვნების მუზეუმიდან საექსპოზიციოდ შერჩეული (შესაძლებელია გამოყენებული იქნას დროებითი რეჟიმი) ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების განმეინდა-კონსერვაცია-რესტავრაცია;


12. საექსპოზიციო სივრცეში გასათვალისწინებელია ინფორმაცია სასახლის არქიტექტორების – ლ. ბუნუსასა და ლ. ბილფელდის შესახებ;


13. გასათვალისწინებელია ასევე, საღარი, ადმინისტრაციული სივრცე, სველი წერტილი; ტექნიკური პერსონალის სივრცე.

საინჟინერო
სამშენობლო სამსახური № 110



საინჟინერო
სამშენობლო სამსახური № 110





ლიკანის სასახლის სახვითი ხელოვნების კოლექცია

ირმა დოლიძე

XIX საუკუნის მიწურულს ლ. ბენუას პროექტით აგებული სასახლე ლიკანში ნიკოლოზ რომანოვის სასახფხლო რეზიდენციას წარმოადგენდა (მშენებლობას ხელმძღვანელობდა ლ. ბილფელდი). XX საუკუნის განმავლობაში სასახლემ არაერთხელ შეიცვალა ფუნქცია (პრეზიდენტის რეზიდენცია, დასასვენებელი სახლი და ა.შ.) თუმცა ყოველთვის საზოგადოების მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი. მოუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში თავდაპირველი ინტერიერის დამამშვენებელი გამოყენებითი ხელოვნების ათეულობითი (ვეროპოლი და ალმისალონი ფაიფოური, ავეჯი, მცირე პლასტიკა) ნიმუში შემორჩენილი იყო და დღემდე მოაღწია (ცხრა ათეულზე მეტი ექსპონატი. მათგან 29-ს (52 ერთეული) მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი) ლიკანის სასახლე არასდროს ყოფილა მუზეუმი. კომპლექსის ეს უმთავრესი არქიტექტურული ნაგებობა (კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლი) ფუნქციონირად მხოლოდ ეხლა შეიძინა სამუზეუმო შინაარსს და, შესაბამისად, სტატუსს (2018 წელს დასრულდა ლიკანის სასახლის კომპლექსის რესტავრაციის პროექტზე მუშაობა). რეაბილიტაციის შემდეგ ლიკანის სასახლე ფართო საზოგადოებისათვის გაიხსნება როგორც ისტორიული, მატერიალ-არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ძეგლი-მუზეუმი, პირველსაწყისი გარემოს რეკონსტრუქციით, ასევე, თავისი ეპოქისა და რუსეთის სამეფო ოჯახის, ბორჯომის საიმპერატორო მამულის მმართველის, მეცნიერის, ისტორიკოსის, ლეკ-

ილოპტოროლოგის, სახვითი ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერის, იზიათი, ხუთ ტომად შედგენილი, ილუსტრირებული კატალოგის – „XVIII-XIX საუკუნეების რუსული ფერწერა“ – ავტორის, ბორჯომში არაერთი ნოვატორული პროექტის განმახორციელებლის, ნიკოლოზ რომანოვის ღვაწლისა და ცხოვრების ამსახველი ექსპოზიციით.

ფორმულირება – ლიკანის სასახლის კოლექცია – არ არის შემთხვევითი და არ მოიცავს გამოყენებითი ხელოვნების მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებიც ამჟამადაა დაცული სასახლეში. ამ “ტერმინში” ჩვენ მოვიხარებით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების იმ ნიმუშებსაც, რომლებიც ლიკანის სასახლეს ეკუთვნოდა და სხვადასხვა დროს იქნა გატანილი. ეს არის XVII-XIX საუკუნეების დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული, იტალიური, პოლანდიური, ინგლისური) და რუსული ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების ათეულობით მალაქმხატვრული ნაწარმოები.¹

ლიკანის სასახლის კუთვნილი კოლექციები დღეს დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, დასავლეთ ევროპისა და რუსული ხელოვნების ფონდებში.

ლიკანის სასახლის კოლექციის მოძიებისა და კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აქ დაცულია 136 ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევარი. ისინი სხვადასხვა დროსაა ლიკანიდან წაღებული (1920 წ., 1921 წ. 1934 წ. 1956 წ. 1961 წ.).

შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდის საარქივო მასალების (ოფიციალური მიმონერა, ექსპონატთა გადაცემის აქტები, სიები და ა.შ) მოძიების, მუზეუმის სხვადასხვა ფონდის საინვენტარო ნივნებსა და სააღრიცხვო დოკუმენტაციისთან შედარება-შეჯერების საფუძველზე, მივიღეთ შემდეგი სურათი:

ლიკანის სასახლის სახვითი ხელოვნების კოლექცია

დასავლეთ ევროპის ფერწერა (55 სურათი), XVIII – XIX სს. – კოლექცია წარმოდგენილია ფრანგული, გერმანული, ინგლისური დაზღური ფერწერის ნიმუშებით. სხვადასხვა ფანრის (ისტორიული, მითოლოგიური, პორტრეტი, პეიზაჟი) სურათებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნაპოლეონის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს. ისინი წარმოდგენილია ორიგინალებისა და ასლების სახით (მათ შორის ნაპოლეონის გენერალთა პორტრეტები, რომელთა ორიგინალები ვერსალის სასახლის მარაგების დარბაზშია ექსპონირებული). ამ ტიპის ექსპოზიცია XIX საუკუნეში ერმიტაჟშიც შეიქმნა – ენ სამხედრო გალერეა (“პორტრეტების გალერეა”). იგი 1836 წელს გაიხსნა და 1812 წლის ომის მონაწილეთა 332 პორტრეტს აერთიანებს.

ნაპოლეონისადმი ნიკოლოზ რომანოვის, როგორც ისტორიკოსისა და მკვლევარის, ინტერესი განსაკუთრებული იყო. ის წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთისა და საფრანგეთის არქივებში და არაერთი ფუნდამენტური ნაშ-

1 აღნიშნული სტატია მოხსენების სახით – „კოლექციათა ატრიბუციის საკითხისათვის – ლიკანის სასახლე“ – წაკითხულ იყო საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივმკვდნობა, წყაროთმკვდნობა – ტენდენციები და გამოწვევები“ (25-27.X.2017) და დაიბეჭდა ამავე სახელწოდების კრებულში (თბილისი, 2018 წ.). წარმოდგენილ სტატიაში, უკვე შემდგომი კვლევის საფუძველზე, დაუსტებულა ინფორმაცია კოლექციათა რაოდენობაზე.



შოზაფინას პორტრეტი

რომი შექმნა ალექსანდრე I-ის და ნაპოლეონის ეპოქაზე. მათ დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო ღირებულება. სწორედ ამით აიხსნება მის კოლექციაში დაცული ნაპოლეონის თემისადმი მიძღვნილი ათეულობით სურათის არსებობა.

რუსული ფერწერა (36 სურათი) წარმოდგენილია XVIII-XIX სს. საპარადო პორტრეტით – იმპერატორების (ეკატერინე II, პავლე I, ელისაბედი, ნიკოლოზ I და სხვ.), გენერლების (ორიგინალები და ასლები) და ა.შ. მხატვრებს შორისა XVIII ს. რუსული პორტრეტული სკოლის ცნობილი წარმომადგენლები: ფ. როკოტოვი, ა. ანტროპოვი.



ბენარალ მარონის პორტრეტი



აბტრა ბაგრატიონის პორტრატი

გრაფია (35 ნიმუში) – კოლექცია უმთავრესად ფრანგული სკოლის ნიმუშებს აერთიანებს. მათ შორისაა ჟაკ ლუი დავიდის, გროს, პრიუდონის ნამუშევრები. ფერნერის მსგავსად, პრივალირებს ნაპოლეონის თემაზე შექმნილი სურათები (ისტორიული ჟანრი, პორტრეტი და ა.შ.).

ქანდაკება (10 ნიმუში) – კოლექცია ფრანგული, იტალიური და რუსული სკულპტურული სკოლებითაა წარმოდგენილი. პორტრეტებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა მითოლოგიურ თემატიკას.

ლიკანის სასახლის კოლექციითა დადგენა-ნა-ატრიბუციისთვის ყურადსაღებია კოლექციითა გადაადგილებისა და ადგილმონაცვლეობის გარემოება. როგორც ცნობილია, ბორჯომისა და ლიკანის სასახლეთა კოლექციები საქართველოს მენშევიური მთავრობის მიერ, როგორც ქვეყნის საგანძურის ნაწილი, 1921 წელს გაიტანეს საფრანგეთში,



ნაპოლეონის პორტრატი



აბტრატიონის იმპერატორ ფრანც II-ის პორტრატი

სადაც 34 წელი ინახებოდა სხვადასხვა საცავსა და ბანკში, ასევე, სოფ. ლევილში, სადაც თავად ცხოვრობდა ეროვნული საგანძურის მცველი – ექვთიმე თაყაიშვილი (მისი ოთახის კედლები თითქმის სრულად იყო დაფარული ლიკანის სასახლიდან წაღებული სურათებით).

1945 წელს საგანძური დაუბრუნდა საქართველოს. ლიკანის სასახლის სახით ხელოვნების კოლექცია გადაეცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. სამწუხაროდ, ლიკანის სასახლიდან წაღებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ექვთიმეს მიერ შეფასებული იყო როგორც

„სამუზეუმო“, XX საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთში გაიყიდა და მათ შესახებ მხოლოდ შემორჩენილი აღწერების მიხედვით თუ შეგვიძლია მსჯელობა.

ლიკანის სასახლიდან სახვითი ხელოვნების ნიმუშები რამდენჯერმე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაოდენობით იყო გატანილი. კერძოდ:

1. 1920 წელს, როდესაც ახალდაარსებულ საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა პირველი ექსპოზიცია, ლიკანის სასახლიდან წაიღეს 45 სურათი;

2. 1921 წელს, როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტანა სამუზეუმო ქონება (მათ შორის ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან – ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშები, ქანდაკება, ბიბლიოთეკა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ირმის რქე-



იულიუს კეისრის გიუსტი

ბი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები); 1945 წელს საფრანგეთიდან საგანძურის დაბრუნების შემდეგ სახვითი ხელოვნების კოლექცია გადაეცა საქართველოს ისტორიის მუზეუმს, ბიბლიოთეკა – საქართველოს უნივერსიტეტს;

3. 1934 წლის აპრილში ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმს გადაეცა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები;

4. 1956 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად (აქტი 344. 30/IX 56 წ.) ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს ქანდაკებები;

5. 1961 წლის 10 ივნისს – ქანდაკების და ფერწერის ნიმუშები.

ლიკანის სასახლიდან კოლექციითა „გადინება“ არ ეხება მხოლოდ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. ლიკანიდანაა წაღებული რომანოვების უმდიდრესი ბიბლიოთეკა და მინიატურები (160 ერთეული), შეფასებული 200 000 მანე-

თად [ჟორდანი, 1983: 35]. 1900 წელს ლიკანის სასახლიდან თბილისში, კავკასიის მუზეუმში, გადაიტანეს პეპლების კოლექციის ერთ-ერთი სიეფი. ამავე წელს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმს სანქტ-პეტერბურგში ნიკოლოზ რომანოვმა საჩუქრად გადასცა ლეპიდობტოროლოგიური კვლევის საფუძველზე შექმნილი მთელი თავისი კოლექცია. XIX ს. 80-90-იან წლებში მან ცხრა ტომად გამოსცა აღნიშნული კვლევის შედეგები.

ამდენად, ლიკანის სასახლის სამუზეუმო, ამავდროულად მემორიალურ, სივრცეში მნიშვნელოვანი იქნება ბიბლიოთეკის ექსპონირება, ისევე როგორც პეპლების კოლექციისა და მინიატურების (ამ უკანასკნელის კვლის მიგნება ჯერჯერობით ვერ ხერხდება). 1927 წლის აქტით, რომელიც ლიკანის სასახლიდან მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს გატანილ ქონებას აღწერს, რომის პაპთა 240 (და არა 160), ჩარჩოში ჩასმული, მინიატურაა აღნიშნული [Опись... №11105]

1920 წელს ლიკანის სასახლიდან საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისათვის გადაცემული ფერწერული ნიმუშების შესახებ

1920 წლის 2 ნოემბერს ლიკანის სასახლიდან ახალდაარსებულ საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეაში მისი პირველი ექსპოზიციისთვის, რომელიც ამავე წლის დეკემბერში გაიმართა, გადაიტანეს სახვითი ხელოვნების ათეულობით ნიმუში.

ეროვნულმა გალერეამ გამოფენისთვის ექსპონატები რამდენიმე მუზეუმიდან (საქართველოს მუზეუმი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, თავად ეროვნული გალერეა) და ლიკანის სასახლიდან შეარჩია. ხელოვნების მუზეუმში დაცულია გამოფენის მასალები ექსპონატთა სიებით, სად-



ნაოლეონის დის, კოლინა გორგოზას გიუსტი

ფერწერა:

1. ტალეირანის პორტრეტი. ტ.ზ. 25X16 (სხმ/დე ფ.43, სხმ/დე 395, ლიკანი, ბორჯომი. 3, ლიკანის სასახლიდან უფასოდ გადმოცემული 1920 წ. სეგ.77),
2. პირველი კონსული ხეის ამიენის ტრაქტატს. ტ.ზ. 29,5X23 (სხმ/დე ფ.48, სხმ/დე 400, ლიკანი, ბორჯომი. მ/სეგ.78, გადმოცემული ლიკანის სასახლიდან 1920 წ)..
3. აუდიენცია ნაპოლეონთან. ხე. მ. ზ. 38X30 (სხმ/დე ფ.50, სხმ/დე 402, ლიკანი, ბორჯომი. 10, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან 1920 წ. სეგ.91),
4. ნაპოლეონის საუბარი ავსტრიულ ტყვეებთან. ტ.ზ. 24,5X32 (სხმ/დე ფ.51 სხმ/დე 403, ლიკანი, ბორჯომი. 11, ლიკანის სასახლიდან გადმოცემული უფასოდ სეგ.72),
5. ავსტრიის იმპერატორის ფრანც II-ის პორტრეტი. ტ.ზ. 69X47, 1815 წ. (სხმ/დე ფ.62 სხმ/დე 415 ლიკანი, ბორჯომი. 2243 სეგ 66),
6. შატალური სცენა – ნაპოლეონის ომებიდან. ზ. ტ. 54X76 (სხმ/დე ფ.63, სხმ/დე 416, ლიკანი, ბორჯომი. 1765 სეგ 68),
7. ნაპოლეონის პორტრეტი. ტ.ზ. 56X34 (სხმ/დე ფ.64, სხმ/დე 417, ლიკანი, ბორჯომი. 2246, სეგ. 57),
8. ჯარის ნაწილების მოსაღმება ნაპოლეონთან. ტ.ზ. 99 X 145, 1834 წ. (სხმ/დე ფ.88, სხმ/დე 441 ლიკანი, ბორჯომი. 2248, სეგ 67, 1920 წლის 2 ნომბერი),
9. პეიზაჟი ელისეის სახლის ხედით. მ.ზ.. 33 X39 (სხმ/დე ფ.100 სხმ/დე 453 ლიკანი, 2267, სეგ 93),
10. გრაფ ვიტგენშტიინის პორტრეტი, მ.ზ. 37 X28 (სხმ/დე ფ.165, სხმ/დე 518, ხმმ/მხ 2245, სეგ. 92, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან),
11. ბიჭის პორტრეტი (გასპარ გაუზერი), ხე. ზ. 34X24 (სხმ/დე ფ.183, სხმ/დე 536, ლიკანი, ხმმ/მხ 2242, სეგ. 60, 1920 წლის 2 ნომბერი),
12. გენერალ ლა გოშის პორტრეტი, ტ.ზ. 82X65 (სხმ/დე ფ.232 სხმ/დე 585, ხმმ/ მხ 2250, სეგ. 73, ლიკანი – 1920 წლის 2 ნომბერი),
13. პრუსიის დედოფლის ლუიზას პორტრეტი, ტ.ზ. 49X51 (სხმ/დე ფ.239, სხმ/დე 592 ხმმ/მხ 2251, სეგ. 62 ლიკანი),
14. ნაპოლეონი ველზე ბრძოლის შემდეგ. ტ.ზ 56X73,5 1847 წ. (სხმ/დე ფ.241 სხმ/დე 585, ხმმ/მხ 2249, სეგ.65 ლიკანი, 1920 წლის 2 ნომბერი),
15. ნაპოლეონი მამლუქთან, ტ.ზ 50,5 X 42 (სხმ/დე ფ.242 სხმ/დე 596 ხმმ/მხ 2247, სეგ.63 ლიკანი, 1920 წლის 2 ნომბერი),
16. ავტოპორტრეტი, ტ.ზ 84X66 (სხმ/დე ფ.243 სხმ/დე 597, ხმმ/მხ 2240, სეგ.72, ლიკანი, 1920 წლის 2 ნომბერი),
17. მარშალ მასენას პორტრეტი, ტ.ზ. 63X52 (სხმ/დე ფ.244 სხმ/დე 598 ხმმ/მხ 2244, სეგ.69 ლიკანი, 1920 წლის 2 ნომბერი),
18. პეიზაჟი, შუშა,ზ. 12,5X15,5 (სხმ/დე ფ.267 სხმ/დე 1115, ხმმ/მხ 2379, სეგ.58, ლიკანი),
19. სამხედრო ბანაკი, ქ.ზ. დაკრულია მინაზე 38,5 X27 (სხმ/დე ფ.276 სხმ/დე 1448 ხმმ/მხ 2386 სეგ.71, ლიკანი, 1920 წლის 2 ნომბერი).

ბრაზიკა:

1. ჯოზეფინას პორტრეტი. ქ., ტუში, გუაში. 30X24 (სხმ/დე-ე გრ. 52 სხმ/დე-ე 410 შემოს. № ბორჯომი, ლიკანი 18, საფრანგეთიდან დაბრუნებული),
2. სამხედრო პიროს პორტრეტი. ქ., ფანქ., 22X18 (სხმ/დე-ე გრ.75 სხმ/დე-ე 632 ხმმ/მხ 2386, ლიკანი, სეგ. 91, 1920 წ. 2 ნოემბერი),
3. მხატვარ დავიდის პორტრეტი. ქ., ფანქ., 37X28,5 (სხმ/დე-ე გრ. 78 სხმ/დე-ე 635, ხმმ/მხ 2387, ლიკანი სეგ.75, 1920 წ. 2/XI),
4. მხატვარ გროსის პორტრეტი. ქ., ფანქ., 25X20 (სხმ/დე-ე გრ.79 სხმ/დე-ე 636 შემოს.№ ლიკანი სეგ.74, 1920 წ. 2/XI),
5. მხატვარ პრაუდონის პორტრეტი. ქ., ფანქ., 37,5X29,5. (სხმ/დე-ე გრ.80 სხმ/დე-ესხმ/დე-ე 637 შემოს.№ ლიკანი. სსსს. 417. სეგ.78, 1920 წ. 2/XI),
6. გენერალ კლებერის პორტრეტი. ქ. ფანქ. 40X32, 25X19 (სხმ/დე-ე გრ.81, სხმ/დე-ე 638 შემოს. № ლიკანი, სეგ.89, 1920 წ. 2/XI),
7. გენერალ შორის პორტრეტი. ქ., ფანქ., 17X25 (სხმ/დე-ე გრ.82 სხმ/დე-ე 639 შემოს. № ლიკანი. სეგ.88 ხმმ/მხ 2401, 1920 წ. 2/XI),
8. მარშალ შორატის პორტრეტი. ქ. ფანქ., 24X18 (სხმ/დე-ე გრ.83 სხმ/დე-ე 640 შემოს.№ ლიკანი. სეგ.87 ხმმ/მხ 2402, 1920 წ. 2/XI),
9. მარშალ მასენას პორტრეტი. ქ., ფანქ., 24,5X19. 40X32 (სხმ/დე-ე გრ.84 სხმ/დე-ე 641 შემოს.№ ლიკანი. სეგ.86 ხმმ/მხ 2403, 1920 წ. 2/XI),
10. ზოგარნეს პორტრეტი. ქ., ფანქ., 25X19, 40X32 (სხმ/დე-ე გრ.85 სხმ/დე-ე 642, შემოს. № ლიკანი სეგ.76, ხმმ/მხ 2404, 1920 წ 2/XI),
11. მარშალ სოუვის პორტრეტი. ქ. ფანქ., 25X19 (სხმ/დე-ე გრ.86 სხმ/დე-ე 643 შემოს. № ლიკანი სეგ.90 ხმმ/მხ 2398, 1920 წ. 2/XI),
12. მამაკაცის პორტრეტი. ქ., ფანქ., 23X15,5 (სხმ/დე-ე გრ.87 სხმ/დე-ე 644 შემოს.№ ლიკანი სეგ.77, ხმმ/მხ 2396, 1920 წ. 2/ XI),
13. მამაკაცის პორტრეტი. ქ., ფანქ., 29X21 (სხმ/დე-ე გრ.88 სხმ/დე-ე 645 შემოს.№ ლიკანი სეგ.79, ხმმ/მხ 2394, 1920/2/XI),
14. ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე, ქ., ფანქ., 29X21, 1839 წ. (სხმ/დე-ე გრ.89 სხმ/დე-ე 646 შემოს.№ ლიკანი სეგ.83 ხმმ/მხ 2390, 1920 / 2/XI),
15. ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე, ქ., ფანქ., 23,5X16 (სხმ/დე-ე გრ.90 სხმ/დე-ე 647 შემოს.№ ლიკანი სეგ.82, ხმმ/მხ 2391, 1920 წ. 2/XI),
16. ნაპოლეონის პორტრეტი. ქ., ფანქ., 31 X22,5 (სხმ/დე-ე გრ.91 სხმ/დე-ე 648 შემოს.№ ლიკანი სეგ.81, ხმმ/მხ 2392, 1920/2/XI),
17. ახალგაზრდა ნაპოლეონის პორტრეტი. ქ. ფანქ. 31X23 (სხმ/დე-ე გრ.92, სხმ/დე-ე 649 შემოს.№ ლიკანი სეგ.84, ხმმ/მხ 2388, 1920/2/XI),
18. ნაპოლეონის პორტრეტი. ქ., ფანქ., 31X23 (სხმ/დე-ე გრ.93 სხმ/დე-ე 650, შემოს.№ ლიკანი სეგ.85, ხმმ/მხ 2389, 1920/2/XI),
19. ნაპოლეონის პორტრეტი. ქ., ფანქ. 31X23 (სხმ/დე-ე გრ.94 სხმ/დე-ე 651 შემოს. № ლიკანი სეგ.80 ხმმ/მხ 2393, 1920/2/XI),
20. ამოთოზი ნაპოლეონზე. მ, სეპია, თეთრა, 18X25,31X39 (სხმ/დე-ე გრ.95 სხმ/დე-ე 652 შემოს.№ ლიკანი სეგ.94, 1920/2/XI),
21. დაჭრილი შვიშარი. გრავიურა, 9X10 (სხმ/დე-ე გრ.218 ხმმ/მხ 1114 შემოს.№ ლიკანი სეგ.57 (სეგ.57ა 1), 1920/2/XI),
22. ალექსანდრე I-ის ისტორიკოსი. გრავიურა, 27X19. 1826 წ. (სხმ/დე-ე გრ.153 სხმ/დე-ე 1020 ხმმ/მხ 2335 ლიკანი სეგ. 62ა).

ქანდაკება:

1. ვოლტერის თავი, პლასტილინი. 12X9 (სხმ/დ-ე ქ.17 სხმ/დ-ე 1045 სეგ. 58), ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი 1920 წლის 2 ნოემბერს).

რუსული ხელოვნების კოლექციიდან:

1. თავად ა. ა. პროზოროვის პორტრეტი, ტ.ზ. 33X26,5. XVIII ს. (სხმ/რ 205, სხმ/რ ფ.120, ხმ 1759, სეგ. 96, ლიკანის სასახლიდან უფასოდ 1920 წ. ნოემბერი),
2. ეკატერინე II-ის პორტრეტი. ტ.ზ. 62X53. 1771 წ. (სხმ/რ 291 სხმ/რ ფ.188 ხმ/შხ 1749 სეგ 55, გადმოტანილია ლიკანის სასახლიდან),
3. ელისაბედ ალექსანდრეს ასულის პორტრეტი. ტ.ზ. 73X63, XVIII ს. (სხმ/რ 297 სხმ/რ ფ.194 ხმ 1757 სეგ 86, ლიკანიდან 1920 წ. ნოემბერი.)
4. ეკატერინე II-ის პორტრეტი. ტ.ზ. 83X63. (სხმ/რ 310 სხმ/რ ფ.206 ხმ 1755 სეგ 59, ლიკანიდან 1920 წ. ნოემბერი),
5. ლიტონია ალექსანდრე ნეველის ლავრაში, პეტერბურგში. ქ.მ. ტუში, აკვარელი, გუაში, 48X60 (სხმ/რ 1101 სხმ/შხ 1763 სეგ. 95 გრ. 62, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან 1920 წ. 22/XI),
6. თავად ფედორალ ვეტცენშტეინის პორტრეტი. ტ.ზ. 60X70 (სხმ/რ 386 სხმ/რ ფ.280 სხმ/რ 9280).

ლიკანის სასახლიდან 1920 წლის 2 ნოემბერს ეროვნული გალერისთვის გადაცემული სურათების ვისახავ

ხელოვნების მუზეუმში დაცული დოკუმენტის [Материалы... სემ/ხმ] მიხედვით, სადაც ექსპონატების სიაა მოცემული, ეროვნული გალერის გამოფენისთვის შეირჩა შემდეგი ნიმუშები:

- > 55. ეკატერინე მე-2 პორტრეტი
- > 56. დედოფალ ელისაბედ ალექსის ასულის პორტრეტი
- > 57. ეკატერინე მე-2 პორტრეტი – როკოტოვისა ან ანტროპოვისა
- > 58. ნაპოლეონი ავსტრიელ ტყვეებით – პრუდონისა – უფასოდ
- > 59. ნაპოლეონი საკორონაციო სამოსელში – ესკიზი ჟერარისა
- > 60. გრ. სტროგონოვის პორტრეტი
- > 61. პრუსიის დედოფლის ლუიაზას პორტრეტი
- > 62. ნაპოლეონის დაბრუნება კუნძულ ელბიდან 1815 წ. – სურათი ბერანესის
- > 63. დაჭრილი თავადი ბაგრატიონი –
- > 64. უოზეფინა – აკვარელი (ფანერით მინერული აქვს დავიდი (1748-1825 – ი.დ.)
- > 65. მამაკაცის პორტრეტი – დავიდი (ფანერით გადახაზულია სიტყვა „მამაკაცი“ და ზევიდან დანერვილია – ტალირანის. ასევე, გადახაზულია დავიდი და რუსულად ჩასწორებულია „ишиши“ – ი.დ.)
- > 66. თავად ვოლკონსკის პორტრეტი

- > 67. ფანერით ნახატი – დავიდი
- > 68. ნაპოლეონი კონსული – დავიდი
- > 69. იმპერატორი ფრანც ავსტრიელი – კრაფტისა
- > 70. ნაპოლეონი მამელიუკით
- > 71. ნაპოლეონის აუდიენცია
- > 72. პროზოროვის პორტრეტი
- > 73. მხატვარ დაუს თვითპორტრეტი
- > 74. გენერალ ომის პორტრეტი
- > 75. ვიტცენშტეინი
- > 76. ელისის სასახლე
- > 77. ნაპოლეონი ბრძოლის დროს
- > 78. გენერლის ? პორტრეტი №. №. 55 – 78 საკუთ. ლიკანის სასახლი-სა“ [Материалы... სემ/ხმ].

1921 წელს მიხეილ ბონაპარტის მიერ საფრანგეთში დაღუპული სამხედრო ძოვების და მათ შორის გორაკისა და ლიკანის სასახლეებიდან გატანილი სახვითი და გამოყვანილი ხელოვნების ნიმუშებისა და პილარიების ვისახავ

მარსელი, 1921 წლის 7 მაისის კომისია /ე.წ. მარსელური სია/

მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ქონება წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმისა და სასახლის საკუთრებას. კერძოდ, საქართველოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-

ბის, ქართლ-კახეთის სამლედლოების საეკლესიო, საისტორიო-საეთნოგრაფიო და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, ასევე ეროვნული გალერეისა და ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების კუთვნილებას.

საქართველოს განძის ზედამხედველობა საფრანგეთში დაეკისრა ექვთიმე თაყაიშვილს (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს). მასთან ერთად განძის მეთვალყურედ დანიშნეს იოსებ ელიგულაშვილი (ფინანსთა მინისტრის მოადგილე), რომელსაც სახაზინო ქონების მოვლა-პატრონობა და ექვთიმესათვის სამუზეუმი განძეულობის მოვლაში დახმარება დაეკისრა. „ისეთი აჩქარებით მიმდინარეობდა ევკუაცია, რომ თბილისის „...მუზეუმებმა ვერ მოაწრეს ვერც სიის გადმოცემა და ვერც გასაღებების ევკუაცია მოულოდნელი იყო,“ - წერს ექვთიმე 1935 წლის მაისში პარიზში დაწერილ სტატიაში „ერთი შეკითხვის გამო“ [ქორდანია, 1983:39].

საგანძურის გადაზიდვის მარშრუტი იყო: ქუთაისი, ბათუმი (რკინიგზით), სტამბული და ბოლოს, მარსელი (ტემით), მაგრამ ეს არ იყო ერთად თავმოყრილი განძეულის ერთდროული გადატანა.

„3 მარტს საღამოთი მატარებელმა ბათუმს მიაღწია... ამ დროს, ბათუმში ჩასულა კიდევ რამდენიმე ვაგონი დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით. მაგრამ დგვილის უქონლობის გამო ბორჯომიდან ჩატანილი ყველა ყუთი ექვთიმეს ვერ მოუთავსებია კრეისერზე. მას იქ მოუთავსებია ბორჯომის სასახლეების მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც 27 ყუთში ჩალაგებულ 2300-მდე ძვირფას ნიგნს შეიცავდა (ეს დიდი მთავრისეული ბიბლიოთეკა ჩვენი მთავრობის სპეციალურმა კომისიამ 1927 წელს ორას ათას ოქროს მანეთად შეაფასა. ამჟამად, ამ ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილი თბი-

ლისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაშია დაცული. ესაა მეტად ძვირფასი ნიგნები რუსულ, ფარნგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე“ [ქორდანია, 1983:47]. ნიგნებთან ერთად კრეისერზე მოათავსეს „...მინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის დიდძალი ჭურჭლით დატვირთული 11 ყუთი; კავკასიური, სპარსული, ევროპული 41 ნოხით დატვირთული 3 ყუთი; თითო ყუთი ფიტულებითა და ოთახის ქანდაკებით; ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, ბროლის, მარმარილოს, ფაიფურისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (საათები, ვაზები, სასანთლეები, საფურცლები და სხვ.) დატვირთული 3 ყუთი. სულ გამოდის 25 ყუთი ე.ი. კრეისერზე მოუთავსებიათ 52 ყუთი ბორჯომის სასახლეებისეული ნივთები“ [ქორდანია, 1983:48].

მარსელში შედგა კომისია, რომელსაც უნდა გაემიჯნა „სამუზეუმი“ და „რესპუბლიკის მთავრობის ქონება“ და ცალ-ცალკე აღერეს ის. კომისიამ შევიდნენ ე. თაყაიშვილი, ი. ელიგულაშვილი, ზ. აველიშვილი და ა. დეკანოზიშვილი (საქართველოს მენშევიკური მთავრობის პარიზული ლეგაციის წარმომადგენლები).

კომისიამ მოახდინა ნივთების კლასიფიკაცია A, B, C, E, S კატეგორიად და ხუთ „დარგად“:

A კატეგორია – სამუზეუმი – თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის განძეულობა – 13 ყუთი; **B კატეგორია** – ზუგდიდისა და თბილისის სასახლეები, ყოფილი რუსული პოლკების ქონება (37 ყუთი) – „სამუზეუმი“; 16 ყუთი – „სარეალიზაციო“, 1 ყუთი (B 32) – „რომლის დანიშნულება გადანიშნული არ არის“; **C კატეგორია** – რუსული ეკლესიების ქონება (6 ყუთი) – „საკლესიო“. **E კატეგორია** – გელათის, მარტვილის, ხობის საგანძური – „სამუზეუმი“; **S კატეგორია** – ბორჯომის და ლიკანის სასახლეების ქონება

(61 ყუთი, აქედან 27 ყუთი – ნიგნები – საბიბლიოთეკო, 34 ყუთიდან ნაწილი – 20 ყუთი – „რომლის დანიშნულება გადანიშნული არ არის“ და ნაწილი – 14 ყუთი – „სამუზეუმი“ – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ამას გარდა, საქართველოდან ჩატანილი ქონება (მთლიანად 123 ყუთი) კომისიამ ორჯგუფად გაყო:

1. ნაკლებძვირფასი ქონების შემცველი 68 ყუთი (B-32 / C 1-6 / S 1-61 (ბორჯომ-ლიკანი), რომელიც 1921 წლის 7 მაისს კომისიამ მიაბარა „ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებას“ მარსელში.

2. უფრო ძვირფასი ქონებით დატვირთული 55 ყუთი (A 1-13 / B 1-31, 33-37 / E 1-6) და ოქრო-ვერცხლისა და სხვა სავალუტო ქონების შემცველი 112 ყუთი, ე.ი. სულ 167 ყუთი, საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას [ქორდანია, 1983:58-59].

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ექვთიმეს ხელნაწერი დოკუმენტი ე.წ. „პირი დოსიესი“ (ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127), რომელიც 1921 წლის მარსელური სია უნდა იყოს. ამ დოკუმენტის მე-5 ნაწილი („S“ 54-115) ასახავს ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან ნაღებულ ქონებას, მას ხელს აწერს კომისიის ოთხივე წევრი: ე. თაყაიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ზ. აველიშვილი, ი. ელიგულაშვილი.

ხელნაწერის მე-12, 17-26 გვერდებზე (ე.წ. მე-5 ნაწილი) მოცემულია ქონების ჩამონათვალი (ყოთებად, მცირე ანოტაციებით) – სულ 61 ყუთი. თავშივე მითითებულია „S“ კატეგორია (54 -115). სიის ნუმერაცია წარმოდგენილია „S“, რგითი ნომერი, ყუთის წარმომავლობა და ნომერი, იქ მოთავსებული ნივთების ჩამონათვალით ან აღნიშვნით. გვერდის მარცხენა ველზე დატანილია

შენიშვნები: მუზეუმი ან სამუზეუმო (ზოგჯერ – ქურჭელი, თეთრული). ყუთების სახელები მოცემულია შემდეგი პრინციპით:

1. ძველი ბორჯომის №... / ბორჯომის №...
 2. ძველი ლიკ. №... / ძველი ნომერი ლიკ. №...
 3. ძველი ბორჯომის ლიკ. №...
- ამ სიიდან გამოყოფთ ჩვენთვის საინტერესო ცნობებს, რომლებიც უკავშირდება სახვით ხელოვნების ნიმუშებს ლიკანის სასახლიდან:

- „5-4 ძველი ბორჯომის №30 – მუზ. ხის ყუთი სურათები ჩარჩოში
1. გენ. ტორმასივის (?),
 2. ალექსანდრე,
 3. გენ. რაევსკის,
 4. ვილაე გენერლის
 5. ქ-ნ რაინერის (?),
 6. გენ. Keyrier-ის,
 7. ... , მ. მარშლის,
 9. В.К.Н. ?
 10. ფცნობი ქალის სურათი,
 11. გრავიურა ყოზეფ ნაპოლეონისა.“

„5-8 ძველი ნომერი ლიკ. №47 – ხის ყუთი 4 სურათი საფრანგეთის გენერლების დიდრონი ზეთით ნახატი – სამუზ.“

„5-14 ძველი ბორჯომის ლიკ. №32 – სტატუა ნაპოლეონის ბრინჯაოს ცხენზე (ცხენის ფეხები გატეხილია) – სამუზ.“

1924 წლის 17 აგვისტოს სიით – 5-14 „ლიკვიდაცია შეიძლება თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის“, – ექვთიმეს მინანური [ქორდანია, 1983:66].

„5 – 15 ძველი ბორჯომის №4 – სამუზ. სურათები:

1. პეიზაჟი,
2. ზაგრატის ტაძარი ქუთაისში,
3. წმ. ცეცილია,
4. პაზარი კილო ... (?),
5. ფოტოგრაფია,

6. სურათი მადლენის (?) მარიამისა,
7. ქარავანი,
8. ძაღლის სურათი,
9. ფერადი გრავიურა“.

„5-23 ძველი ბორჯომის ნომერი არ გააჩნია – ერთი დიდი სურათი. მუზეუმი“ ქვემოთ ფრანგულად მიითებულა ავტორის სახელი და წლები – 1781-1835. სახელისა და გვარის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

„5-28 ძველი ბორჯომის 108 – სამუზ. – დიდი სურათი ზეთით ნახატი“

„5-31 ძველი ბორჯომის ლიკ. №44 – მუზ. – 4 სურათი ჩარჩოში (ზეთის ფერადებით)“

„5-37 ძველი ბორჯომის №36 ლიკ. – მუზ. – პორტრეტები ნაპოლეონის და სხვა.“

ხელნაწერის ბოლო გვერდზე, განსხვავებული ხელნერით მოცემულია შეიძუქტინა ჩამონათვალი, სადაც ფიგურირებს №5 – სამხატვრო გალერეიდან წამოღებული 14 სურათი. ციფრი 14 გადაკეთებულია 16-ად. ამ სურათების ნაწილი წამოღებულია ლიკანის სასახლიდან.

სხვადასხვა ნიმუშები

„5-36 ძველი ბორჯომის ლიკ. №35 – პეპელათა კოლექცია – მუზ.“

„5-10 ბორჯომის ნომერი არ აჩნდა – სამუზ. ხის ყუთი პატარა რქები, „ჩოჩქლოები“ ჩარჩოში ჩასმული ხავერდი... 5-13 ძველი ბორჯომის №2 – რქები ირმისა – სამუზ.“

1924 წლის 17 აგვისტოს სიით: 5-10 და 5-13 – „ლიკვიდაცია შეიძლება თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის“, – ექვთიმეს მინანური [ქორდანია, 1983:66].

საბიბლიოთეკა:

„5-5 ძველი ნომერი 227 ლიკ. №29 – ნიგნები სხვადასხვა...“

5-6 ძველი ლიკ. №21 – ხის ყუთი ნიგნები სხვადასხვა...“

5-9 – ძველი ნომერი ლიკ. №9 – ხის ყუთი ნიგნები სხვადასხვა...“

5-18 – ძველი ნომერი ლიკ. №10 – ნიგნები...“

5-19 – ძველი ნომერი ლიკ. №20 – ნიგნები...“

5-25 – ძველი ლიკ. №19 – ნიგნები,

5-26 – ძველი ლიკ. №13 – ნიგნები...“

5-30 ძველი ბორჯომის ლიკ. №29 – ნიგნები და სურათებიანი ალბომები...“

5-32 ძველი ბორჯომის ლიკ. №16 – ნიგნები,

5-33 ძველი ბორჯომის ლიკ. №2 – ნიგნები...“

5-35 ძველი ბორჯომის ლიკ. №6 – ნიგნები...“

5-38-59, ძველი ბორჯომის №№5, 15,12,8, 11,22,3,18,25,1,14,17,4,24,26 – ნიგნები ამავე დოკუმენტში: 5-22 (ძველი ბორჯომი – ნოხები) და 5-24 (ბორჯომის №1 – ნოხები) მარჯვნივ მინანური აქვს: გადაეცა ლევილის მამულს 2 აგვისტო 1922 წ.

დოკუმენტის თანახმად ლიკანს უნდა ეკუთვნოდეს სახვით ხელოვნების 5 ყუთი (5-8, 5-14, 5-31, 5-36, 5-37) და ნიგნების 11 ყუთი. ესენია:

„5-8 ძველი ნომერი ლიკ. №47 – ხის ყუთი 4 სურათი საფრანგეთის გენერლების დიდრონი ზეთით ნახატი – სამუზ.“

5-14 ძველი ბორჯომის ლიკ. №32 – სტატუა ნაპოლეონის ბრინჯის ცხენზე (ცხენის ფეხები გატეხილია) – სამუზ.“

5-31 ძველი ბორჯომის ლიკ. №44 – მუზ. – 4 სურათი ჩარჩოში (ზეთის ფერადებით)

5-37 ძველი ბორჯომის №36 ლიკ. – მუზეუმი – პორტრეტები ნაპოლეონის და სხვა (რაოდენობა არ არის დაზუსტებული – ი.დ.).

5-36 ძველი ბორჯომის ლიკ. №35 – პეპელათა კოლექცია“ [ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127].

ე.ი. საფრანგეთის გენერლების ამსახველი 4 სურათი, ნაპოლეონის პორტრეტები, ზეთით შესრულებული 4 სურათი და სხვ. საგარაუდოდ 10-ზე მეტი ნიმუშია (მაგრამ რამდენი?

ამის დადგენა შესაძლებელია საფრანგეთიდან დაბრუნებული სურათების მუზეუმისთვის გადაცემის ამსახველ დოკუმენტაციასა და საინვენტარო წიგნებზე დაყრდნობით). ქანდაკება – ნაპოლეონი ცხენზე, ბრინჯაო, ასევე, პეპლების კოლექცია.

ლავილი

1922 წლიდან ექვთიმე პარიზიდან 26 კმ-ით დაცილებულ სოფ. ლევილში, მენშევიკების მიერ შექმნილ სახლსა და ბაზალტში გადავიდა საცხოვრებლად, რომელიც დევნილი მთავრობის საზაფხულო რეზიდენციად გადაიქცა. ლევილშია გადატანილი ბორჯომისა და ლიკანის სასახლეთა 41 ყუთი სამუზეუმო ფასეულობებით მათ შორის „27 ყუთი დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ბიბლიოთეკით, რომელიც მოითვლიდა 2,264 (ან ცოტა მეტ) წიგნს – რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე – გადაუტანაით მარსელიდან, აღნიშნული საზოგადოების საწყობიდან, პარიზის მახლობლად ერთ-ერთი სოფლის საწყობში...“ [ჟორდანი, 1983: 64].

ამგვარად, გ. ჟორდანის მონაცემების და 1921 წ. მარსელური სიის შედარების შედეგად:

- > 55 ყუთი საგანძური + 112 ოქრო-ვერცხლი – მარსელის ბანკშია. აქედან 128 ყუთი გაყიდეს. დარჩა 39 ყუთი, რომელიც ინახებოდა ბანკში 13 წელი.
- > მარსელის საწყობში შენახული 68 ყუთიდან 61 ყუთი ბორჯომ-ლიკანისაა. ამ 68 ყუთიდან 2 (S 22/5 24 – ნოების) 1922 წლის 2 აგვისტოს ლევილს გადასცეს, რასაც 1921 წლის მარსელური სიის მინაწერიდან ვიგებთ). 27 ყუთი წიგნები გადაიტანეს პარიზთან ახლოს ერთ-ერთი სოფლის საწყობში. ჟორდანი ფიქრობს,

რომ ნოების 2 ყუთთან ერთად დანარჩენი 39 ყუთიც მარსელის საწყობიდან გადაიტანეს ლევილში ანუ სულ 41 ყუთი.

41 ყუთი შედგება: ბორჯომ-ლიკანის – 34 ყუთი „ა“ კატეგორია, რუსული ეკლესიის ქონება – „ც“ კატეგორია, „ბ“ კატეგორიის ქონება – 1 ყუთ „ა“.

ლევილში ეს 41 ყუთი დაყვეს სამუზეუმო და არასამუზეუმო ფასეულობებად. ამიტომ მარსელურ სიაში ექვთიმემ ფანქრით მიუთითა „სამუზეუმო“ იმ ყუთებს, რომელთა გაყიდვა საზიანოდ მიიჩნდა ქართული კულტურისთვის.

„სამუზეუმო“ მითითებული აქვს: „ა“ კატეგორიის 14 ყუთს და „ც“ კატეგორიის 6 ყუთს (რუსული საეკლესიო ქონება).

დანარჩენი არასამუზეუმოა – 21 ყუთი, რომელიც 1924 წლის აგვისტოსთვის უკვე სრულადაა გაყიდული.

ამდენად, ლევილში დარჩენილი სამუზეუმო ლირებულების 20 ყუთია („ა“ – 14 ყუთი – ბორჯომ-ლიკანი და „ც“ – რუს. საეკლესიო – 6 ყუთი). როგორც ჩანს, გაყიდვის საჭიროება კიდევ დაბდგარა და ექვთიმეს „ა“ კატეგორიის 6 ყუთზე 1924 წლის აგვისტოს სიაში მიწერილი აქვს „ლიკვიდაცია შეიძლება, თუმცა სასურველი არ არის“ და ჩამოთვლილია ეს 6 ყუთი: გამოყ. ხელ. – „ა“ 29 /42 /47, ბრინჯაოს ქანდაკება – „ა“ 14, ირმის და სხვა რქები – „ა“ 10/13.

აქედან გამომდინარე, ლევილში დარჩებოდა 8 ყუთი (ბორჯომ-ლიკანის) და 1 ყუთი (თუ ქანდაკება არ გაიყიდებოდა – ჟორდანია წერს რომ ეერ გაიყიდებოდა) ანუ 8 ან 9 ყუთი და 6 ყუთი „ც“ რუს. საეკლესიო ქონება.

ბორჯომ-ლიკანის 8 ან 9 ყუთიდან: 7 ყუთი – ფერწერა (ჟორდანის მონაცემებით 91 სურათი); 1 ყუთი – პეპლები; 1 ყუთში ქანდაკება (მარსელური სიის მიხედვით ამ 7 ყუთში – ბორჯომის 22 სურათია და ლიკანის 10-

ზე მეტი ანუ ჯამში ექვთიმეს ლევილში უნდა შექონოდა 32 სურათზე მეტი, მაგრამ ზუსტად რამდენი არ ჩანს).

ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო წიგნებში საფრანგეთიდან დაბრუნებულ ფასეულებებს, მათ შორის ლიკანის სასახლიდან 1921 წელს გატანილს, არ აქვს საქართველოს ეროვნული გალერეის (სეგ) საინვენტარო ნომრები. ასეთია: ნაპოლეონის გენერლების პორტრეტები – 34 ც. დას. ევრ. გრაფიკა – 6 სურათი; რუსული ფერწერა – 34 და გრაფიკა – 4 სურათი. ჯამში 78 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

„კ. მელაძე, რომელმაც ინახულა ექვთიმეს ბინა იქიდან ნამოსვლის წინ, იხსენებს, რომ ექვთიმეს ბინა მუზეუმშივეთ ყოფილა მონყობილი... კელდეზე ეკიდა დიდი სურათები... სურათები ბლომად ყოფილა...“ მელაძეს ეს სურათები საკუთარი ხელით ჩამოუხსნია კედლიდან. კიდევ უფრო სრულად აღწერს ექვთიმეს ბინას მანანა მჭედლიშვილი, ანტი-პიტლერული მოძრაობის აქტიური მონაწილე ქართველი ქალი, რომელიც 1943 წლის დამლევადან 6 თვე თავს აფარებდა ექვთიმეს ბინას... ორივე ოთახში კედლებზე ეკიდა სურათები შეოქრული ჩარჩოებით“- წერს მანანა მჭედლიშვილი [ჟორდანი, 1983: 67].

ხელოვნების მუზეუმის დასავლეთიპროვინსული და რუსული ხელოვნების ფონდები

ქვემოთ მოყვანილი მასალა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის დასავლეთიპროვინსული და რუსული ხელოვნების ფონდების საინვენტარო წიგნებიდან (1957-1958 წწ.) და ექსპონატთა სააღრიცხვო ბარათებიდან (XX ს. 70-80-იანი წლები) ამოღებულ ინფორმაციას.

ფერწერა:

1. მარშალ ლანის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.8, სხმ/დე-ე 360, ლიკანი, ბორჯომი 72,
2. მარშალ ლეფერის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.9, სხმ/დე-ე 361, ლიკანი, ბორჯომი 73),
3. მარშალ სულტის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.10, სხმ/დე-ე 362, ლიკანი, ბორჯომი 74),
4. მიურატის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.11, სხმ/დე-ე 363, ლიკანი, ბორჯომი 75),
5. მარშალ სოუმეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.12, სხმ/დე-ე 364, ლიკანი, ბორჯომი 76),
6. მარშალ ფიუნოს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.13, სხმ/დე-ე 365, ლიკანი, ბორჯომი 77),
7. მარშალ ბელუნის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.14, სხმ/დე-ე 366, ლიკანი, ბორჯომი 78),
8. მარშალ ბოგარნეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.15, სხმ/დე-ე 367, ლიკანი, ბორჯომი 79),
9. მარშალ უდინის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.16, სხმ/დე-ე 368, ლიკანი, ბორჯომი 80),
10. მარშალ ბესიუარის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.17, სხმ/დე-ე 369, ლიკანი, ბორჯომი 81),
11. მარშალ საერის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.18, სხმ/დე-ე 370, ლიკანი, ბორჯომი 82),
12. მარშალ მორტიეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.19, სხმ/დე-ე 371, ლიკანი, ბორჯომი 83),
13. მარშალ გუვიონის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.20, სხმ/დე-ე 372, ლიკანი, ბორჯომი 84),
14. მარშალ ტრუშის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.21, სხმ/დე-ე 373, ლიკანი, ბორჯომი 85),
15. მარშალ მსენას პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.22, სხმ/დე-ე 374, ლიკანი, ბორჯომი 87 (პარათიდან გენერალ მსენას პ-ტი),
16. მარშალ კლარკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.23, სხმ/დე-ე 375 ლიკანი, ბორჯომი 88),
17. მარშალ დავუს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.24, სხმ/დე-ე 376, ლიკანი, ბორჯომი 89),
18. ბერნადოტის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70. (სხმ/დე-ე ფ.25 სხმ/დე-ე 377, ლიკანი, ბორჯომი 90),
19. მარშალ ბერტიეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.26, სხმ/დე-ე 378, ლიკანი, ბორჯომი 91),
20. მარშალ დიუროკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.27, სხმ/დე-ე 379, ლიკანი, ბორჯომი 92),
21. მარშალ მაკდონალდის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.28, სხმ/დე-ე 380, ლიკანი, ბორჯომი 94),
22. პონიატოვსკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.29, სხმ/დე-ე 381, ლიკანი, ბორჯომი 95),
23. ოფეროს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.30, სხმ/დე-ე 382, ლიკანი, ბორჯომი 70),
24. ტალეირანის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დე-ე ფ.31, სხმ/დე-ე 383, ლიკანი, ბორჯომი 71),
25. ლორისტონის პორტრეტი, ტ.ზ. 93X74 (სხმ/დე-ე ფ.32, სხმ/დე-ე 384 ლიკანი, ბორჯომი 24),
26. ფუშეს პორტრეტი, ტ.ზ. 37X32 (სხმ/დე-ე ფ.33, სხმ/დე-ე 385 ლიკანი, ბორჯომი 69),
27. კოლენკურის პორტრეტი (ვინტეგენშტეინი), ტ.ზ. 37X32,3 (სხმ/დე-ე ფ.34, სხმ/დე-ე 386, ლიკანი, ბორჯომი 33),

28. გენერალ მარშონის პორტრეტი. ტ.ზ. 37X32 (სხმ/დე-ე ფ.35, სხმ/დე-ე 387, ლიკანი, ბორჯომი. 34),
29. მარშალ ნანსუტის პორტრეტი. ტ.ზ. 37X32 (სხმ/დე-ე ფ.36, სხმ/დე-ე 388 ლიკანი, ბორჯომი. 35),
30. გენერალ ფუბერის პორტრეტი. ტ.ზ. 62X50, 1800 წ. (სხმ/დე-ე ფ.37, სხმ/დე-ე 389, ლიკანი, ბორჯომი. 50),
31. მარეს პორტრეტი. ტ.ზ. 37X33 (სხმ/დე-ე ფ.38, სხმ/დე-ე 390 ლიკანი, ბორჯომი. 99),
32. გენერალ გურჯანის პორტრეტი. ტ.ზ. 81X66 (სხმ/დე-ე ფ.39, სხმ/დე-ე 391, ლიკანი, ბორჯომი. 86),
33. ნაპოლეონის გადადგომა ხეზ.. 83X110 (სხმ/დე-ე ფ.40, სხმ/დე-ე 392, ლიკანი, ბორჯომი. 19),
34. ნაპოლეონი მარშლებთან. ტ.ზ. 130X175 (სხმ/დე-ე ფ.58, სხმ/დე-ე 441, ლიკანი, ბორჯომი, 61),
35. ძაღლი. ტ.ზ. 38X50 (სხმ/დე-ე ფ.59, სხმ/დე-ე 412, ლიკანი, ბორჯომი. 56),
36. პეიზაჟი. ტ.ზ. 48X65. (სხმ/დე-ე ფ.60, სხმ/დე-ე 413, ლიკანი, ბორჯომი. 59).

სამხედრო პირთა ზემოაღნიშნული პორტრეტები ვერსალის მარშლების დარბაზში გამოფენილი სურათების ასლებია, შესრულებული XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ბრაზიკა:

1. ნაპოლეონი კუბოში. ქ., ფანქ., 14,5X21,5 XIX ს. (სხმ/დე-ე გრ.100, სხმ/დე-ე 657, საფრანგეთიდან დაბრუნებული), ძველი ადგილსამყოფელი – პარიზი),
2. 1815 წ. ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა პორტრეტები, ლითოგრაფია, 77X32 (სხმ/დე-ე გრ.226, სხმ/დე-ე 1128, საფრანგეთიდან დაბრუნებული სურათების სია №2),
3. ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა პორტრეტები, ლითოგრაფია, 72X28, XVIII ს. (სხმ/დე-ე გრ.406, სხმ/დე-ე 1311),
4. 1815 წ. ვენის კონგრესის მონაწილენი. გრაფიურა. 66X85 (სხმ/დე-ე გრ.405, შემოს. P.M. №908 სხმ/დე-ე 1310),
5. „სამი კონსული. გრაფიურა. 40X28, XVIII ს. (სხმ/დე-ე გრ.407, სხმ/დე-ე 1312).

რუსული ხელოვნების ფონდი:

1. გენერალ ოგიუსტ მარი ფრანსუა კოლბერის პორტრეტი. გრაფიურა, 82X56, XVIII ს.. (სხმ/დე-ე გრ.408, სხმ/დე-ე 1313, შემოს. № საფრანგეთიდან დაბრუნებული ნივთი №37),
2. მოხელის პორტრეტი, ქაღ. ვატმანი მუყაოზე, აკვარელი, 56X77, XIX ს. II ნახ. (სხმ/რ 118, სხმ/რ გრ.1, სია. №68),

3. უცნობი მეომრის პორტრეტი, ტ.ზ. 35X41 (სხმ/რ 369, სხმ/რ ფ263, 31 (სია C.P.K),
4. უცნობი მოხელის პორტრეტი, ხე.ზ. 30X40 (სხმ/რ 370, სხმ/რ ფ264), XVIII ს. ბოლო – XIX ს. დასაწყისი, 27 (სია C.P.K),
5. გენ. დიმიტრი-ზაბაიკალსკის პორტრეტი. XIX ს. (სხმ/რ 372, სხმ/რ ფ266, 48 (სია C.H.K),
6. გენერალ მარკლაი-დე-ტოლის პორტრეტი. ტ.ზ. 53X66 XIX ს. (სხმ/რ 373, სხმ/რ ფ267, 49 (სია C. .P.K),
7. ა.ა. ტორუსკოვის პორტრეტი. ტ.ზ. 58X41 (სხმ/რ 374, სხმ/რ ფ268, 46 (სია C.H.K),
8. გრაფ კლეინმიხელის პორტრეტი. ტ.ზ. 54X40, XX ს. ასლი (სხმ/რ 375 სხმ/რ ფ269, 47 (სია C. P.K),
9. დმ. გოლოცინის პორტრეტი. ტ.ზ. 47X63 XVIII ს. (სხმ/რ 376 სხმ/რ ფ270, 54 (სია C. H.K),
10. გენ. მ. პლატოვის პორტრეტი. ტ.ზ. 32X39, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 377, სხმ/რ ფ271, 32 (სია C.H.K),
11. გენერალ რავესკის პორტრეტი. ტ.ზ. 32X39, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 378, სხმ/რ ფ272, 26 (სია C. H.K)
12. ნიკოლოზ I-ის პორტრეტი. ტ.ზ.24 X32, XIX ს. დასაწყ.. (სხმ/რ 379, სხმ/რ ფ273, 26 (სია C. H.K),

13. გორაკოვის პორტრეტი. ტ.ზ. 58X70 (სმ/რ 380, სმ/რ ფ274), XIX ს. დასაწყ. 42 (სია C.P.K)
14. ფედორშალ მ.ი. კუტუხოვის პორტრეტი. ტ.ზ. 105X122, XIX ს. დასაწყ. (სმ/რ 381, სმ/რ ფ275 სმ/რ 9276), 20 (სია CH.K),
15. უცნობი მოხელის (გოლიცინის) პორტრეტი. ტ.ზ. 125X64, 1925 წ. ასლი. (სმ/რ 383, სმ/რ ფ277, სმ/რ 9277, №41 (სია CH.K),
16. დე. გოლიცინის პორტრეტი. ტ.ზ. 60X68,5 (სმ/რ 384, სმ/რ ფ278, სმ/რ 9278, №44 (სია CP.K),
17. გოლიცინის პორტრეტი. ტ.ზ. 60X69, XIX ს. I ნახ. (სმ/რ 385, სმ/რ ფ279, სმ/რ 9279, №43 (სია CP.K),
18. თავად ფედორშალ ვეტგენშტიინის პორტრეტი. ტ.ზ. 60X70 (სმ/რ 386, სმ/რ ფ280, სმ/რ 9280, №45 (სია CP.K),
19. გრაფ ტორმასოვის პორტრეტი. ტ.ზ. 48X60, XIX ს. I ნახ. (სმ/რ 388, სმ/რ ფ281, №43 (სია CP.K)
20. ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 59X86 (სმ/რ 389 სმ/რ ფ282, .№22 (სია CP.K)
21. უცნობი ადმინარალის პორტრეტი. ტ.ზ. 25X31, XIX ს. I ნახ., (სმ/რ 390, სმ/რ ფ283), №29 (სია CP.K),
22. მარიამ თედორეს ასულის პორტრეტი. ტ.ზ. 64X51 (სმ/რ 392, სმ/რ ფ284), №60 (სია CP.K),
23. პავლე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 52X68, XVIII ს. (სმ/რ 393, სმ/რ ფ285, №65 (სია C.KP.),
24. გრაფ აა. არაკევივის პორტრეტი. ტ.ზ. 60X70 (სმ/რ 394, სმ/რ ფ286, №39 (სია C.P.K.),
25. გრაფ მ.ა. მილორადოვიჩის პორტრეტი. ტ.ზ. 62X69 (სმ/რ 395 სმ/რ ფ287, №66 (სია C.),
26. აფ. ორლოვის პორტრეტი. ტ.ზ. 57X67 (სმ/რ 396, სმ/რ ფ288, №67 (სია C.),
27. გენერლის პორტრეტი. ტ.ზ. 79X65 XVIII-XIX ს. დასაწყისი (სმ/რ 397, სმ/რ ფ289, №38 (სია C.),
28. ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 88,5 X 62 (სმ/რ 398 სმ/რ ფ290), №23 (სია C.),
29. მიტროპოლიტ ფოტის პორტრეტი. ტ.ზ. 60X75 (სმ/რ 399, სმ/რ ფ291, №37 (სია C.),
30. კაბინეტის შიდა ხედი. ტ.ზ. 44X67, XIX ს. I ნახ. (სმ/რ 401, სმ/რ ფ293, 58 (სია C.),
31. ა. შიშკოვის პორტრეტი. ტ.ზ. 115X92 (სმ/რ 402, სმ/რ ფ294), XIX ს. I ნახ. 21 (სია C),
32. ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 41X28, XIX ს. I ნახ. (სმ/რ 428, სმ/რ ფ300, 30 (სია C.),
33. ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 47X38, XIX ს. I ნახ. (სმ/რ 429, სმ/რ ფ301, 36 (სია C.),
34. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში. ტ.ზ. (სმ/რ 430 სმ/რ ფ302), 55 (სია C.),
35. აქლემების ქარანის გადასვლა მდინარეზე. ქ. აკვარელი. 31X48. (სმ/რ 1326 სმ/გრ. 260), კონსტანტინე ფილიპოვი (ნიგნში მითითებულია: ასლი №30),
36. თბილისი. ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე. ქ. აკვარელი. 36X50,5 (სმ/რ 1327, სმ/გრ. 261, ხემ/8ხ 2326), კონსტანტინე ფილიპოვი, (სია 57),
37. ფილებში თათბირი. ტ.ზ. 150X104, ასლი (№110. B ფონდი, სურათი დაბრუნებულია პარიზიდან №62),
38. პეიზაჟი. ტბა ტყეში. ტ.ზ. 108X160 (№113. ფონდი), დაბრუნებული საფრანგეთიდან (სია №63.

სამუზეუმო დოკუმენტაციაში (საინვენტარო წიგნები, ექსპონატის სააღრიცხვო ბარათები) შემოაღწიონულ ყველა სურათზე მითითებულია: საფრანგეთიდან დაბრუნებული, ძველი ადგილსამყოფელი - პარიზი.

1934 წლის აპრილში ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმს გადაეცა სახვითი და

გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. მათ შორისაა:

1. **ოაქიმე მოურატი.** მარმარილო. 50 სმ. (სხმ/დე ქ.65 შ.6.5201 სეგ. 1344 სხმ/დე 1809), აქტი №764, 17.VI.61. ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი;

2. **ფრანგული სკოლა.** მარმარილო. 50 სმ. (სხმ/დე ქ.64 შ.5. 5200 სხმ/დე 1808 სეგ. 1375, ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი 1934 წლის 10 აპრილს);

ხელოვნების მუზეუმისთვის 1934 წლის აპრილში გადაცემულ ექსპონატებს შორის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებთან ერთად, დასახელებულია ფილიპოვის ორი სურათი:

1. **ქველი თბილისის კუთხე. იარაღით მოვაჭრე თათარი.** ქ. აკვარელი, სეპია. 43X30,5 (სხმ/რ 1466, სხმ/რ გრ.399, სხმ/შხ 1945, სეგ. 1344, ძირითად შემოსულობათა ნიგნში – „იარაღით მოვაჭრე თათარი“). გადმოცემულია 1934 წ. 10/IV. ბორჯომის სასახლეებიდან (ძირ. შემ. ნიგ.)

2. **მოგზაურობა ურშით** (путешествие на урне). ქ. აკვ. 25X35,5 (სხმ/რ 1467, სხმ/რ გრ.400, სხმ/შხ 1946, სეგ 1345), გადმოცემულია 1934 წ. 10/IV. ბორჯომის სასახლეებიდან (ძირ. შემ. ნიგ.).

1956 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადატანილია (აქტი 344. 30/IX 56 წ.) ქანდაკების შემდეგი ნიმუშები:

1. **ნაპოლეონის დის – პოლინა ბორგეზეს პუსტი.** მარმარილო, 69 სმ. (სხმ/დე-ქ.38 შ.წ. 2014 სხმ/დე 1681), აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.),

2. **ფოზეფონას პუსტი.** მარმარილო, 57 სმ. (სხმ/დე-ქ.39 შ.წ. 2015 სხმ/დე 1682), XIX ს. აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.),

3. **ნაპოლეონ I-ის დედის, მარია ლეტიციას პუსტი.** მარმარილო, 52 სმ. (სხმ/დე ქ.40 შ.წ. 2016 სხმ/დე 1683), აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.),

4. **ოულოუს ცეზარის პუსტი.** მარმარილო, 61 სმ. (სხმ/დე ქ.41), აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.).

ლიკანის სასახლიდან 1961 წელს ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს:

1. **ალექსანდრე I-ის პუსტი.** მარმარილო, XIX ს. (სხმ/რ ქ.31, სხმ/რ 1867), ლიკანიდან 1961 წ. 10/VI. აქტი 734),

2. **ნიკოლოზ I-ის მეუღლის, ალექსანდრა თევდორეს ასულის პორტრეტი.** (სხმ/რ ქ.32, სხმ/რ 1868, 1961 წ. 10/VI აქტი 734. ლიკანიდან).

ლიკანის სასახლიდან სხვადასხვა დროს ნაღებული ნიმუშების რაოდენობრივ-სახეობრივი ატრიბუცია აღნიშნულ კოლექციათა შესწავლის მხოლოდ საწყისი ეტაპია, უმნიშვნელოვანესია მათი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების დადგენა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. აღნიშნული კოლექციები ლიკანის სასახლის სამუზეუმო კონცეფციის საფუძველია, რომელიც, თავის მხრივ, ავთენტური გარემოს რეკონსტრუქციის იდეას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ლიკანის სასახლის სახეითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ სასახლეში „დაბრუნების“ შემდეგ, ახალ დატვირთავს უკვე ახალ სამუზეუმო სივრცეში შეიქმნენ.





▷ ბიბლიოგრაფია:

- > აბესაძე ირინა. ბაგრატიშვილი ქეთევან. 1998. დიმიტრი შვეარდნაძე. თბილისი: საქართველო
- > ამირანაშვილი შალვა. 1968. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- > ამირანაშვილი შალვა. 1978. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- > დედუაიანი გაიოზ. 1931. მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები. ტფილისი: სახელგამი
- > ჟორდანიას გივი, 1983. დაბრუნებული საუნჯე, თბილისი: მეცნიერება
- > კილაძე ცისია, ბეჟუაშვილი მაკა. საქართველოს ეროვნული გალერეა. კომპაქტ დისკო. თბილისი: სანეტო
- > ექვთიმე თაყაიშვილის არქივი №1127 [კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი]
- > Материалы об открытии выставки картин сторинной живописи в здании Национальной галереи Грузии, состоящейся из коллекций национальной галереи Грузии, музея Грузии, Историко-этнографического общества Грузии и Ликанского дворца (отношения, списки), 1920 . оп №2, научная часть. სემ/ ხმ [საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი]
- > Опись грузинских музейных ценностей, вывезенных бывшим меньшевистским правительством за границу в 1921 г. и возвращенных из Парижа в Грузию в 1945 г., составленная приемочной комиссией СНК. 1946. Редактор Джанашия С. Тбилиси: Госиздат Грузинской ССР
- > Опись имущества вывезенного из Ликанского дворца меньшевиками правительством в первой половине февраля 1921 года. №88 [ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი] №11105
- > Список экспонатов, переданных в государственный музей Грузии из Ликанского дворца [საქართველოს ეროვნული მუზეუმი / შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი].

ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონება – გამოყენებითი ხელოვნების კოლექცია

ეკა კაჭარავა

„ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონება – გამოყენებითი ხელოვნების კოლექცია“ – საკითხის კვლევის პირველადი ეტაპის შედეგების ასახვის წარმოადგენს. კვლევის პროცესი ამჟამადაც გრძელდება. ამდენად, ჩვენ მხოლოდ მოკლედ, ძირითადი მომენტების გათვალისწინებით მიმოვიხილავთ აღნიშნულ საკითხს.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს საიმპერატორო ოჯახის ნეერების ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებში დაცული ქონების ისტორიისა და ექსპონატების კატალოგის სამეცნიერო აპარატის დართვით, ალბომის სახით გამოცემა.

საქართველოში საიმპერატორო ოჯახის კუთვნილი ქონების ისტორია ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ერთი – ეს არის მენშევიკური მთავრობის დროს, ქართულ საგანძურთან ერთად, ექ. თაყაიშვილის მეთვალყურეობით საქართველოდან გატანილი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ბორჯომის სასახლისა და ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის ლიკანის სასახლის ქონება და მეორე, – ამავე სასახლეების კუთვნილი, საქართველოში დარჩენილი ქონება.

როგორც კვლევის შედეგად იკვეთება, ორივე შემთხვევაში ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების კუთვნილ ქონებას უაღრესად რთული და მძიმე თავგადასავალი აქვს. ამ კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი სადღეისოდ დაკარგულია. მათი მოძიებისა და კვლევის პროცესში, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გარდა დიდად დაგვეხმარა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსადმი დაქვემ-

დებარებულ, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალა (დოკუმენტაცია და ფოტომასალა), ამავე მუზეუმში დაცული გამოყენებითი ხელოვნების კოლექციები, რომელთა კვლევის, აღნუსხვისა და ფოტოფიქსაციის საფუძველზეც მოხდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ამავე სასახლეების კუთვნილი კოლექციების მოძიება-იდენტიფიცირება, ასევე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმში დაცული საარქივო დოკუმენტაცია, კერძოდ, საქართველოს ეროვნული გალერეის, გამოყენებითი ხელოვნების რუსული და ევროპული ფონდების საინვენტარო წიგნები, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული

ექ. თაყაიშვილის ხელნაწერი დოკუმენტი, სანქტ-პეტერბურგის 2017 წლის სამეცნიერო მივლინების შედეგად მოძიებული საარქივო მასალა, კერძოდ მიხეილ რომანოვის სასახლის ქონების აღწერა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მეტეხის მუზეუმის დმ. შევარდნაძისეული დროებითი დავთრის მოძიება.



საქართველოს ეროვნული გალერეის საინვენტარო წიგნის საფუძველზე მოძიებული ექსპონატების ნიმუშები



ფოტომასალის დართვით შევადგინეთ ბორჯომის მხარეთმცოდნეობისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმებში დაცული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ამ დროისათვის მოკვლეული გამოყენებითი ხელოვნების ექსპონატების ცხარელები.

ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების საქართველოდან გატანილი და დაბრუნებული ქონება

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ლიკანის სასახლის კუთვნილი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ საგანძურთან ერთად 1921 წლის თებერვალ-მარტში ქვეყნიდან იყო გატანილი.

ამ ქონების რთული თავგადასავლისათვის თვალის გადაყენება მეტ-ნაკლებად შესაძლებელს ხდის დაკარგული თუ დაბრუნებული ქონების რაობა-ოდენობისა და მნიშვნელობის დადგენას.¹ მენშევიკური მთავრობის განკარგულებით ქართულ საგანძურთან ერთად, ქვეყნიდან ემიგრირებულ ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებას, ქართულ საგანძურთან შედარებით ბევრად უფრო მძიმე ბედი ხვდა წილად.

ბათუმის ნავსადგურიდან ქართულ საგანძურთან ერთად ბორჯომული ქონების 52 ყუთი გავიდა. ეს იყო ლიკანისა და ბორჯომის სასახლეების უმდიდრესი ბიბლიოთეკა – 2300 წიგნი – რუსული, ფრანგული და გერმანულენოვანი ლიტერატურა [ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით – 27 ხოლო, ბორჯომის მხარეთ-

მცოდნეობის მუზეუმში დაცული 1927 წლის აღწერის თანახმად 52 ყუთი], ფერწერა – 7 ყუთი, ჭურჭელი (მინა, ბროლი, ფაფური, ფანასი) – 11 ყუთი, ინტერიერის ქანდაკებები – 2 ყუთი, საყოფაცხოვრებო ნივთები (ბრინჯაო, სპილოს ძვალი, ბროლი, მარმარილო, ფაფური) – 3 ყუთი, პეპლების კოლექცია – 1 ყუთი, 41 ნობი (კავკასიური, სპარსული, ევროპული) – 3 ყუთი, ძვირფასი თეთრული (მთ შორის სუფრის) – 6 ყუთი, ირმის რქები – 2 ყუთი.

ირმის რქების დიდი ნაწილი, მაშინვე, სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა მოწოდებით დატოვეს.

საფრანგეთში ჩასული, ხელახალი გადაწვების შემდგომ, ჩვენთვის საინტერესო ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონების (61 ყუთი) ბედი ქართული საგანძურისგან განსხვავებით სხვაგვარად წარმართა.

ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონების შემცველი 61 ყუთი (S-1-61) 1921 წლის 7 მაისს კომისიამ მარსელში „ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებას“ მიაბარა.²

საბიბლიოთეკო დანიშნულების 27 ყუთის გარდა, დარჩენილი 34 ყუთი, კომისიამ შემდეგნაირად განაწილა – „რომელთა დანიშნულება გადაწყვეტილი არ არის“; და „ნაწილობრივ ისეთად, რომელნიც „სამუზეუმო“ იყო განკუთვნილი“.³

1922 წლისათვის ექვთიმე და მისი მუელე – ნინო პოლტორაცკია-თაყაიშვილი ლეე-

ილის მამულში სახლდებიან. გ. ყორღანია მიიჩნევს, რომ ამ დროსვე უნდა გადაეტანათ ლევილში ის დანარჩენი ქონება, რაც 1921 წლიდან ენყო მარსელში „ქონების გადატანის ეროვნული საზოგადოების“ საწყობში.

ლევილში გადატანილი 41 ყუთიდან ჩვენთვის საინტერესო 5 კატეგორიის იყო 34 ყუთი. მარსელიდან ლევილში გადატანისთანავე დადგა ამ ყუთებში დაცული ქონების შემდგომი ბედის საკითხი. ლევილში გადატანილი 41 ყუთი ორ კატეგორიად დაიყო, ასეთ ყუთებს 1921 წლის მაისის საბიბლიოთეკის ხელთ ფანქრით მიწერილი აქვთ – „მუზეუმის“ ან „სამუზეუმო“. ამდენად, თუ ვენდობით გ. ყორღანიას მოსაზრებას, ლიკანისა და ბორჯომის ქონების დარჩენილი 34 ყუთი ლევილში მოხვდა.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ექ. თაყაიშვილის 1921 წლის მაისის ხელნაწერი დოკუმენტის (№1127) მეხუთე ნაწილი (5-eme Partie „S“ 54-115) შეიცავს ქვეყნიდან გატანილი საგანძურის ბორჯომ-ლიკანის სასახლეების ქონების ჩამონათვალს. დოკუმენტს ხელს აწერენ ე. თაყაიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ზ. ავალოშვილი, ი. ელიგულაშვილი.

ეს ქონება ექვთიმეს კლასიციტირებული აქვს როგორც სამუზეუმო („მუზეუმის“ და „სამუზეუმო“) და არასამუზეუმო დანიშნულების.

ასეთივე მინაწერები გაკეთებული ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო 5 – კატეგორიის 14 ყუთის (S 8, 10, 13, 14, 15, 23, 28, 29, 30, 31, 36, 37, 42, 47) – სამუზეუმო კატეგორიისად სულ უცვლელად 14 ყუთში განთავსებული ქონება. აქედან, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს შეიცავდა მხოლოდ სამი (S 29, 42, 47).

ექვთიმეს სია იძლევა მიახლოებით ამ სამი ყუთის შიგთავსის ოდენობისა და შინაარსის დადგენის საშუალებას:

1. ექ. თაყაიშვილის თანხლებით საქართველოდან გატანილი ქართული საგანძურის საკითხი ღრმად და დეტალურად აქვს შესწავლილი შესაბამისად ისტორიკოსს – გივი ყორღანიას. ნაშრომში „დაბრუნებული საუნჯე“, მეცნიერი ქართულ საგანძურთან ერთად ბორჯომისა და ლიკანის ქონებასაც ვკრთავს ყურადღებას უთმობს.
2. შესაძლოა წიგნები თავიდან 52 უფრო მომცრო ზომის ყუთში იყო განთავსებული და საფრანგეთში, ხელახალი გადაწვების შემდგომ სხვა, უფრო დიდი ზომის 27 ყუთში განათავსეს.
3. გივი ყორღანია, დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983, გვ. 60
4. იქვე, გვ. 59





- S 29 – 1 ყუთი – დიდი „ბრონზის“ საათი, სასანთლე ლითონის, უბრალო შანდალი, „ბრონზის ვაზა“, სამელნე, ქვის საფერფლე, სპილოს ძვლის ფიგურები, სპილოს ძვლის დანა;
- S 42 – 1 ყუთი – მარმარილოს საათი, ბროლის „ვაზა დიდი“, მესამე საგანი არ იკითხება;
- S 47 – „ბრონზის“ საათი, ხის კოლოფი, ყვითელი მარმარილოს ოთხფეხიანი შანდალი, ვაზა „ბრონზის“, „ბრონზის“ ქანდაკება, შანდალი ყვითელი, „ბრონზის“ საფერფლე, გრძელი შანდლის ტარი, „ფლიაჟკა“ დიდი, ძველი ლენტები, 1 სამელნე, 2 „ფარფორის“ ფარშეიანი, 1 „ფარფორის“ სპილო, ვერცხლის საყავე (?), 2 „ბრონზის“ ნიეთი, 1 სპარსული თასი, ერთი მედალიონი, 1 სურათი, 2 კოლოფი ხის, 1 ვაზა, 1 პორტრეტი, 1 საფერფლე, 1 სპილოს ძვლის „შეზლი“, 1 ხანჯალი, 1 აკვარელის პორტრეტი, 1 სახურავი, 1 ფუტლიარი, 1 ფიგურა დამტვრეული, 1 პორტრეტი, 1 „პესტლე“ (?), 1 ბროლის „სტაქანი“, 2 ვერცხლის ვაზა გერბებით, 2 საათი ნაპოლეონის ეპოქისა, 1 პატარა საფერფლე, 1 >>> არ იკითხება, 2 „ბრონზის“ მედალიონი, 1 „ბრონზის“ ჩარჩო.

S – კატეგორიის ნივთების ყუთების ჩამონათვალს ასევე აქვს შემდეგი სახის მინანქრები: ბორჯომის, ძველი ბორჯომის, ძველი ლიკანის ან ძველი ნომერი ბორჯომის ან ძველი ნომერი ლიკანის ან ორივე ძველი ბორჯ. ლიკ.; ჩვენის დაკვირვებით, ეს უნდა იყოს ამ ნივთების ადგილმდებარეობის შეცვლამდე ძველი, პირვანდელი ყუთების ნუმერაცია. რაც, შესაძლოა, ამასთანავე გულისხმობდეს ამ ნივთების ბორჯომისა თუ ლიკანის სასახ-

ლექსისადმი კუთვნილებას. საკითხი საბოლოო დაზუსტებისათვის შემდგომ კვლევას საჭიროებს.

5 - კატეგორიიდან არასამუზეუმოდ მიუჩნევიან 20 ყუთი, რომლებშიაც განთავსებული იყო მინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭელი (11 ყუთი - S2, 3, 7, 16, 17, 27, 41, 46, 48, 49, 60), ხალიჩები (S12, 22, 24) (კავკასიური, სპარსული, ევროპული) - 3 ყუთი, სანოლის, სუფრის და სამზარეულოს თეთრეული (6 ყუთი - S 1, 11, 20, 21, 34,61).

არასამუზეუმოდ მიჩნეული 20 ყუთიდან გამოყენებითი ხელოვნების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო 11 ყუთია. კერძოდ:

S2 - ბორჯომის ძველი ნომერი 67
ჭიქები, „რუმკები“, პატარა შუმის „ვაზე-ბი“ და სხვ. ვენზელით «H.H.»;

S3 - ბორჯომის ძველი ნომერი 71
„შუშეულობა“, „ჭიქის ვაზები“, შამპანურის ჭიქები და „ზოგი ფარფორი“;

S7 - ბორჯომის ძველი ნომერი 64
ჭიქები ბროლის;

S16 - ბორჯომის ძველი ნომერი 68
1 ყუთი ჭურჭელი ფაიანსის ინგლისური საინები;

S17 - ძველი ნომერი Лик. 31

ინგლისური ფაიანსის ჭურჭელი;

S27 - ბორჯომის ძველი ნომერი 75
საინები და ლამბაქები;

S41 - ბორჯომის ძველი ნომერი 65
„შუშეულობა“;

S46 - ბორჯომის ძველი ნომერი 74
„ფარფორის საგნები“;

S48 - ბორჯომის ძველი ნომერი 76
ჭურჭლეულობა (კუზნეცოვის ფაბრიკისა)

S49 - ბორჯომის ძველი ნომერი 70
ჭურჭლეულობა

S60 - ბორჯომის ძველი ნომერი 78
„ფარფორი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალიჩების



ყოფიან 5 - 22 (კავკასიური, სპარსული, ევროპული - 14 ერთეული), 5 - 24 (კავკასიური, სპარსული, ევროპული - 26 ერთეული), ამავე სიაში მინერალი აქვს - „გადაეცა ლევნილის მამულს, 2 აგვ. 1922.“

ამავე სიაში დასტურდება ნიგნების 26 ყუთი. აქედან ბორჯომის ძველი ნომრით - S38 (#5), S39 (#15), S43 (#8), S44 (#11), S45 (#22), S50 (#3), S51 (#18), S52 (#7), S53 (#25), S54 (#1), S55 (#14), S56 (#17), S57 (#4), S58 (#24), S59 (#26), S60 (#78);

ლიკანის - S 6 (#21), S 9 (#9), S18 (#10), S19 (20), S25 (#19), S26 (#13), S 30 (#29);

ბორჯომი-ლიკანი - S5 (lik. #23), S31 (lik. #44), S32 (lik. #16), S33 (lik. #2), S35 (lik. #6).

S 14 - ძველი ბორჯომის №32 ბრინჯაოს ქანდაკება - ნაპოლეონი ცხენზე (ცხენის ფეხები დაზიანებულია).

არასამუზეუმოდ მიჩნეული ოცი ყუთის შიგთავსი ლევილში ჩატანის შემდეგ გაიყიდა. 1924 წლის აგვისტოს სიაში, რომელიც ლევილში უნდა იყოს შედგენილი S კატეგორი-

ის ყუთების შესახებ ჩანერილია: „ლევილში გახსნეს და ლიკვიდაცია უყვეს.“ როგორც ჩანს, ექვთიმეს მალევე მოთხოვეს სარეალიზაციოდ კიდევ რამდენიმე ყუთი გამოეყო. ექვთიმეც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1924 წლის 17 აგვისტოს სიაში მან რეალიზებული ყუთების სიის ქვეშ მიაწერა: „ლიკვიდაცია შეიძლება, თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის“ და შემდეგ ჩამოთვლილია S კატეგორიის 6 ყუთი. ამ 6 ყუთის ქონებას შეადგენდა -

S 10 - ბორჯომის (მინანერი აქვს ფანქრით „ნომერი არ ჩანდა“)

პატარა რქები, ფიტულები („ჩრქელოები“), ჩარჩოში ჩასმული ხავერდი;

S 12 - ძველი ბორჯომის №3

1 ხალიჩა, 1 „ბრონზის“ საათი დასადგმელი ფიგურაზე;

1 საათი ყვითელი „ბრონზის“;

S 29 - 1 ყუთი - დიდი „ბრონზის“ საათი, სასანთლე ლითონის, უბრალო შანდალი, „ბრონზის ვაზა“, სამელნე, ქვის საფერფლე,

სპილოს ძვლის ფიგურები, სპილოს ძვლის დანა - ყუთი, რომელიც სამუზეუმო კატეგორიისადმი იყო მიკუთვნებული;

S 42 - 1 ყუთი - მარმარილოს საათი, ბროლის „ვაზა დიდი“, მესამე საგანი არ იკითხება - ყუთი რომელიც სამუზეუმო კატეგორიისადმი იყო მიკუთვნებული;

S 47 - „ბრონზის“ საათი, ხის კოლოფი, ყვითელი მარმარილოს ოთხფეხიანი შანდალი, ვაზა „ბრონზის“, „ბრონზის“ ქანდაკება, შანდალი ყვითელი, „ბრონზის“ საფერფლე, გრძელი შანდალის ტარი, „ფლიაუკა“ დიდი, ძველი ლენტები, 1 სამელნე, 2 „ფარფორის“ ფარშევენგი, 1 „ფარფორის“ სპილო, ვერცხლის საყავე (?), 2 „ბრონზის“ ნიფი, 1 სპარსული თასი, ერთი მედალიონი, 1 სურათი, 2 კოლოფი ხის, 1 ვაზა, 1 პორტრეტი, 1 საფერფლე, 1 სპილოს ძვლის „ეფხლი“, 1 ხანჯალი, 1 აკვარელის პორტრეტი, 1 სახურავი, 1 ფუტლიარი, 1 ფიგურა დამტვრეული, 1 პორტრეტი, 1 „პუსტლე“ (?), 1 ბროლის „სტაქანი“, 2 ვერცხლის ვაზა გერბებით, 2 საათი ნაპოლეონის ეპოქისა, 1 პატარა საფერფლე, 1 >>> არ იკითხება(ე. კ.), 2 „ბრონზის“ მედალიონი, 1 „ბრონზის“ ჩარჩო - ყუთი რომელიც სამუზეუმო კატეგორიისადმი იყო მიკუთვნებული;

ცხადია, ექვთიმეს იძულებით დათანხმების შემდგომ რეალიზაციაც არ დაყოვნებოდა. ამდენად, რომანოვების ოჯახის ქონებიდან მენშევიკური მთავრობის ნევრების ჩარევითა და მონანილობით საფრანგეთიდან საქართველოში აღარ დაბრუნებულა:

ძვირფასი თეთრული - 6 ყუთი (S 1, 11, 20, 21, 34,61)

ჭურჭელი (მინა, ბროლი, ფაიფური, ფიანსი) (S2, 3, 7, 16, 17, 27, 41, 46, 48, 49, 60) - 11 ყუთი;

41 ნობი (კავკასიური, სპარსული, ევროპული) - 3 ყუთი (S12, 22, 24);



2 „ფარფორის“ ფარშევენგი, 1 „ფარფორის“ სპილო

სხვადასხვა ნივთები (S 12, 29, 42, 47 – ბრინჯაო, სპილოს ძვალი, ბროლი, მარმარილო, ფაიფური) – 4 ყუთი.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯამში გაიყიდა გამოყენებითი ხელოვნების 18 ყუთი, ასევე, ირმის რქები და ფიტულები (S10, 13) – 2 ყუთი.

ამის შემდგომ, ლევილში დარჩა 5 კატეგორიის ცხრა ყუთი, რომელთაგან 7 შეიცავდა 91-ზე მეტ სურათს, ერთი – ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკებას (S14) და ერთიც პეპლების კოლექციას (S36). ეს ყუთები ლევილში, ექვთიმეს ბინაში იყო განთავსებული.

ემიგრირებული ბორჯომ-ლიკანის სასახლეების უმდიდრესი ქონებიდან საქართველოს დაუბრუნდა 91-ზე მეტი სურათი (S4, 8, 15, 23, 28, 31, 37), ერთი ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება (S14), პეპლების კოლექცია (S36) და ძვირფასი ბიბლიოთეკა (S5, 6, 9, 18, 19, 25, 26, 32, 33, 35, 38, 39, 40, 43, 44, 45, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59 და S 30 – წიგნები და სურათებიანი ალბომები);

ამდენად, ამ სიის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენმა სამუზეუმო საექსპოზიციო სივრცეებმა დაკარგა ძვირფასი ხალიჩების კოლექცია, რომელიც შედგებოდა კავკასიური, სპარსული და ევროპული ნიმუშებისაგან (დაახლ. 46 ერთეული), ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილოს ძვლისა და ფაიფურის ნივთები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, ბრინჯაოსა და მარმარილოს ძვირფასი საათები, ევროპული და რუსული წარმოების მინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის სხვადასხვა სახის ძვირფასი ჭურჭელი, 2 ყუთი ირმის რქები და ფიტულები – ჯამში 20 ყუთი, ესე იგი ბორჯომ-ლიკანის ქვეყნიდან გატანილი ქონების 30%.

როგორც უკვე აღინიშნა, ექვთიმე თაყაიშვილის დოკუმენტი მნიშვნელოვანი წყაროა,





როგორც ბორჯომ-ლიკანის სასახლეების ქვეყნიდან გატანილი ქონების რაოდენობრივად განსასაზღვრად, ასევე ამ ქონების შინაარსის მიახლოებით დასადგენად და წარმოსადგენად.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია რამდენიმე აღწერილი სასაბუთის დოკუმენტი:

მათ შორის ერთ-ერთი ხელნაწერი დოკუმენტი – «Опись имущества вывезенного из Ликанского дворца меншевицким правительством в первой половине февраля 1921 года», კონკრეტულად ლიკანის 1921 წლისათვის საქართველოდან გატანილ ქონებას ასახავს. დოკუმენტი შედგენილია 1927 წლის 12 იანვარს ლიკანში.

ეს აღწერილი ქონება, რომ ექ. თაყაიშვილის მიერ გატანილი ქონების ნაწილია, მოწმობს იმ ფერწერული ნამუშევრების ჩამონათვალს, რომელიც აქაც იხსენიება და ექვთიმეს მიერ საქართველოში დაბრუნებულ აღწერაშიც.

ეს აღწერა მეტად აზუსტებს ლიკანის სასახლიდან გატანილი ქონების რაოდენობასა და შინაარსს.

ამ დოკუმენტის თანახმად რამდენიმე ათეული ფერწერული ნამუშევრის გარდა, სასახლიდან გატანილი იყო ნაპოლეონისა და ჟოზეფინას საერძლები – 2 ერთეული, ნაპოლეონის სხვადასხვა სახის გრავიურა – 9 ერთეული, რომის პაპების მოჩარჩოებული მინიატურა 240 ერთეული;

ეს აღწერა მეტად აზუსტებს გ. ჟორდანიასთან აღნიშნულ ჭურჭლის „მინა, ბროლი, ფაიფური, ფაიანსი) 11 ყუთის შიგთავის შინაარსს:

ეკრძოდ, ეს იყო – ინგლისური სერვიზები – 48 პერსონაზე, ვერცხლის სასადილო სერვიზი – 3 დიდი ზომის ფუტლარში – 48

პერსონაზე, სხვადასხვა სახისა და ზომის სასმისები – 900 ერთეული.

ხალიჩების სამი ყუთი რომელშიაც განთავსებული იყო 41 ნოხი (კაეკასიური, სპარსული, ევროპული);

გ. ჟორდანიასთან მითითებულია ძვირფასი თეთრეულის – 6 ყუთი, ლიკანის ქონების აღწერის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა დავადგინოთ თუ კონკრეტულად რა სახის თეთრეულია:

540 ერთეული ხელსახოცი – 2 სახის;

224 ერთეული – ზენარი;

240 ერთეული – ბალიშის პირი;

320 ერთეული – 2 სახის პირსახოცი;

130 ერთეული – ბუფეტის ხელსახოცი;

36 ერთეული – მზარეულის წინსაფარი.

ასევე, გ. ჟორდანიასთან დადასტურებულია ინტერიერის ქანდაკებები – 2 ყუთი, საყოფაცხოვრებო ნივთები (ბრინჯაო, სპილოს ძვალი, ბროლი, მარმარილო, ფაიფური) – 3 ყუთი, რაც ამ აღწერაში არ ჩანს.

გ. ჟორდანიასთან ჩამონათვალში იხსენიება პეპლების კოლექცია – 1 ყუთი, რაც ასევე არ დასტურდება ამ აღწერაში.

აღნიშნული დოკუმენტი მეტად ავსებს ჩვენს ცოდნას ლიკანის სასახლის დაკარგულ-დაბრუნებულ ქონებასთან დაკავშირებით. თუმცა აქვე უნდა გავიმეოროთ, რომ ამ საკითხთან, ისევე როგორც სხვა დანარჩენთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მოსაძიებელი და შესასწავლი გვაქვს საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული არქივის მასალები.

ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების საქართველოში დაბრუნებული ქონება

მძიმეა საქართველოში დარჩენილი ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონების ბედიც. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან და ზეპირი გადმოცემით ირკვევა,

რომ სამბჭოთა პერიოდში ამ ქონების მდგომარეობა მეტად არასტაბილურია. გარდა ქვეყნის გარეთ გატანისა, ეს იყო სხვადასხვა დროს გადაადგილება, ბორჯომის სასტუმროებში, სანატორიუმებისა და პანსიონატებში გადაწარმოება, სამუზეუმო შენობის ცვლილება, მეორე სამამულო ომის პერიოდში შექმნილი არასამუზეუმო, მძიმე პირობები, დედაქალაქში წამოღება-განაწილება, ბორჯომის მუზეუმის გაქურდვის ფაქტი და სხვა.

ამჟერად, ზოგადად ქვეყნის თანადროული და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ისტორიის ფონზე, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებს.

1923 წლის დამლევს, სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის მიზნით, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანხმაც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას დაცული სამუზეუმო ფონდების საფუძველზე უნდა შემდგარიყო ძირითადი მუზეუმები და მომხდარიყო მუზეუმების ცენტრალიზაცია და რეორგანიზაცია.

ეს გეგმა მაშინ სათანადო შენობათა უქონლობის გამო ვერ განხორციელდა და 1928 წლისათვის საკითხი კვლავ აქტუალურად რჩებოდა. ამ დროისათვის უკვე ფუნქციონირებდა ეროვნული გალერეა და საქართველოს მუზეუმის შენობა თითქმის დასრულებული იყო. იგეგმებოდა ყველა სამუზეუმო ფონდის ცენტრალიზაცია. ამავე, 1928 წლით დათარღლებული დოკუმენტით ირკვევა, რომ 1925-26 წლებში ბორჯომის სასახლეების აღწერილი კოლექციები 3 წლის მანძილზე ყუთებში იყო განათავსებული და ზიანდებოდა. დოკუმენტის მიხედვით, 1928 წლისათვის ეს ექსპონატები

გათვალისწინებული იყო უკვე არსებულ ეროვნულ გალერეაში გადასატანად და მათი სამხატვრო გალერეისათვის გადაცემის საკითხი ამ დროისათვის ჯერ კიდევ მოუგვარებული იყო. უნდა გაცემულიყო განკარგულება ბორჯომის სასახლეების კოლექციების, კერძოდ, „ბორჯომის სასახლეში დაცულ ქონებათა“ განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადაცემისა და თბილისში გადმოტანის თაობაზე.⁵

რა ვითარებაა სამუზეუმო ცხოვრების თვალსაზრისით ამ პერიოდის ბორჯომში:

1913 წელს ბორჯომის, ჩარხისწყლის, ხის სახეობი ქარხნის ტერაქორაზე, დაარსდა ბორჯომის ტყის მუზეუმი. მუზეუმს აარსებენ პროფესორი პავლე ზაქარაის ძე ვინოგრადოვ-ნიკიტინი და პროფესორი გიორგი იოსების ძე პასარი. მუზეუმს ოთხი დარბაზი ჰქონდა დაკავებული. აქ იყო ტყის, ტერაქოლოგიური (მახინჯაუ ხეების), პალეონოლოგიური და ფიტოპათოლოგიური განყოფილებები.

არქეოლოგიური განყოფილება განთავსებული იყო ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე, მინერალური წყლის პარკში, პიდროლექტროსადგურთან ახლოს მდებარე მოედანზე. ტყის მუზეუმი XX საუკუნის 20-იან წლებამდე ბორჯომის სამეცნიერო ცენტრსაც წარმოადგენდა. 1918 წელს ტყის მუზეუმი ინაცვლებს მიხეილ რომანოვის სასახლეში, სადაც მას ოთხ დიდ ოთახში ათავსებენ.

1922 წელს, ტყის მუზეუმს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს, ექსკურსანტებთან ერთად, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი დ. კანდელაკი ეწვია. მან გამოთქვა მოსაზრება ამ მუზეუმის

თბილისში გადატანის თაობაზე. 1923 წელს, პროფ. ს. ქურდიანისა და ლექტორ ი. ზაკ-ტრეგერის მიერ თბილისში გადმოტანილი იქნა სატყეო მუზეუმის დენდროლოგიური განყოფილება, რომელიც განათავსეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, საიდანაც მან შემდგომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადაინაცვლა⁶. სატყეო მუზეუმის კოლექციის ნაწილი სადღესიოდ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

1922 წელს, ბორჯომში დაარსდა სამი სანატორიუმი. ორი მათგანი მიხეილ და სერგი რომანოვების სასახლეებში, ხოლო მესამე ბორჯომის მინერალური წყლების სასტუმროში განათავსეს. მიხეილ რომანოვის სასახლეში განთავსებული სანატორიუმი ფილოპე მახარაძის სახელობის იყო.

რთულია დაზუსტებით თქმა როდის, მაგრამ, როგორც ირკვევა, სასახლეებიდან, მეტწილად ბორჯომის ამ ტიპის დაწესებულებებში, განსაკუთრებით 1922-1934 წლებს შორის, მრავლად იყო გადატანილი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

1926 წელს არსდება ბორჯომის სატყეო მუზეუმი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კორორტების სამმართველოს. მუზეუმის დირექტორის, დავით სარაჯიშვილის ცნობით, 1926-1933 წწ-ში ეს იყო მხოლოდ სატყეო მეურნეობის ამსახველი მუზეუმი. ეს ცნობა დასტურია იმისა, რომ ამ დროისათვის სასახლეების კუთვნილი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სამუზეუმო სივრცეში ჯერ გადატანილი არ არის და როგორც ზევით იყო აღნიშნული, 1925-1928 წლებში სასახლეების ქონება აღწერილია და

5. სკა, ფ. 600, №1 საქმე 1758

6. სადაც ამ სტატიის გამოქვეყნების დროისთვის ჯერ კიდევ იყო (იხ. საისტორიო ვერტიკალები, 2003 წ. №4). ამავე სტატიაში აღნიშნულია, რომ დენდროლოგიური კოლექციის გარდა, თსუ-ს აგრონომიულ ფაკულტეტს ლიკანის ბიბლიოთეკაც გადაეცა.



ჯერ კიდევ მიხილ რომანოვის სასახლეში ინახება.

საქართველოში დარჩენილი საიმპერატორო ქონების კვლევისათვის უარესად მნიშვნელოვანი წყაროა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცული დოკუმენტური მასალა, კერძოდ ლიკანის სასახლის ქონების და სასახლის ტერიტორიაზე არსებული სხვა სახლების ქონების 1926 და 1935 წლებით დათარიღებული აღწერები.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცული დოკუმენტი სათაურით

«Опись Дворцового имущества и остальных домовъ всего Ликанскаго участка» 1926 წლის 9 მარტითაა დათარიღებული. აღწერას ხელს აწერს ვინმე ივ. პეტროსიანი. 1928 წლის ზემოხსენებული დოკუმენტი ამ აღწერასაც უნდა გულისხმობდეს.

სასახლის ქონების 1926 წლის აღწერა უფრო დეტალური და ინფორმატიულია, 1935 წლის უფრო ზოგადი. გარდა იმისა, რომ თავისთავად ეს დოკუმენტები სარწმუნო წყაროა, ამასთანავე კარგად ჩანს თუ რა დარჩა ლიკანის საიმპერატორო სასახლ-

ეში მენშევიკების განკარგულებით საქართველოდან გატანილი ნიკოლოზ რომანოვის ქონებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე საგანგებოდ აღნიშნავდა ლიკანისა და ბორჯომის სასახლეებიდან ქონების სრულად გატანას, როგორც ირკვევა დარჩენილიც არ იყო მცირე, როგორც რაოდენობრივად, ისე მნიშვნელობით. ამავე დოკუმენტების საფუძველზე, ცხადი ხდება რაოდენ დიდი დანაკარგი განიცადა თანადათან ამ დარჩენილმა ქონებამაც. დიდი ნაწილის მოკვლევა-მოძიება სადღეისოდ პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს აღწერები დეტალურადაა შესასწავლი და შესაჯერებელი.

1928 წლის აგვისტოში, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის განკარგულებით, თბილისის მუზეუმისათვის გადაცემის მიზნით, ბორჯომიდან ფაიფურის სერვიზი და სხვა ნივთები თბილისში წამოიღეს. ექსპონატები რვა საშუალო ზომის ყუთში მოუთავსებიათ. ამ ნივთების მოძიებას დმ. შვეარდნაძეც ცდილობს. ფ. მახარაძის განკარგულებით ბორჯომიდან თბილისში წამოღებული სამუზეუმო ექსპონატებით დატვირთული რვა საშუალო ზომის ყუთი არ გადასცემია ამ დროისათვის უკვე არსებულ არცერთ მუზეუმს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი ცნობილი იქნებოდა დიმიტრი შვეარდნაძისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, 1922 წელს, მიხილ რომანოვის სასახლეში, ფუნქციონირებას იწყებს ფილიპე მახარაძის სახელობის სანატორიუმი. ამ დროისათვის ბორჯომში ჯერ კიდევ მხოლოდ სატყეო მუზეუმი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები კვლავ მიხილის სასახლეში უნდა იყოს დაცული. სწორედ აქედან უნდა წაეღოთ ფილიპე მახარაძის განკარგულებით გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების რვა ყუთი 1928 წლის აგვისტოში.

1929 წლის 17 იანვრითაა დათარიღებული დ. შვეარდნაძის მოხსენებითი ბარათი⁷, სადაც ის განათლების კომისარს თხოვს სათანადო განკარგულებას, რათა ეროვნულ გალერეას გადაეცეს გალერეის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, გადარჩეული მასალები, მათ შორის ბორჯომის სასახლეების მასალა. როგორც ჩანს, 1929 წლისათვის ეროვნული გალერეის თანამშრომლებს ბორჯომის სასახლეების ქონებიდან შეურჩევით სამუზეუმო ექსპონატები, რომელთა ეროვნული გალერეისათვის გადაცემასაც დ. შვეარდნაძე ამ ბარათით ითხოვს.

ხელოვნების მუზეუმის ხელნაერთა მეფარულ განყოფილებაში დაცულია 1932 წლის 10 თებერვლით დათარიღებული დმ. შვეარდნაძის ხელნაერი დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ დ. შვეარდნაძეს, ბორჯომის სასახლიდან ჩამოტანილი ექსპონატებიდან გადარჩეული ხუთი ექსპონატი საქართველოს მუზეუმისათვის გადაეცემა. ეს ექსპონატებია: რაპირა (1500 წ.), შუა საუკუნეების ბრინჯაოს მუზარადი, თითბერის სპარსული ფარანი, ორი სპარსული სურა და აკვარელში შესრულებული გუსტავ რადდეს კარიკატურა. დოკუმენტს ეროვნული გალერეის დირექტორის რანგში ხელს აწერს დმ. შვეარდნაძე, ხოლო საქართველოს მუზეუმის მხრიდან ვინმე ა. მეშქი – პირი, ვინც ეს ექსპონატები ჩაიბარა.

გარდა საქართველოს მუზეუმისათვის გადაცემული ექსპონატების რაობისა (ჩვენ შევეცდებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ამ ექსპონატების მოძიებას), ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ როგორც ჩანს, დმ. შვეარდნაძის მოთხოვნა



ნა ბორჯომ-ლიკანის სასახლეების ქონების გალერეისათვის გადაცემის თაობაზე 1932 წლისათვის დაკმაყოფილებულია. ეს კოლექციები გადაიღრა და ეროვნული გალერეისთვის უინტერესო ექსპონატები საქართველოს მუზეუმში გადასცეს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდში, საქართველოს ეროვნული გალერეის საინვენტარო ნიგში (სეგ – საქართველოს ეროვნული გალერეა №13, №№1-1454) მოვიძიეთ

საქართველოს ეროვნული გალერეისათვის განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური გამანაწილებელი კომისიის, 1932 წლის 4 იანვრით დათარიღებული ოქმის საფუძველზე, 1934 წლის 10 აპრილს გადაცემული ბორჯომის სასახლეების გამოყენებით ხელოვნების ნიმუშების ჩამონათვალი.⁸

საქართველოს ეროვნული გალერეის საინვენტარო ნიგში მოცემული ჩამონათვალი, როგორც ჩანს დ. შვეარდნაძის 1929 წლის 17 იანვრით დათარიღებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს

7. სხმ, დ. შვეარდნაძის მოხსენებითი ბარათი, 1929 წ. 17/1

8. საქართველოს ეროვნული გალერეა (სეგ), №13, გვ. 104



ეროვნული გალერეისათვის გადმოცემული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების გამოყენებით და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს ასახავს. ეს ექსპონატები 1932 წლისათვის, გადარჩევის შედეგად ჩამოაქვთ თბილისში. ჩამონათვალი მოიცავს ქართული, აღმოსავლური, ევროპული და რუსული წარმომავლობის ექსპონატებს. ჩამონათვალი შემდეგი შინაარსისაა:

1934 წლის 10 აპრილი. ბორჯომის სასახლეებიდან, თანახმად განსახკომის სპეციალური კომისიის (განმანაწილებელი) ოქმისა 1932 წლის 4 იანვარი.

1299 – „ამურები“, ქანდაკება, ბრინჯაო;

1300 – საქსონიის ფაიფურის ქარხანა, ვაზა, ფაიფური;

1301 – საქსონიის ფაიფურის ქარხანა, ვაზა, ფაიფური; დ/ე 944; მეტეხი 535 და 533; (ორი ერთეული – ე. კ)

1302 – ევროპული ფაიფურის ქარხანა „მადონა“, ქანდაკება, ფაიფური;

1303 – ქალი ხონჩით;

1304 – მოხუცი მამაკაცი;

1305 – თეფშები, დასურათებული ნიკოლოზ I დროის სამხედრო ეპიზოდებით რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა – 21 ერთეული;

1306 – თეფშები, დასურათებული ნიკოლოზ I დროის სამხედრო ეპიზოდებით რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა – 20 ერთეული;

1307 – თეფშები, დასურათებული ნიკოლოზ I დროის სამხედრო ეპიზოდებით რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა – 12 ერთეული;

1308 – საქსონიის ფაიფურის ქარხანა (აჟურნი რანდისი) - 1 ერთეული.

1309 – ლამბაქი, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა, დამლა ალექსანდრე II – 1 ერთეული;

1310 – ჭიქა სახურავით, ბროლი, მოვარაყებელი, ბროლის ქარხანა, 1 ერთეული;

1311 – ვაზა ნამცხვრებისთვის, ფაიფური ბრინჯაოზე, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1312 – სერვიზი – 1. ხონჩა, 2. ბოკალი, 3. საშაქრე, 4. გრაფინი, 5. დოქი – ფაიფური;

1313 – ვაზები ნითელი, ფაიფური, ინგლისის ფაიფურის ქარხანა, 2 ერთეული;

1314 – სერვიზი – ხონჩა, საშაქრე, სარძევე, საყავე, 5 ფინჯანი თავისი ლამბაქით, სულ 8 ცალი, ფაიფური, ადგილზე არ არის, 1966 წელი (შინაწერი ფანქრით)

1315 – გერმანული ფაიფურის ხონჩა, 1 ერთეული;

1316 – გერმანული ფაიფურის ხონჩა, 1 ერთეული;

1317 - გრაფინი მოვარაყებული, მინის ქარხანა, 1 ერთეული;

1318 - გრაფინი, მინის ქარხანა, 1 ერთეული;

1319 - კალათი ორი დოქით - გერმანული ფაიფურის ქარხანა, სამი ერთეული;

1320 - ფლაკონი - მინა, ორენბურგის მინის ქარხანა, 1 ერთეული;

1321 - ფლაკონი - ბროლი, ორენბურგის მინის ქარხანა, 1 ერთეული;

1322 - ფლაკონი - ბროლი, ორენბურგის მინის ქარხანა, 1 ერთეული;

1323 - ფინჯანი ლამბაქით ბერლინის სურათით, გერმანიის ფაიფურის ქარხანა;

1324 - ფინჯანი ლამბაქით, ნარნერა Winsbeg, გერმანიის ფაიფურის ქარხანა;

1325 - ფინჯანი ლამბაქით, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა, ალექსანდრე II-ის ეპოქა;

1326 - ფინჯანი ლამბაქით, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა, ალექსანდრე II-ის ეპოქა;

1327 - ლამბაქი კალენდრით, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1328 - ფინჯანი ლამბაქით, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1329 - ფინჯანი ლამბაქით, მოვარაყებული, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1330 - ფინჯანი ლამბაქით, ქალის პორტრეტით, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1332 - ფინჯანი ლამბაქით მოვარაყებული, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1333 - ფინჯანი ლამბაქით მოვარაყებული, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1334 - ფინჯანი ლამბაქით მოვარაყებული, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;



1335 - რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა, ფინჯანი ლამბაქით მოვარაყებული, ადგილზე არ არის, 1966 წელი (მინანური ფანქრით)

1336 - ფინჯანი 5 ერთეული, ლამბაქი 5 ერთეული, რუსეთის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანა;

1337 - სერვიზი საჩაიე: 1. საჩაიე, 2. საშაქე, 3. სარძევე, 4. თეფში 2 ცალი ვენზელით MH, ფაიფური, რუსეთის საიმპერა-

ტორო ფაიფურის ქარხანა;

1338 - ჯამი პატარა ზომის, გარედან ხელით მონუნული, ფაიფური და სელი, იაპონიის ფაიფურის ქარხანა;

1339 - საფერფლე, მესინის ფაიფურის ქარხანა;

1340 - სამი ბაემის პორტრეტი, ლითონ-გრაფია ქალაღდზე, ვინტერპალტერი;

1341 - ვაზა, პატარა ზომის, მინის ქარხანა, მინა

და": „ამ მოსაზრების გამო მე არ გამოვეყა-
ვი ისეთი ნივთებიც კი, როგორცაა: ძველი
პარიზის დიდი სერვიზი, ცნობილ Copelande
ქარხნის (სახელგანთქმული ინგლისის Spode
ქარხნის ერთ-ერთი საქარხნო ნიშანია)
სერვიზის ნაწილები, რომელიც, როგორც ის
ჩანს აქვე დართულ სხვა ნივთებიდან, ყოფი-
ლა ლენინგრადის ცნობილ კორნილოვის ქა-
რხნისათვის ნაბაძვის წყარო, მაგრამ ორიგ-
ინალის მხატვრულ სრულყოფას მაინც ვერ
მიულწევია. ალექსანდრე II ფაიფურის ქარხ-
ნის ჩაისა, სასადილოსა და სხვა სერვიზების
ნაწილები, ცნობილ კორნილოვის ქარხნის
პირველი პერიოდის ნაწარმოები, ბროლის
ზოგიერთი ჭურჭელი, რამოდენიმე ვაზები
და მრავალი სხვა, რომელთაც ჩვენი ამ მხრივ
ულარბესი მუზეუმები დიდი სიამოვნებით
მიირთმევენდენ.“

ამ ამონაწერიდან რამდენიმე დეტალი
ირკვევა: ბორჯომში ჩასულ არტემ გაბუნია
არა მხოლოდ ადგილზე უმუშავია. 1934-1935
წლებს შორის, ბორჯომის მუზეუმიდან თბი-
ლისში წამოღებულია მეტად მნიშვნელოვანი
და ფასეული ექსპონატები, ასევე, 1934-1935
წლისათვის ბორჯომის მუზეუმში დაცულია
ექსპონატები, რომლებიც შემდგომში აღარ
ჩანს. „გამოყოფილ ექსპონატებს შორის
უმთავრესი ადგილი დაკავებული აქვს ყო-
ფილ საიმპერატორო ფაიფურისა და შუშის
ქარხნების მიერ დამზადებულ ექსპონატებს,
რომელთა დამზადებაზე, როგორც ცნო-
ბილია აუარებული თანხები იხარჯებოდა და



9. არტემ გაბუნიას მიერ შედგენილი ბორჯომის მუზეუმის გამოყენებითი კოლექციის კატალოგი, ცხადყოფს ამ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი პიროვნების მაღალ პროფესიონალიზმს. მის მიერ შედგენილი კატალოგის კვლევის პერიოდშივე შეეუდგეთ მის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. კვლევის დასრულების შემდგომ, არტემ გაბუნია, ისევე როგორც ქართულ კულტურაში მის მიერ შეტანილი წვლილი, სათანადო ასახვას პოუბეს როგორც ჩვენს გამოცემაში, ასევე ბორჯომის მუზეუმის ისტორიასა და განახლებულ საექსპონიციო სივრცეში

10. გიორგი ტყეშელაშვილი, ხალხური ხელოვნების დაუცვრობელი მოამავე, საბჭოთა ხელოვნება, №4, 1956 წელი.

11. ბორჯომის მუზეუმის ექსპონატების თბილისში ჩამოტანის ფაქტი არტ. გაბუნიას შესახებ საბჭოთა ხელოვნებაში (№4, 1956 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაშიცაა დაფიქსირებული.



რომელ ქარხნებშიც მუშაობდნენ როგორც უცხოელი, ისე რუსეთის მხატვრულ-არტისტული საუკეთესო ძალები (მხატვრები, მოქანდაკეები, ხელოვნებათ მცოდნენი და სხვა) – აქედან, ნათლად ჩანს, რომ გაბუნნიას მიერ სამუზეუმო მნიშვნელობა მიენიჭა უმთავრესად საიმპერატორო ფაიფურისა და შუმის ქარხნების მიერ დამზადებულ

ექსპონატებს. თავისთავად ცხადია, ახლად დაარსებული „მეტეხი“-ს ხელოვნების მუზეუმისთვისაც ამ სახის ექსპონატები იქნებოდა შერჩეული.

თბილისში ჩამოუტანია და გადაურჩევია სამუზეუმო მნიშვნელობის ექსპონატები.

ამავე წერილშია დაცული არტ. გაბუნნიას უადრესად მნიშვნელოვანი ცნობა, ნიკოლოზ

რომანოვის „მსოფლიოს ცნობილი მხატვრების მიერ“, უმთავრესად სპილოს ძვალზე შესრულებული მინიატურების კოლექციის შესახებ, რომელიც დაცული ყოფილა მიხეილ რომანოვის ბორჯომის სასახლეში და იქიდან გამქრალა. სამწუხაროდ, არტემ გაბუნია არ აღნიშნავს თუ როდის დაიკარგა ეს კოლექცია ბორჯომის სასახლიდან. თავისთავად ეს ცნობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვანდის ინფორმაციას ამ ძვირფასი კოლექციის ბორჯომში არსებობის შესახებ, ამასთანავე აქედან ჩანს, რომ კოლექციები (შესაძლოა სრულად არა და საუკეთესო ნაწილი) ნიკოლოზ რომანოვის სასახლიდან გადატანილი იყო მიხეილ რომანოვის სასახლეში.

არტემ გაბუნნიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მის მიერ შედგენილ კატალოგში შეტანილი ნივთები, „როგორც მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატები გადაცემულ იქნეს ბორჯომის მუზეუმზე, ზოლო ნაწილი კი საქართველოს „მეტეხი“-ს ხელოვნების მუზეუმზე“.

ამავე კატალოგში დაცულია შემდეგი დოკუმენტის ასლი –

„საქ. სახ. კომ. საბჭოს

ამხ. არტ. გაბუნნიას აღწერილობაში აღნიშნული სამუზეუმო მნიშვნელობის ექსპონატები უნდა იქნენ განანილებული მეტეხის ხელოვნებათა და ბორჯომის მუზეუმებს შორის შემდეგნაირად:

მეტეხის ხელოვნების მუზეუმს უნდა გადაეცეს – მთლიანად ექსპონატები, აღნიშნული აღწერილობის №№ 1, 4, 6, 9, 10, 13, 19, 20, 21 და 22, მე-15 №-ში აღნიშნულ 9 ექსპონატიდან 4 და მე-18-ში აღნიშნულ 20 ექსპონატიდან 10. აღწერილობაში აღნიშნული დანარჩენი ექსპონატები უნდა გადაეცეს ბორჯომის მუზეუმს.“

ეს დოკუმენტი ნიშანდობლივია იმ თვალსაზრისითაც, რომ მას მთავარი საკურორტო

სამმართველოს უფროსის რ. ერისთავისა და ექსპერტ ა. გაბუნიას გარდა ხელს ანერს მეტეხის მუზეუმის დირექტორი დიმიტრი შვეარდნაძე.

კატალოგში ამ წერილს მოსდევს ჩამონათვალი ექსპონატებისა სახელწოდებით „აღწერილობა მხატვრულ-ისტორიული ნივთების“.

აღწერილობა 22 ექსპონატს შეიცავს. ზემოდამონშებული წერილის მონაცემით მეტეხის ხელოვნების მუზეუმს გადაეცა ამ აღწერილობის №№ 1, 4, 6, 9, 10, 13, 19, 20, 21 და 22, მე-15 №-ში აღნიშნულ 9 ექსპონატიდან 4 ერთეული და მე-18-ში აღნიშნულ 20 ექსპონატიდან 10 ერთეული. ამდენად, ჩვენ გვეძლევა საშუალება დაეადგინოთ, კონკრეტულად რა გადაეცა მეტეხის მუზეუმს. ვიმონშებთ გაბუნიასეული აღწერის ტექსტს:

„№ 1. ფაიფურის ვაზა – კოპენჰაგენის სახელგანთქმული სამეფო ფაიფურის ქარხნის (Copenhagen, manufacture royale) ნაწარმოები მე 19-ე საუკუნის პირველ ნახევრისა. ვაზაზე მხატვრულად გამოყვანილია ჩიტუნიები საუცხოო პეიზაჟის ფონზე. მხატვრული სრულყოფის მხრივ ვაზა ერთგვარი შედეგია ზემოაღნიშნული კოპენჰაგენის ქარხნის. ვაზის ფსკერზე აღნიშნულია ოსტატის ნიშანი, რომელმაც ის მხატვრულად გააფორმა. გამოყვანილობით ვაზა ძლიერ წააგავს ჩინური მინგის ეპოქის ვაზებს (16, 17 საუკუნე).

იშვიათადაა დაცული.

სიმაღლე 42 სანტიმეტრი, ყელის დიამეტრი 19 1/2 სანტიმეტრი.

№ 4. ორი ბროლის ვაზა – ტყუები – ალექსანდრე მეორის ეპოქის საიმპერატორო შუშის ქარხნის ნაწარმოები. რძისფერ ბროლის ზედაპირზე მინანქრიანი ფერწერით რუსულ სტილზე შესრულებულია ყვავილოვანი ჩუქურთმა. ბროლის ვაზები შესრულებულია 1874 წელში. იშვიათადაა დაცული. ნიშანი «A». სიმაღლე 38 სმ. ფასი 150 მ.



№ 6. ორი ბროლის ვაზა (ტყუები), ალექსანდრე მეორის ეპოქის I პერიოდის საიმპერატორო შუშის ქარხნის ნაწარმოები. ვაზის მუცელზე მინანქრიანი ფერწერით შესრულებულია საზღაპრო „სირინოზები“ და „გრეფონები“ – ყვავილოვანი ჩუქურთმებში. შესრულებულია დაახლოებით XIX საუკუნის 60-იან წლებში. ნიშანი «A».

იშვიათადაა დაცული. სიმაღლე 30 სმ. ფასი 150 მ.

№ 9. ბროლის დოქი, ალექსანდრე მეორის ეპოქის საიმპერატორო შუშის ქარხნის ნაწარმოები. დოქი გამოყვანილობის ფორმის მხრით მიბაძევა ვენეციის მურანოს ქარხნის მიერ შესრულებული იმ შუშის დოქის, რომელიც კუმეს ნიგში „ვენეციის შუშა“ გვერ. 86,



ტაბ. XI, მოყვანილი სახელდობრ: თეთრი გამჭვირვალე ბროლის ფეხიანი დოქი კვერცხის დაგვარი. მუცლის მოყვანილობით, ბროლის ორჯოხიანი ხვეული სახელორები დაბალი ფართო ყელით, რომელიც ოი მხრით შეზნეჭილია, ხოლო შუაში მოხდენილად მოყვანილია დოქის პირი. დოქის მუცელზე ამოჭრილია ფოთლები ტოტებში, რომელსაც მხატვრულად ასულდგმულებს ღოტოსის ყვავილები. საქარხნო ნიშანი არა აქვს. იშვიათადაა დაცული. სიმაღლე 31 სანტიმეტრი. ფასი 25 მ.

№ 10. ორი ფაიფურის "cache-pot" ტყუებები (ყვავილების ქოთანნი) ნიკოლოზ პირველის

ეპოქის საიმპერატორო ფაიფურის ქარხნის ნაწარმოები. ღია სოსანის ფერის ფონზე მხატვრულად შესრულებულია იისა და სხვა ყვავილების თიგულები, კიდურები სქლად მოვარაყებული ბაჯალლო ოქროთი. იშვიათადაა დაცული. ნიშანი «H». სიმაღლე? არ იკითხება, დიამეტრიც 20 სანტიმეტრი.

№ 13. ორი ფაიფურის "cache-pot" თავის თეფშებით (ყვავილების ქოთნები ტყუებები) – ალექსანდრე მეორის ეპოქის საიმპერატორო ქარხნის ნიშანი აქვს, მაგრამ სტილისტური თვისებითა და შესრულების მხრით დამზადებულია ნიკოლოზ პირველის დროს.

"cache-pot" რვა გვერდიანია. ყოველ მეორე გვერდზე ღია სოსანისფერ ფონზე მხატვრულად გამოყვანილია ვარდ-ყვავილების თიგულები, კიდურები სქლად არის მოვარაყებული ბაჯალლო ოქროთი. იშვიათადაა დაცული. ნიშანი «A». სიმაღლე თეფშით 13 1/2 სმ.

№ 19. ფაიფურის ლამფა-საათი, ოქროთი მოვარაყებული ბრინჯაოს სადგამით, ორი ბრინჯაოს კარიკტიდებით გვერდებზე, რომლებიც თავისი მხრით ამოდის ბრინჯაოს აკანტის ყლორტებიდან.

ორივე გვერდზე ოქროს ვარაყიანი ოთხკუთხედის ჩარჩოებში მოცემულია მხატვრული სურათები ანგელოზ-ბაეშეთა ზღვაზე ჯირითი დელფინებზე. საათის მექანიზმი მოთავსებულია ლამფის ბრინჯაოს სადგამის შიგნით, რომელსაც სპეციალური მონყობილობა აქვს და რომელსაც მოყავდა მოძრაობაში საათის ზედა ნაწილი და უჩვენებდა დროს. ამ ჟამად ზედა ნაწილი არ არის, ალბათ ის უყურადღებოდაა მიტოვებული და ინახება იმ საწყობში, საიდანაც საათის ეს ნაწილი იქნა წამოღებული.

ფაიფურის ლამფა-საათი შესრულებულია ყოფ. საიმპერატორო ფაიფურის ქარხნის მიერ ალექსანდრე II-ის დროს და სრულიად იშვიათი და სამუზეუმო ექსპონატია. სიმაღლე 60 სანტიმეტრი.

ფაიფურის საათებს ამზადებდნენ უმთავრესად ნიკოლოზ I-ის დროს. ყველაზე მეტი მოწონება ქონდა დასაკიდებელ ან ბუხარზე დასადგამ საათებს, რომლებსაც გარეგნულად აფორმებდნენ როკოკოს სტილში. ერთი ასეთი საათი შესრულებულია ცნობილი რეინარის მიერ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში, იყო დაცული საიმპერატორო ფაიფურისა და შუშის ქარხნების მუზეუმში. ფაიფურის ლამფა-საათი სრულ იშვიათობას წარმოადგენს.

№ 20. ერთი ბროლის ვაზა ალექსანდრე II-ის ეპოქის საიმპერატორო შუშის ქარხნის ნაწარმოები. ვაზის ორივე მხარეს ღია ვარდისფერ ფონზე მინდვრის ყვავილების გირლიანდებში ფერწერით დახატული სურათი „მოულოდნელი სტუმარი“, რაც შეიცავს ჩიტების ბუდეს, რომელშიც ჩანოლილია ხელიკი. ამ მოულოდნელი ამბით გაჯავრებული ჩიტების ოჯახი შორიახლო კაპასობენ, ყელი და კიდურები აღსავსეა ოქროს ყვავილოვანი ჩუქურთმების სახეებით. ვაზაზე მხატვრობა შესრულებულია მხატვარ ი.ს.ზ.-ის მიერ 1867 წლის 27 აგვისტოს. სიმაღლე 59 1/2 სანტიმეტრი. 1/2

№ 21. მანგალი – ვარშავის ვერცხლის, იმავე ვერცხლის შამფურებით, ქართული ნახელოვნები, შესრულებული ტფილისის ოქროს ოსტატ-ოქრომჭედლის სერგი არგევანიძის მიერ, როგორც ეს სწანს მანგალზე და შამფურზე ამოჭრილი ინიციალებიდან «CA». სხვათა შორის იმავე ოსტატ-ოქრომჭედელმა 1889 წელს ტფილისში მონყობილ სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის ცნობილ გამოფენაზე სხვა ოქრომჭედელურ ნივთებს შორის გამოაფინა „მანგალი გაკეთებული ვარშავის ვერცხლისაგან“. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღწერილი მანგალი სწორედ ის ექსპონატი, რომელიც აღნიშნულია სხენებული გამოფენის IX განყოფილების მე 23 გვერდზე. იშვიათზე იშვიათადაა დაცული. სიმაღლე 21 სანტიმეტრი, დიამეტრიც 33 სანტიმეტრი.

№ 22. 14 სხვადასხვა ზომისა და გამოყვანილობის დოქები, შესრულებული მცხეთის, გორის, ახალციხის და სხვა მხატვრული თიხის ჭურჭლების მკეთებელი (poterie) ქარხნების მიერ. გამოყვანილი ფორმის მრავალსახიანობა ჭჭურის მრავალფეროვნობა და მისი გამჭვირვალობა გაკვირვებას იწვევს ამ ფამად, როდესაც ამდაგვარი საყოფაცხოვრებ-

ბო ნივთების მომზადება დიდი ხანია გადავარდნილია. ყოველ შემთხვევაში აღნიშნული ქარხნების მუშაობის დასახასიათებლად ზემოხსენებული კოლექცია დიდ მასალებს იძლევა: ირკვევა, რომ როგორც ზემოაღწერილი თიხის დოქები, ისე სხვა დოქები, რომელნიც ბორჯომშია ამ ფამად დაცული და ჩემს მიერ (არ. გაბუნია – ე.კ.) არის აღწერილი ბორჯომის მუზეუმში, იყო გამოფენილი 1889 წელს ტფილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე და იქიდან გადავიდა ბორჯომის სასახლეებში... რომ აღნიშნულ გამოფენაზე იყო ეს ექსპონატი იხილეთ გვარწმუნებს, რომ ცნობილ ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ გადაღებულ იქმნა ფოტოგრაფია ეგრედ ნოდებულ „ქართული poterie“-ს მთელი წყების, რომელიც მოთავსებულ იქნა ცნობილ ჟან-მურიეს სპეციალური ნერილით სათაურით „La poterie au Caucase“, მისი რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალში „Le Caucase illustre...“. სხენებულ დოქებს ქართული „poterie“ ისტორიისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა.

ასევე, მეტეხის მუზეუმს უნდა გადასცემოდ ამავე აღწერის მე-15 №-ში აღნიშნული 9 ექსპონატიდან 4 ექსპონატი, ხოლო ბორჯომის მუზეუმს 5 ექსპონატი.

№15. ცხრა საგნიდან შემდგარი დიდი სასადილო სერვისის ნაწილები,

სახელდობრ ერთი ღრმა ვაზა, ერთი ფეხებიანი ვაზა, სამი ან ორი სანეწე თაყისი თეფშებით და ერთი სანეწე თეფში, შესრულებული კოპენჰაგენის ფაიფურის ქარხნის მიერ მე-19 საუკუნის 25-50 წლებში და რომელიც ცნობილია ხელოვნებაში როკოკოს სტილის განმეორებათ. ყველა ექსპონატებზე მოხდენილად მიმოხეულია მხატვრულად შესრულებული ვარდ-ყვავილების თაიგულები.

ნიშანი აქვს კოპენჰაგენის ქარხნის. დიდი ვაზის სიგრძე 36 სანტიმეტრი, ფეხიანი ვა-



ზის სიმაღლე 21. 1/2 სანტიმეტრი. ფასი თითოეული საგნის 15 მ. სულ 135.

მე-18-ში აღნიშნულ 20 ექსპონატიდან 10 ექსპონატი მეტეხს, 10 ბორჯომს.

№ 18. ფაიფურის 20 თეფში – დიდი სასადილოს სერვისის ნაწილი, იშვიათად მხატვრულად შესრულებული, მათ შორის: 14 ღრმა და 6 ფრიალო თეფშებით, ალექსანდრე II საიმპერატორო ქარხნის ნაწარმოები.

თითოეული თეფშის bleu de Sevres ფონის არმაზე ოქროს ყვავილოვანი ჩუქურთმების მედალიონებში იშვიათ მხატვრულ სრულყო-

ფილებით განსასიერებელია ვარდ-ყვავილე-ბიანი თაიგულები, რამდენიმე საინზე კი ხილები, ხოლო ერთზე ფრინველები – ხოხობი, იხვი და სხვ. სათანადო პეიზაჟის ფონზე. ექსპონატები შესრულებულია ნიკოლოზ პირველის ტრადიციების გავლენით. ნიშანი «A». ღრმა თევზების დიამეტრიც 25 სანტიმეტრი. ფრიალო „ – “ 22 1/2 სანტიმეტრი. ფასი 800 მან. თითოეული.“

კატალოგის აღწერის ამ ნაწილს ახლავს დმ. შვეარდნაძის შემდეგი შინაარსის მინანური:

„ამხ. არტ. გაბუნიას მიერ აღწერილი ფაიფური ნარმოადგენს საინტერესო სამუზეუმო კოლექციას მხოლოდ უნდა დაემატოს ამ სიას კიდევ 8 ცალი საჩაიე და ეს სერვიზების ნაწილები თეთრი ფაიფურისა ოქროს ვარაყით «MH» ვენზელით დამზადებული საიმპერატორო ქარხნის მიერ ალექსანდრე II-ს დროს.

მეტეხის მუზეუმის დირექტორი დ. შვეარდნაძე

27/II, 1935 წ.“



აქვე მინერილია:

„შენიშვნა: ამ რვა ცალიდან 4 (ოთხი) ნაჭერი ... ბორჯომის მუზეუმს, ხოლო 4 ცალი – მეტეხის ხელოვნების მუზეუმს. არტ. გაბუნია. 27/II, 35 წ.“

კატალოგის დანარჩენი ნაწილი მოიცავს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გამოყენებითი კოლექციის დეტალურ აღწერას.

არტემ გაბუნიას კატალოგი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, როგორც საკუთრივ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში დაცული კოლექციების კვლევის თვალსაზრისით. არტემ გაბუნიას შედგენილმა, მეტეხის მუზეუმისთვის გადარჩეული ექსპონატების ჩამონათვალმა, ისევე როგორც სეგ-ის საინვენტარო ნიგნმა, დიდი დახმარება გაგვინია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის მუზეუმში დაცული ბორჯომ-ლიკანის სასახლეების ექსპონატების მოძიებისა და იდენტიფიკაციის პროცესში.

ამასთანავე, კატალოგის შედგენის გარდა, არტემ გაბუნიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ორგანიზაციაში. მის მიერ შედგენილი ბორჯომის მუზეუმის ექსპონატების დეტალური, მეცნიერული კატალოგის საფუძველზე შეიქმნა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხატვრული განყოფილება.¹² ამასთანავე, სწორედ ამ სამუშაოს ჩატარებისა და ბორჯომისა და მეტეხის მუზეუმებს შორის ექსპონატების გადანაწილების შემდგომ, თბილისიდან დაბრუნდა და ბორჯომის მუზეუმში შევიდა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების კოლექცია.

საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭოს 1938 წლის 7/8 №20/28 დადგენილებით საქართველოს კურორტების

მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალი ბორჯომის მუზეუმი გადავიდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში და ამ დროსვე მიიღო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსი.

1939 წელს შედგენილი გენერალური გეგმის მიხედვით ორი-სამი წლის შემდეგ მუზეუმს უნდა პეკონადა სრულქმნილი სახე – მეცნიერული და მხატვრული თვალსაზრისით გამართული ექსპოზიციით.

1941 წლისათვის, სამამულო ომის დაწყების შემდგომ, მუზეუმი გადაიტანეს ყოფილ რომანოვების მამულის კანცელარიის შენობაში. ამ დროისათვის ამ შენობის პირველ და მეორე სართულებზე ავტობატალიონი, რადიოკვანძი და სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი განყოფილება იყო განთავსებული, ხოლო მესამე სართულზე ოთხ ოთახში ოჯახები იყო შესახლებული. ასეთ პირობებში მუზეუმი მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მას დაეთმო მეორე სართულის მხოლოდ 68 კვ.მ. არქივი განათავსეს სარდაფში.

ომის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას 1941 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კ.პ. ბორჯომის რაიკომის 1941 წლის 28 აგვისტოს დადგენილების თანახმად „ისტორიული და მხატვრული ძეგლების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ შემდგარმა კომისიამ შეადგინა აქტი. შეირჩა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული უძვირფასესი და განსაკუთრებულ რეჟიმში დასაცავი კოლექციები. ექსპონატები კომისიის წევრების მიერ ადგილზევე შემონმდა, მათივე თანდასწრებით

შეიფუთა და დაილუქა. ყუთები სადირექტივო ორგანოების განკარგულებამდე ინახებოდა მუზეუმის მეორე სართულის № 1 ოთახში.¹³

1944 წლის დეკემბრის დამლევს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიჭურდა, ექსპონატები მოპარული იყო საექსპოზიციო სივრცეიდან. ბორჯომის მუზეუმის არქივში დაცულია ცნობა გაჭურდვის შესახებ. სამწუხაროდ ამ საქმეში არ არის ცნობა დაკარგული ექსპონატების შესახებ.¹⁴ მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორის, რუბენ სხვიტარიძის მიმართვის საფუძველზე ბორჯომის რაიონის მილიციის მოკვლევა უშედეგოდ დასრულდა.

ჩვენთვის უცნობია თუ რა კოლექციები იყო წარმოდგენილი ამ დროისათვის საექსპოზიციო სივრცეში. მეტად საყარაუდოა, რომ ეს იქნებოდა არქეოლოგიური მასალა და არა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. აღნიშნულის დასტურია, არტემ გაბუნიას კატალოგის საფუძველზე ჩატარებული კვლევა. მასში აღნუსხული ფასეული ექსპონატების უმეტესი ნაწილი მიკვლეულია და სადღეისოდ დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმებში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, სასახლეების შენობებში დაცული ძვირფასი ავეჯი და აღწერების გათვალისწინებით ამ ავეჯის სიუხვე. ვფიქრობთ, განსაკუთრებით ღირებულ ნიმუშებს პუბლიკაციის დროისათვის ცალკე თავი დაეთმობთ.

ამ დროისათვის წარმოებული კვლევის შედეგად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის ევროპულ და რუსულ



ფონდებში მოძიებული და იდენტიფიცირებულია ბორჯომ-ლიკანის სასახლეების დაახლოებით 250 ექსპონატი.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების მოძიება-იდენტიფიკაციისა და კვლევის პროცესი გრძელდება. დასამუშავებელი გვაქვს გამოყენებითი ხელოვნების ქართული და აღმოსავლური ფონდები, ჩასატარებელია ამ მასალის ფოტოფიქსაცია, ასევე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას მუზეუმისა და ეროვნული არქივის XX საუკუნის 20-30-იანი წლების დოკუმენტური მასალა, რაც ვიმედოვნებთ მეტ ნათელს მოყვანს ბორჯომის სასახლეების კუთვნილ როგორც გამოყენებით, ისე სახვითი ხელოვნების კოლექციების აქამდე უცნობ ისტორიას.

12. გიორგი ტყემელაშვილი, ხალხური ხელოვნების დაცვითი მუშაობა, საბჭოთა ხელოვნება, №4, 1956 წ.

13. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, აქტი №1. 1941, 9 სექტემბერი.

14. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, 1947, 18 იანვარი.

▷ ბიბლიოგრაფია:

- ▷ აბესაძე ირ., ბაგრატიშვილი ქ., დიმიტრი შვეარდნაძე, თბ., 1998
- ▷ ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968.
- ▷ ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978.
- ▷ დევედარიანი გ., მენშევიეკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები. ტფ., 1931.
- ▷ ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983.
- ▷ საისტორიო ვერტიკალები, 2003 წ. №4.
- ▷ ტყეშელაშვილი გ., ხალხური ხელოვნების დაუცხრომელი მოამბაგე, საბჭოთა ხელოვნება, №4, 1956 წ.
- ▷ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127;
- ▷ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, *Опись имущества вывезенного из Ликанского дворца меньшевичским правительством в первой половине февраля 1921 года.* (ბმმ №11105);
- ▷ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, *«Опись Дворцового имущества и остальных домовъ всего Ликанского участка»*, 1926.
- ▷ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის არქივი, საქართველოს ეროვნული გალერეის საინვენტარო წიგნი (სეგ – საქართველოს ეროვნული გალერეა №13, №№1-1454).
- ▷ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა მემუარული განყოფილების არქივი.



